

მაგდა მჭედლიძე

Πολιτεία

ძველი ბერძნული ენა
დამუყვაბთათვის



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი



კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტი

პროგრამა «ლოგოსი»

პუბლიკაციები და ღონისძიებები კლასიკური ფილოლოგიის,
ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის სფეროში

წიგნი ქვეყნდება პროგრამის

დიონისიოს ვარელასი ბიზანტინისტიკის განვითარებისათვის
მხარდაჭერით

Το βιβλίο εκδόθηκε με την υποστήριξη του προγράμματος

Διονύσιος Βαρελάς για την ενίσχυση της διδασκαλίας των βυζαντινών σπουδών



თბილისი

2013

Magda Mtchedlidze



Πολιτεία

LE GREC ANCIEN
POUR DÉBUTANTS

3^{ème} édition corrigée et augmentée



ბიბლიოთეკა
2012

Πολιτεία

კველი ბერძნული ენა დამწყებთათვის

მე-3 შესწორებული და შევსებული გამოცემა



ჩვენ მიერ შედგენილი ძველი ბერძნული ენის დაწყებითი დონის სახელმძღვანელო განსაზღვრულია 60-90-საათიანი სასწავლო კურსისათვის (20 გაკვეთილი).

მადლობას მოვასვენებთ რედაქტორებსა და რეცენზენტებს, ასევე სხვა კოლეგებს სასარგებლო რჩევებისა და შენიშვნებისათვის.

მადლობას ვუხდით ჩვენს ბერძნული ენის მასწავლებლებს: ქალბატონ თინათინ გიორგობიანს, ბატონ რისმაგ გორდეზიანს, ქალბატონ თინათინ ყაუხჩიშვილს (†).

მაგდა მჭედლიძე

რედაქტორები:

თინათინ გიორგობიანი, ფილოლოგიის დოქტორი
ქეთევან აბესაძე
ლელია გეგუჩაძე, ფილოლოგიის დოქტორი

რეცენზენტები:

მიხეილ მირაშვილი
რუსუდან ცანავა, ფილოლოგიის დოქტორი

919.4534
K357.676

ISBN 978-9941-437-29-8

© საგამომცემლო პროგრამა „ლოგოსი“, 2012

© მაგდა მჭედლიძე, 2012

პროგრამა „ლოგოსი“

ილია ჭავჭავაძის გამზირი 13,
თბილისი 0179

ტელ. 25-02-58, ფაქსი 22-11-81

ელ. ფოსტა: logos@greekstudies-tsu.ge

გარეკანზე: დურისის მიერ მოხატული კილიქის ფრაგმენტი (ძვ. წ. V ს)



სამართველოს კარლამუნთის
ეროვნული ბიბლიოთეკა

შესავალი.....	8
კველი ბერძნული ენის ღაწყებითი კურსი.....	11
I ნაწილი: ანბანი. ზმნის უღლება აწმყო დროში.....	18
ქველი ბერძნული ენა. ბერძნული დამწერლობა	
I 1. კლასიკური ბერძნული ანბანი.....	20
ხმოვნები: გრძელი და მოკლე; თანხმოვნები	
I 2. ხმოვნები: მარტივი და რთული.....	25
მახვილი	
ზმნა: ინფინიტივუსი; მოქმედებითი გვარი; ა უღლება: აწმყო დრო, თხრობითი კილო	
ზმნიზედა	
სასვენი ნიშნები	
I 3. ფშეინვა (ასპირაცია).....	32
ზმნა: ბრძანებითი კილო; უარყოფა ზმნასთან უარყოფითი ნაწილაკი οὐκ, οὐχ	
I 4. ხმოვანთა შეხვედრა (ჰიატუსი).....	37
კონტრაქცია, კრასისი, ელიზია, აფერესისი, ეეფონია	
უმახვილო სიტყვები: პროკლიტიკები და ენკლიტიკები	
I 5. შეჯამება და შემოწმება.....	41
II ნაწილი: მეორე კანკლედობის სახელთა ბრუნება. ზმნის იმპერფექტუმი.....	43
II 1. სახელი: ბრუნვათა ფუნქციები.....	43
არსებითი სახელი	
არტიკლის ბრუნება	
II 2. ნეიტრალური სქესის სახელთა ბრუნება. ზოგადი წესები.....	47
II კანკლედობა (ὁ ἄνθρωπος, τὸ θῆλυ)	
ზედსართავი სახელი: სამდაბოლოებიანი	
ზედსართავისა და არსებითი სახელის შეთანხმება	
შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილი	
ნეიტრალური სქესის ქვემდებარის შეთანხმება შემასმენელთან რიცხვში მიცემითი ბრუნვა – მოქმედების იარაღის აღმნიშვნელი	
II 3. II კანკლედობის მამრობითი და ნეიტრალური სქესის სახელები.....	53
ნათესაობითში დასმული მსაზღვრელის შეთანხმება საზღვრულთან ზმნის უღლება ნამყო უსრულში (Imperfectum); აუგმენტი	
ობიექტის და სუბიექტის ნათესაობითი	
II 4. ნამყო უსრული (იმპერფექტუმი). ფუძე დაწყებულია ხმოვნით.....	57
II კანკლედობა (ὁ γερῶς, τὸ καλόν); მდედრობითი სქესის სახელები	
ზედსართავ სახელთა გაარსებითება	
გამოყოფის ნათესაობითი	
ბერძნულ საკუთარ (ადამიანთა) სახელების ქართულად გადმოცემა	
ტექსტი: Περὶ θέν	

II 5. შეჯამება და შემოწმება.....63



III ნაწილი: პირველი კანკლედობა, *είναι* ზმნის უღლება აწმყოსა და იმპერფექტუმში.....65

III 1. პირველი კანკლედობა.....65

მდედრობითი სქესის სახელები: α იმპურუმიანი სახელები (ή ψυχή) *είναι* (ყოფნა) ზმნის III პირის ფორმები აწმყოში
მახვილის წესები ენკლიტიკებისათვის
წინდებულები: *έν, εις, έκ*

ტექსტი: *Περὶ τῶν Ἑλληνικῶν φιλοσόφων*

III 2. α პურუმიანი სახელები.....72

α იმპურუმიანი სახელები (ή θάλαττα)
სიტყვათწარმოება: სუფიქსები -*εια* და -*ια*
ზმნა *είναι* წინადადების დასაწყისში
ქალაქების, ქვეყნების, კუნძულების სახელები
წინდებულები: *σύν, ἀπό, πρό*

ტექსტი: *Περὶ τῶν ἀρετῶν*

III 3. სამდაბოლოებიანი ზედსართავი სახელები (I და II კანკლედობისა).....80

ორდაბოლოებიანი ზედსართავი სახელები
ზედსართავის შეთანხმება არსებით სახელთან
განსაზღვრებითი ნაცვალსახელები: *αὐτός, ἄλλος, ἕτερος*
μόνος და *πρῶτος*

სიტყვათწარმოება: სუფიქსები -*ιος* და -*ικός*

მდინარეებისა და ზღვების სახელები

წინდებულები: *διὰ*

ტექსტი: *Περὶ τῶν Ἀθηνῶν*

III 4. პირველი კანკლედობის მამრობითი სქესის სახელები.....88

είναι ზმნის უღლება აწმყოსა და იმპერფექტუმში
ნაცვალსახელი *αὐτός* პირის ნაცვალსახელის ფუნქციით
სიტყვათწარმოება: პრეფიქსები *εὔ-*, *ἀ-* და *δυσ-*

ინფინიტივური კონსტრუქცია ზმნის უპირო ფორმებთან
ინფინიტივუსი *ἀναγκάζω, κελεύω, ἐθέλω*-ს ტიპის ზმნებთან

წინდებულები: *ἀνά, κατά*

ტექსტი: *Περὶ Τροίας*

III 5. შეჯამება და შემოწმება.....96

IV ნაწილი: ვნებითი და საშუალი გვარის ზმნების უღლება აწმყოსა და იმპერფექტუმში. ნაცვალსახელები.....98

IV 1. ვნებითი და საშუალი გვარი.....98

ვნებითი გვარის ზმნის უღლება აწმყოში
ზმნა *πάσχω*

პირველი და მეორე პირის ნაცვალსახელები
ზმნიზედა ზედსართავი სახელის აკუსატივუსის ფორმით

წინდებულები: *ὑπό, ὑπέρ*

ტექსტი: *Προμηθεύς*

IV 2. ვნებითი გვარის ზმნის უღლება იმპერფექტუმში..... 105
 ჩვენებითი ნაცვალსახელები: ὄδῃ, οὐτός, ἐκείνος
 წინდებული: παρά
 ტექსტი: Περὶ τῶν Ἀργοναυτῶν

IV 3. საშუალო გვარი (მედია, Medium)..... 109
 კუთვნილებითი ნაცვალსახელები
 კუთვნილების აღმნიშვნელი ზედსართავი სახელი
 კუთვნილების მიცემითი
 წინდებულები: περί, πρὸς
 ტექსტი: Περὶ τοῦ Ἀριάδνης λίνου

IV 4. აუგმენტი პრევერბიან ზმნებში..... 115
 მიმღეობა
 წინდებულები: μετά, ἀντί
 ტექსტი: Περὶ τοῦ ἐν Ἀλεξανδρείᾳ βίου

IV 5. შეჯამება და შემოწმება..... 121

დანართი 123
 ბერძნული მეტრიკა; დაქტილური ჰექსამეტრი..... 123
 Ὀμήρου Ὀδυσσεΐας Α..... 125
 Τὸ κατὰ Ἰωάννην ἄγιον εὐαγγέλιον..... 127
 გრამატიკული ტაბულები..... 128

ძველბერძნულ-ქართული ლექსიკონი..... 141

ქართულ-ძველბერძნული ლექსიკონი..... 154

გამოთქმები და გამონათქვამები..... 171

გრამატიკული მასალის ინდექსი..... 172

რა სარგებლობა აქვს კლასიკურ ენებს?

ლიბერალიზმი, ანუ პიროვნების თავისუფლების პრიორიტეტულობა, ახალი ეპოქის უმთავრეს ღირებულებად მიიჩნევა. ამავე დროს, ამ ეპოქისათვის დამახასიათებელი პრაგმატიზმი წინააღმდეგობებს უქმნის თავისუფლებით სარგებლობას სწორედ ადამიანის თავისუფლების განმსაზღვრელ ერთ-ერთ მნიშვნელოვან სფეროში – განათლებაში: რიგით ადამიანს უხდება სწრაფად აითვისოს ის კონკრეტული პროფესია თუ ხელობა, რომელიც შრომის ბაზარზე მოთხოვნილებით სარგებლობს; ლიბერალური განათლება, არსებითად, კვლავაც შექმლებულთა პრივილეგიად რჩება¹.

ლიბერალური განათლების, ანუ თავისუფალი ადამიანისათვის შესაფერისი განათლების, საფუძველს ე. წ. დასავლურ ცივილიზაციაში კლასიკური ენების ცოდნა წარმოადგენს (ტრივიუმ-კვადრივიუმის, ანუ ჰუმანიტარულ-მათემატიკურ დისციპლინათა ერთობლიობის საბაზისო ცოდნასთან ერთად), მათ კი დღეს, როგორც ცნობილია, თვით ევროპული განათლების სისტემაში უჭირთ ოდინდელი პოზიციების შენარჩუნება². სამწუხაროდ, ჩვენთან, განსხვავებით ევროპისაგან, კლასიკური ენების უგულვებელყოფა, ფაქტობრივად, პრაგმატიზმის უგულვებელყოფამდე მივიდა: მაგალითად, ერთი პერიოდი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ლათინური ენა იურისტებისათვის არჩევით საგანთა რიცხვიდანაც კი ამოიღეს, სამედიცინო ფაკულტეტზე კი იგი დღესაც იგნორირებულია (!)

ვიქონიოთ იმედი, რომ არცთუ შორეულ მომავალში ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა მეტ საშუალებას მოგვცემს, ვისარგებლოთ ლიბერალური განათლების სიკეთეებით, რომ მეტი ადამიანი შექმნებს მიანიჭოს საკუთარ თავს სიამოვნება მაღალმხატვრულ ანტიკურ ხელოვნებასა თუ ბიზანტიური სასულიერო მწერლობის შედევრებთან ორიგინალის ენაზე ზიარებისა, რომ საზოგადოებაში გაიზრდება მოთხოვნილება თუნდაც მშობლიურ ენაზე მათი გაცნობისა (რაც კლასიკური განათლების მქონე მთარგმნელთა საჭიროებასაც წარმოშობს); იმის იმედიც ვიქონიოთ, რომ მაღე ხელახლა გავიაზრებთ ფუნდამენტური განათლების მნიშვნელობას მეცნიერებისათვის... მანამდე კი, ანუ, სანამ ლიბერალიზმი და რაციონალური პრაგმატიზმი სრულ ჰარმონიაში იქნებოდეს, კლასიკური ენების ცოდნა ისევ სადღეისო საჭიროებით შევაფასოთ: რატომ და ვისთვის არის სასარგებლო მკვდარი ენების – ძველი ბერძნულისა და ლათინურის – ელემენტარული ცოდნა?

¹ ამით აიხსნება, ალბათ, თავისუფალ ხელოვნებათა კოლეჯების (Liberal arts college) განსაკუთრებული პოპულარობა აშშ-ში.

² ჩვენ არ ვსაუბრობთ ამ შემთხვევაში ლიბერალური განათლების პედაგოგიურ მეთოდებზე.

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ კლასიკური ენები გვევლინება იმ „საბადოდ“, რომელსაც, როგორც ადრე, დღესაც მართავენ მეცნიერებები სპეციალური დარგობრივი ტერმინოლოგიის საქმნელად; ამასთან, სწორედ ეს ენები უდევს საფუძვლად ე. წ. ინტერნაციონალურ ლექსიკას (პოლიტიკა, დემოკრატია, დემაგოგია, კონფლიქტოლოგია... პოეტი, მელოდია, დრამა... რექტორი, დოქტორი, სტუდენტი... ტელევიზია, კოსმონავტი, ავტომობილი...). კლასიკური ენების ცოდნა საშუალებას გვაძლევს ჩავწოდეთ ჩვენს ენაში არსებულ ნასესხობათა არსს (მათ შორის, სხვადასხვა ენის – რუსულის, ფრანგულის, ინგლისურის... – გზით შემოსული ბერძნული და ლათინური წარმომავლობის ტერმინთა ძირეულ მნიშვნელობებს), მათს ორთოგრაფიას და ზუსტად გამოვიყენოთ ისინი. ეს კი ის აუცილებელი მინიმუმია, რომლის ცოდნა და უნარი ნებისმიერი დარგის მეცნიერსა თუ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ასპარეზზე გამოსულ ნებისმიერ პიროვნებას მოეთხოვება.

ლათინური ენის ცოდნა აუცილებელია იურისპრუდენციისა და დასავლეთ ევროპული ენების სპეციალისტებისათვის.

ბერძნულისა და ლათინურის ენობრივ თავისებურებათა შესწავლა, რაც ამავე დროს ბერძნულ და ლათინურენოვან მოაზროვნეთა სააზროვნო თავისებურებათა შეცნობასაც გულისხმობს (ენისა და აზროვნების კავშირი საყოველთაოდ არის ცნობილი), სრულიად აუცილებელია ფილოსოფიისა და თეოლოგიის სპეციალისტებისთვის (ჰაიდეგერი, მაგალითად, თვლიდა, რომ ფილოსოფია ბერძნულად ლაპარაკობს, რის გამოც მას ამ ენის არმცოდნე ვერ გაუგებს, ხოლო ჰეგელი საგანგებოდ აღნიშნავდა ძველი ბერძნული და ლათინური ენების განსაკუთრებულ მნიშვნელობას ჩვენი ცნობიერების ცნებებით გამდიდრებისათვის).

უადრესად პერსპექტიულ დარგში – მედიევისტიკაში, რომლის კვლევის ობიექტი არის სამყარო, სადაც სამწერლობო ენები ბერძნული და ლათინურია, ამ ენების ცოდნის გარეშე შეუძლებელია სამეცნიერო ლიტერატურის სრულფასოვნად გაცნობაც კი (ბერძნული და ლათინური ციტაციები, როგორც წესი, ამ დარგის ნაშრომებში არ ითარგმნება).

ძველი ბერძნული ენა გვჭირდება იმისათვის, რათა მეცნიერულად შევისწავლოთ ბიზანტიელ ავტორთა ძველ ქართულ ენაზე შემონახული თარგმანები, რომელთა უდიდესი ნაწილი ჯერ კიდევ არ არის გამოცემული (აღსანიშნავია, რომ ქართულ თარგმანებს დიდი მნიშვნელობა აქვს თავად ბერძნული ავთენტური ტექსტების დასადგენად, რადგან ქართველ მთარგმნელებს ხშირად საუკეთესო რედაქციები ჰქონდათ ხელთ).

ბერძნული ენა ძვ. წ. II ათასწლეულიდან არის ფიქსირებული, რაც საშუალებას გვაძლევს, თვალი მივადევნოთ ენის განვითარების პროცესს ოთხი ათასწლეულის მანძილზე – მარტივი ფორმებიდან სრულყოფილი სისტემის შექმნამდე, ლექსიკის, ფონეტიკის, მორფოლოგიის, სინტაქსის ცვლილებას. ყოველივე ეს საინტერესოა როგორც საერთო ლინგვისტური

თვალსაზრისით, ასევე ქართველურ ენათა გრამატიკული წყობის განვითარების გასაანალიზებლად (საუბარია ტიპოლოგიურ პარალელებზე, ზოგიერთ შემთხვევაში კი – უშუალო გავლენებზე).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ასე რომ, კლასიკური ენები არა მხოლოდ ვიწრო სპეციალობის მკვლევართა ან ესთეტთა ვიწრო წრის, არამედ მთლიანობაში სამეცნიერო სფეროსა და საზოგადო მოღვაწეთა პრაგმატულ ინტერესებს ემსახურება.

კლასიკური ენები ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში


კლასიკური ენები უნივერსიტეტში მისი დაარსების დღიდან ისწავლება. დღესდღეობით ჰუმანიტარულ ფაკულტეტზე ბერძნულ-რომაული ფილოლოგიისა და ბიზანტიური ფილოლოგიის პროგრამების ფარგლებში იკითხება ძველი ბერძნული და ლათინური ენების სასპეციალიზაციო სამსემესტრიანი კურსები, კვირაში ექვსი საათი სააუდიტორიო დატვირთვით. ენების ცენტრი კი სტუდენტს შესაძლებლობას აძლევს, აირჩიოს ძველი ბერძნული ან ლათინური ენის ორსემესტრიანი კურსი (კვირაში 4 სთ.).

სამწუხაროდ, მოკლე კურსისა და სპეციალობის პროგრამებს შორის განსხვავება სტუდენტს დაბრკოლებას უქმნის ბაკალავრიატის მეორე კურსიდანაც კი კლასიკური ფილოლოგიის ან ბიზანტინისტიკის სპეციალობათა ასარჩევად, რადგან, ამ შემთხვევაში ის კარგავს ენების ცენტრში დაგროვილ კრედიტებს. ჩვენი აზრით, სწავლების სისტემა გაცილებით მოქნილი იქნება, თუკი პირველი სემესტრის პროგრამა საერთო იქნება ყველასთვის (დაწყებითი კურსი კვირაში 4-6-საათიანი დატვირთვით), მეორე სემესტრიდან კი სტუდენტს მიეცემა საშუალება სწავლა გააგრძელოს მოკლე კურსის პროგრამით (რომელიც შესაბამისი იქნება 1-ლი დონისა), ან აირჩიოს სასპეციალიზაციო კურსი.

ამგვარი სისტემა, თუკი პირველი სემესტრის პროგრამა შესაბამისი იქნება დასრულებული ციკლისა, სტუდენტს საშუალებას მისცემს მეორე სემესტრიდან გაიაროს მეორე ენის – ლათინურის – ასევე დაწყებითი კურსი; ანუ საფაკულტეტო ათკრედიტიანი არჩევითი საგნის – კლასიკური ენები – არჩევისას სტუდენტს უნდა მიეცეს შესაძლებლობა აირჩიოს 10 კრედიტი (ორი სემესტრი) ბერძნული ან ლათინური, ან აირჩიოს 5 კრედიტი ბერძნული, 5 – ლათინური.

კლასიკური ენების ზოგადსაგანმანათლებლო მნიშვნელობის გათვალისწინებით, ვფიქრობთ, კარგი იქნება, თუკი კლასიკური ენები არჩევით საგნად იქნება დაშვებული უნივერსიტეტის ყველა ფაკულტეტზე (როგორც ეს იყო არცთუ დიდი ხნის წინ).

ძველი ბერძნული ენის დაწყებითი კურსი



დაწყებითი სწავლება მიზნად ისახავს, რომ სტუდენტმა:

- ა) გაითავისოს ბერძნული სიტყვების სტრუქტურა და ფერადობა;
- ბ) გააცნობიეროს ბერძნული ენის მორფოლოგიისა და სინტაქსის თავისებურებები;
- გ) ისწავლოს ძველბერძნული ლექსიკონის გამოყენება;
- დ) აითვისოს სიტყვათწარმოების წესები, რაც დაკავშირებულია ე. წ. საერთაშორისო ლექსიკის უკეთ გააზრებასა და ასევე ახალ ტერმინთა წარმოების საშუალებების ათვისებასთან;
- ე) გაერკვეს ძველი ბერძნული სიტყვების ქართულ ენაზე გადმოტანის პრინციპები;
- ვ) გაეცნოს ძველბერძნული მეტრიკის თავისებურებებს.

სახელმძღვანელოს აგების ძირითადი პრინციპები

- სახელმძღვანელო განსაზღვრულია 60-90 საათიანი კურსისათვის (მეტი საათები პედაგოგს მეტ საშუალებას მისცემს აუდიტორიაში სტუდენტების ვარჯიშისათვის).
- სახელმძღვანელო შედგება 4 ნაწილისაგან. თითოეულ ნაწილში 5 გაკვეთილია, რომლის ხანგრძლივობაა 2-5 აკადემიური საათი (პედაგოგს შეუძლია თავისი შეხედულებისამებრ გადაანაწილოს მასალა გაკვეთილებზე). მე-5 გაკვეთილი ეთმობა გავლილი მასალის შემოწმებას.
- კურსის დასასრულს პედაგოგს შეუძლია სტუდენტს მიაწოდოს ფაკულტატიური საკითხავი მასალა: ძველი ბერძნული პოეზიის ნიმუშები და ნაწყვეტი იოანეს სახარებიდან.
- თითოეულ ნაწილს ერთვის სავარჯიშოები, რომელთაც სტუდენტი წერილობით ასრულებს.
- ყველა გაკვეთილი, გარდა გრამატიკული მასალისა, უნდა იძლეოდეს ინფორმაციას – ლექსიკოლოგიურს, კულტუროლოგიურს და სხვ. – ძველი ბერძნული ენისა და ანტიკური საბერძნეთის თანამედროვეობასთან დასაკავშირებლად. სასურველია, სახელმძღვანელოში ჩართული იყოს თვალსაჩინოებები: ძველი საბერძნეთისა თუ ბერძენთა კოლონიზაციის ამსახველი რუკები; რეპროდუქციები: ანტიკური კულტურის ნიმუშებისა, ანტიკური მითოლოგიისა და ისტორიის თემაზე შექმნილი ნაწარმოებებისა აღორძინების ხანიდან დღევანდელობამდე; საქართველოში აღმოჩენილი ბერძნული ეპიგრაფიკული ძეგლებისა...

პედაგოგი უნდა შეეცადოს, ძველი ბერძნული ენის გაკვეთილი სტუდენტისათვის სახალისო იყოს³. კარგი იქნება, თუ სტუდენტი თავადაც მოიძიებს ინფორმაციას ანტიკური ცივილიზაციისა და ამ ეპოქის ცნობილი პიროვნებების შესახებ.

გაკვეთილი შედგება შემდეგი ნაწილებისაგან:

1. თეორია;
2. ლექსიკა;
3. პრაქტიკა;
4. გაბმული ტექსტი.

1. თეორია

თითოეულ გაკვეთილში მოცემულია ახალი გრამატიკული მასალა. მეტყველების ნაწილთა და მათი ფლექსიის, ასევე სინტაქსური წესების სწავლებისას აუცილებლად აღინიშნება ის განსხვავებები, რომლებიც ბერძნულს ახასიათებს ქართულთან შედარებით.

მორფოლოგიიდან ყველაზე მეტი ყურადღება ეთმობა სახელებს, ძირითადად კი – არსებითსა და ზედსართავ სახელს, ვინაიდან სწორედ მათი ფორმაცვალების ცოდნას აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა ტერმინების საწარმოებლად, ასევე – ძველ ბერძნულ საკუთარ თუ საზოგადო სახელთა ქართულად სწორად გადმოსაღებად. კერძოდ, დაწყებით კურსში ისწავლება: I კანკლედობა (შერწყმული სახელების გამოკლებით), II კანკლედობა (შერწყმული და -ας ბრუნების გამოკლებით).

ნაცვალსახელი და რიცხვითი სახელი.

ბერძნული ზმნის ფორმა-ცვალების შესახებ საერთო წარმოდგენის შესაქმნელად საწყის დონეზე სტუდენტი სწავლობს პრეზენსსა და იმპერფექტუმში თანხმოვანფუნქციანი და ხმოვანფუნქციანი ზმნების უღლებას (შერწყმული ზმნების გამოკლებით).

სინტაქსის სწავლებისას განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ბრუნვათა ფუნქციებს, ასევე ძველი ბერძნულისათვის სპეციფიკურ ინფინიტივურ კონსტრუქციებს.

წინდებულების სათანადო შესწავლაც უაღრესად მნიშვნელოვანია სიტყვათწარმოებისათვის.

დაწყებით კურსში გათვალისწინებულია მეტრიკის ელემენტების სწავლება, კერძოდ დაქტილური ჰექსამეტრის.

³ სიტყვა *სკოლა* მომდინარეობს σχολή-დან, რომლის ამოსავალი მნიშვნელობაა: მოცალეობა, დასვენება. *სკოლეს* ძველ საბერძნეთში უმაღლეს სკოლას ან ლექციებსაც უწოდებდნენ. საგულისხმოა, რომ ერთი ფუძიდან არის ნაწარმოები სიტყვები παιδεία (თამაში-გართობა) და παιδεία (აღზრდა-განათლება). მათი უღერადობის მსგავსება შემთხვევითი რომ არ უნდა იყოს, ამას რომაული სამყაროც გვიდასტურებს: სკოლას აქ, გარდა ბერძნებისაგან ნასესხები schola-სი, აღნიშნავდა ludus (რომლის ამოსავალი მნიშვნელობაა: თამაში, გართობა).

2. ლექსიკა

ამ დონეზე სტუდენტს უმთავრესად მოეთხოვება საყოველთაოდ ცნობილი ბერძნული სიტყვების გააზრებულად დაუფლება; მკვდარი ბერძნული ენის მიმართ შიშის დასაძლევად მან უნდა გააცნობიეროს, რომ მის მშობლიურ ენაშივე მოიპოვება უამრავი ბერძნული სიტყვა, რომელსაც იგი ყოველდღიურად ისმენს და თავადვე წარმოთქვამს. ძირითადად, სწორედ მშობლიური ენიდან ამოცნობილი ბერძნული ლექსიკის მიხედვით სწავლობს იგი მორფოლოგიასა და სინტაქსს, ეჩვევა ბერძნული სიტყვების სტრუქტურას, ალღოს უღებს ბერძნული ენის თავისებურებებს.

სწავლის პროცესის გასახალისებლად და, ასევე, ლექსიკის უკეთ დასამახსოვრებლად ისწავლება ე. წ. ფრთიანი გამოთქმებიც.

ლექსიკის ათვისების შესაბამისად, სტუდენტი სწავლობს კონკრეტული ბერძნული სიტყვების საფუძველზე შედგენილ ტერმინებსა და, ასევე, ახალი ტერმინების წარმოების დერივაციულ თუ კომპოზიციურ პრინციპებს: პრეფიქსების მეშვეობით (მაგ., ა- უარყოფითი ცნებების მაწარმოებელი პრეფიქსი: „ამორალური“); წინდებულებით (მაგ., ჰიპერ-: „ჰიპერინფლაცია“), სახელთა ფუძეებით (მაგ.: -ლოგია: „რადიოლოგია“; მაკრო-, მიკრო-) და ა. შ.

სტუდენტი ასევე სწავლობს ძველი ბერძნული სიტყვების ქართულად გადმოღების დადგენილ წესებს.

3. პრაქტიკა

გრამატიკული მასალისა და ლექსიკის აქტიურად ასათვისებლად სტუდენტს მოეთხოვება თარგმნა როგორც ბერძნულიდან ქართულად, ისე – ქართულიდან ბერძნულად, თავად შედგენა წინადადებებისა, დაკვირვება და ამოცნობა საერთაშორისო ლექსიკის ბერძნული ძირებისა.

მეორე ნაწილის შემდეგ მან უნდა შეძლოს მკვდარი ფორმებისა და სინტაქსური კონსტრუქციების გასწორება.

4. გაბმული ტექსტი

II ნაწილის ბოლო გაკვეთილიდან სტუდენტს მოეთხოვება გაბმული ტექსტის თარგმნა და ანალიზი: მოცემულ ეტაპზე მისთვის ცნობილი გრამატიკული ფორმებისა და ლექსიკის ამოცნობა, ასევე – უკვე ნასწავლი გრამატიკული კანონებით ნაწარმოები უცნობი სიტყვების მოძებნა ლექსიკონში.

კურსის დასასრულს სტუდენტი კითხულობს ძველი ბერძენი ავტორის ტექსტს.

• სახელმძღვანელოს ერთვის:

1. ძველბერძნულ-ქართული ლექსიკონი;
2. ქართულ-ძველბერძნული ლექსიკონი;
3. გრამატიკული ტაბულები;
4. ბერძნული მეტრიკის შესახებ ინფორმაცია;
5. ფაკულტატიური საკითხავი ტექსტები.



დამატებითი მეთოდოლოგიური შენიშვნები

კითხვის წესები ნაწილდება რამდენიმე გაკვეთილზე, ვინაიდან, როგორც ძველი ბერძნული ენის სწავლების გამოცდილება გვიჩვენებს, ერთბაშად მათი აღქმა სტუდენტს, როგორც წესი, უჭირს. ამიტომ თავდაპირველად მას მოეთხოვება ასოების მოხაზულობის პრაქტიკული ათვისება, შემდეგ – მახვილების დასმა და კითხვა, შემდეგ – ფშვინვის ნიშნებისა... იგი თანდათან უნდა შეეჩვიოს ბერძნული სიტყვების უღერადობას და სტრუქტურას, დიაკრიტიკულ ნიშნებს.

პირველი ნაწილის დასრულებისას სტუდენტმა უნდა შეძლოს გაბმულ ტექსტში დიაკრიტიკული ნიშნებისა და მისთვის უკვე ცნობილი ლექსიკის ამოცნობა.

სახელმძღვანელოს თითოეულ ნაწილს აქვს წამყვანი თემა (მაგ.: მოქმედებითი გვარის ზმნის უღლება აწმყოსა და იმპერფექტუმში, II კანკლედობის სახელის ბრუნება...), თუმცა ყურადღება სხვა საკითხების შესწავლასაც ეთმობა. სასურველია, სახელმძღვანელოს ნაწილებში სახელთან და ზმნასთან დაკავშირებული თემები მონაცვლეობდეს (ანუ თუ პირველ ნაწილში ზმნასთან დაკავშირებული თემა იქნება წამყვანი, მეორე ნაწილში მას სახელი შეენაცვლოს და ა. შ.).

იმ გრამატიკული ფორმების გარდა, რომელთა შესწავლაც არის განსაზღვრული ამა თუ იმ გაკვეთილზე, ტექსტში წინდაწინ საგანგებოდ არის შეტანილი ერთი-ორი უცნობი ფორმაც (იქვე სათანადო განმარტებითურთ), რომელთა შესწავლასაც მომდევნო გაკვეთილები ეთმობა.

მეტყველების ნაწილების შესწავლა იწყება ზმნიდან, რადგან ზმნა შეიძლება იყოს წინადადება. სტუდენტს ამგვარად უფრო გაუადვილდება ალლო აულოს ბერძნული წინადადების წყობას და თარგმნოს ის ქართულად, მით უფრო, რომ ზმნა მართავს სახელის ბრუნვას.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ბერძნულ და ქართულ ზმნის გვარებს შორის განსხვავების გააზრებას (მიუხედავად ტერმინოლოგიური იგივეობისა: მოქმედებითი, საშუალი, ვნებითი). დასაწყისისათვის ძირითადი

ყურადღება ეთმობა მოქმედებითი გვარის რაობის გაცნობიერებას, შემდეგ კი შეისწავლება ვნებითი და საშუალო გვარის ზმნებიც.

ასევე საგანგებოდ აღინიშნება განსხვავება ბერძნულ განუსაზღვრელ ფორმასა (ინფინიტივუსსა) და ქართულ საწყისს (მასდარს), ბერძნულ პარტიციპიუმსა და ქართულ მიმდებარეობას შორის.

ორობითი რიცხვის (დუალისის) ფორმათა სწავლება პირველ დონეზე ფაკულტატიურია (ანუ სავალდებულო არ არის).

იმპერფექტუმის ფორმათა სწავლებისას ერთი გაკვეთილი ეთმობა აუგმენტის დართვის წესებს თანხმონით დაწყებულ ზმნებზე, შემდეგი გაკვეთილი კი – ხმონით დაწყებულ ზმნებზე. ამის შემდეგ ცალკე ისწავლება პრევერბიანი ზმნების იმპერფექტუმის ფორმათა წარმოება.

რაც შეეხება ზმნასთან დაკავშირებულ ტერმინოლოგიას, უპირატესობა მიენიჭება ლათინურ დასახელებას (მაგ., ინფინიტივუსი, პერფექტუმი...), ვინაიდან ბერძნული ზმნის კატეგორიები ხშირ შემთხვევაში განსხვავებულია არა მხოლოდ ქართული, არამედ ასევე თანამედროვე დასავლეთ ევროპული ენების ზმნათა ანალოგიური დასახელების კატეგორიებისაგან. უკვე დამკვიდრებული წესის შესაბამისად, პარალელურად იქნება გამოყენებული ტერმინთა ქართული და ლათინური დასახელებები (მაგ., საშუალო გვარი და მედიუმი).

სახელის ბრუნებასთან დაკავშირებული ზოგადი წესები (მახვილის ადგილი, ნეიტრალური სქესის სახელთა ბრუნების თავისებურებები და სხვ.) ისწავლება II კანკლედობის მიხედვით.

ბრუნვები ლაგდება შემდეგი თანამიმდევრობით:

სახელობითი

ბრალდებითი (აკუზატივუსი)

მიცემითი

ნათესაობითი

წოდებითი

ბრუნვის ფორმათა ამგვარი თანამიმდევრობით დამახსოვრება გაცილებით ადვილია, ვინაიდან წარმოდგენილი რიგი ითვალისწინებს: 1. ბრუნვის ფორმების ერთმანეთთან მსგავსებას წარმოების თვალსაზრისით (კერძოდ, გვერდიგვერდ განლაგდება, ერთი მხრივ, სახელობითი და აკუზატივუსი, მეორე მხრივ – მიცემითი და ნათესაობითი, ხოლო წოდებითი, როგორც არტიკლის არმქონე ბრუნვა, ბოლო ადგილს იკავებს); 2. ქართული ბრუნვების რიგთან შესაბამისობას, ერთადერთი გამონაკლისით: ქართულისათვის სპეციფიკურ ქვემდებარის ბრუნვას, მოთხრობითს, ენაცვლება ქართულში არარსებული აკუზატივუსი – პირდაპირი ობიექტის ბრუნვა.

საშუალო სქესის ნაცვლად შემოგვაქვს ტერმინი ნეიტრალური სქესი, როგორც უფრო ადეკვატური ბერძნულ-ლათინური გრამატიკული ტერმინოლოგიისა (οὐδέτερον, neutrum).

ვინაიდან ქართული და ბერძნული ბრუნვები ყველა შემთხვევაში ერთი და იმავე ფუნქციით არ გამოიყენება (განსხვავებაა, მაგალითად, ქვემდებარის ბრუნვებს შორის და სხვ.), დასაწყისისათვის თითოეული ბრუნვის უმთავრესი ფუნქციების ასათვისებლად გათვალისწინებულია შესაბამისი სავარჯიშოები (ამ ნაწილში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა აკუზატივუსის ათვისებას, რაც ბევრისათვის არცთუ იოლი დასაძლევია (ქართულში მისი არარსებობის გამო).

აქედან გამომდინარე, წინდებულების სწავლება იწყება მესამე ნაწილიდან.

საგანგებო ყურადღება ეთმობა არტიკლის რაობის განმარტებას.

თითოეულ გაკვეთილში შეისწავლება სინტაქსური და სიტყვათწარმოების წესები.

პირველი სემესტრის მასალის ათვისების შემდეგ სტუდენტს შეიძლება მივაწოდოთ ელემენტარული ინფორმაცია ძველი ბერძნული მეტრიკის შესახებ, მცირე ტექსტები ორიგინალური პოეტური და პროზაული თხზულებებიდან: ჰომეროსის „ოდისეადან“, ასევე – იოანეს სახარებიდან.

ძველი ბერძნული ენის სწავლების მეთოდოლოგიაზე მუშაობისას და სახელმძღვანელოს შედგენისას ვიყენებთ და ვითვალისწინებთ შემდეგ ნაშრომებს:⁴

1. აბესაძე ქ., *ძველი ბერძნული ენა*, მე-2 გამოცემა, 2001.
2. გიორგობიანი თ., *მეთოდური მითითება ძველ ბერძნულ ენაში*, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1987.
3. გიორგობიანი თ., *ძველი ბერძნული ენის გრამატიკა (საღუბნო კურსი)*, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2010.
4. ნიუარაძე ი., *ძველი ბერძნული ენა*, მე-2 გამოც., თბილისი, 1965.
5. ურუშაძე ა., *ძველი ბერძნული ენა*, მე-2 გამოც., თბილისი, 1987.
6. Дороховских Л. В., *Древнегреческий язык*, 2-е изд., Уральский государственный университет, Свердловск, 1984.
7. Соболевский С. И., *Древне-греческий язык*, Учебник для высших учебных заведений, Москва, 1948.
8. Fink G., Meyer Th., *KANΘΑΡΟΣ, Griechisches Unterrichtswerk, Lese-und-Arbeitsbuch*, Stuttgart, Ernst Klett, 1982.
9. Fontanier J.-M., Menu M., *Le Grec en 15 leçons*, Presses universitaires de Rennes, 2007.
10. Löwe G., *Griechisches Lehrbuch, Einführungslehrgang*, Volk und Wissen, Volkseigener Verlag, Berlin, 1986.
11. Le Maoult J., Quesemand A., *40 leçons pour découvrir le grec ancien*, Pocket - Langues pour tous, 2007.
12. Rico Ch., *Polis, Parler le Grec ancien comme une langue vivante*, Cerf, Paris 2009.

⁴ სახელმძღვანელოში გამოყენებული ილუსტრაციები მოპოვებულია ვიკიპედიის, ლუერისა და ბრიტანული მუზეუმის ინტერნეტ-გვერდებიდან.



Handwritten text on the left margin: 537-510 BC



ძველი ბერძნული ენა

ბერძნული ენა ინდოევროპულ ენათა ოჯახს განეკუთვნება. იგი წერილობით დაფიქსირებულია ძვ. წ. XIII საუკუნიდან მიკენური - ე. წ. B-ხაზოვანი დამწერლობის ძეგლებში.

ბერძნების წინაპარი ინდოევროპელი ტომები ძვ. წ. II ათასწლეულში სახლდებიან ბალკანეთის ნახევარკუნძულზე და მცირე აზიის აღმოსავლეთ სანაპიროებზე. მოგვიანებით ბევრი ბერძნული დასახლება ჩნდება სამხრეთ იტალიასა და შავიზღვისპირეთში.

ძვ. წ. IX-IV საუკუნეებში ბერძნულ ენაში ოთხ ძირითად დიალექტს გამოყოფენ, რომლებზეც ამ პერიოდის ლიტერატურა იწერება: *იონიურს*, *ატიკურს*, *დორიულს* და *ეოლიურს*. იონიურ დიალექტს იყენებდა, მაგალითად, ეპიკური ჟანრი (ჰომეროსი, ჰესიოდე), დორიულს - საგუნდო ლირიკა (პინდარე), ხოლო ეოლიურს - მონოდიური ლირიკა (საფო).

ატიკური დიალექტი, რომელიც იონიურის განშტოებას წარმოადგენდა და რომლის საყოველთაო გავრცელებას ათენის სახელმწიფოს ძლიერებამ შეუწყო ხელი, ძვ. წ. V საუკუნიდან პროზაულ მწერლობაში იმკვიდრებს ადგილს (პლატონი, ქსენოფონტი, დემოსთენე, ასევე, დიალოგები სოფოკლეს, არისტოფანეს დრამატულ თხზულებებში).

ძვ. წ. IV-III სს-იდან, ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობათა შემდეგ ბერძნული ენის აღმოსავლეთში გავრცელებამ (ელინიზაცია) და ბერძნულ პოლისთა შორის კავშირის გამყარებამ ხელი შეუწყო დიალექტურ სხვაობათა მოშლის პროცესს. ატიკური დიალექტის საფუძველზე ყალიბდება საერთო ბერძნული ენა - *კოინე*, რომელიც სამწერლობო ენა ხდება აღმოსავლეთის უმნიშვნელოვანეს ცენტრებშიც: ალექსანდრიაში, პერგამონში, ანტიოქიაში. კოინეზე წერდნენ არისტოტელე, პლუტარქე, სტრაბონი... ეს დიალექტი უდევს საფუძველად „ახალი აღთქმის“ წიგნებსაც.

ძველი ბერძნული (ისევე, როგორც ლათინური) მკვდარ ენად იწოდება, რადგან ამ ენაზე დღეს აღარავინ ლაპარაკობს.

ბერძნული ენის განვითარების შემდგომი ეტაპებია *შუა საუკუნეების*, *ანუ ბიზანტიური ბერძნული* და *ახალი ბერძნული*. მიუხედავად იმისა, რომ შუა საუკუნეებში ძველი ბერძნული აღარ წარმოადგენს სალაპარაკო ენას, იგი სალიტერატურო ენად რჩება ბიზანტიაში მთელი მისი ათასწლოვანი არსებობის მანძილზე (IV-XV სს). ძველი ბერძნულის ტრადიციებს თანამედროვე საბერძნეთში გარკვეულწილად იცავს ე. წ. წმინდა ენა - *კათარეუსა*, რომელსაც სამეცნიერო და საეკლესიო წრეებში იყენებენ (ოფიციალური სახელმწიფო ენაა *დიმოტიკი*, ანუ „სახალხო ენა“).

ძველი ბერძნული ენის ნორმატიული გრამატიკა - ეს არის ძვ. წ. V ს-ის დასასრულისა და IV ს-ის დასაწყისის ატიკური დიალექტის გრამატიკა, ანუ იმ ენისა, რომელზეც შეიქმნა კლასიკური პერიოდის ბერძნული ლიტერატურის ბრწყინვალე ნიმუშები. ამ ენის შესწავლის შემდეგ დაინტერესებული ადამიანი იოლად შეძლებს ადლო აულოს სხვა დიალექტებსა და სხვა პერიოდების ძველ ბერძნულ ენას.

ბერძნული დამწერლობა


პირველი ბერძნულენოვანი ტექსტები მარცვლოვანი, ე. წ. **ხაზო-**ვანი დამწერლობით არის ჩაწერილი. ანბანური დამწერლობა ბერძნებს, როგორც ფიქრობენ, X-IX საუკუნეებში უნდა შეექმნათ ფინიკიური ანბანური კონსონანტური (ანუ მხოლოდ თანხმოვანი ბგერების შემცველი) დამწერლობის მიხედვით. ბერძნებმა ანბანში ხმოვნებსაც მიუჩინეს ადგილი.

თავდაპირველად, ფინიკიელების მსგავსად, ბერძნებიც მარჯვნიდან მარცხნივ წერდნენ, შემდეგ – ე.წ. ბუსტროფედონით⁵: სტრიქონშენაცვლებით მარჯვნიდან მარცხნივ და მარცხნიდან მარჯვნივ; საბოლოოდ კი დამკვიდრდა მარცხნიდან მარჯვნივ წერა.

არქაული დამწერლობა ორი სახისა იყო: აღმოსავლურ-ბერძნული და დასავლურ-ბერძნული. ეს უკანასკნელი დაედო საფუძვლად ლათინურ დამწერლობას, აღმოსავლური დამწერლობის მიხედვით კი V საუკუნეში ჩამოყალიბდა კლასიკური ბერძნული ანბანი, რომელიც საერთო ბერძნულ ანბანად იქნა აღიარებული.

ჩვენამდე მოღწეული უძველესი ანბანური დამწერლობის ეპიგრაფიკული ძეგლები ძვ. წ. VIII-VII საუკუნეებისაა: ისინი ნაწერია ქვაზე, ლითონზე, თიხის ფირფიტებზე...

საწერ მასალად ძველი ბერძნები უმთავრესად იყენებდნენ პაპირუსსა და ტყავს (ეტრატს). ქალაქი შუა საუკუნეების ბიზანტიაში შემოდის არაბეთიდან.



წარწერა დელფოში ათენელთა საგანძურის საცავზე.

ანტიკური და შუა საუკუნეების პერიოდის ბერძნული წარწერები (ათასზე მეტი) გვაქვს საქართველოს ტერიტორიაზეც, რომელთაგან უძველესები ძვ. წ. V-III საუკუნეებით თარიღდება.

უნდა აღინიშნოს ასევე, რომ ქართულ ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულია არაერთი ბერძნული ხელნაწერი – პაპირუსზე, ეტრატზე თუ ქალაქდზე ნაწერი.

⁵ βυστροφιδόν – როგორადაც ხარი შემოტრიალდება ხოლმე (იგულისხმება, ერთი კვალის დასრულების შემდეგ მეორე კვალის გასაველებად შემოტრიალება).

კლასიკური ბერძნული ანბანი

ანტიკური ხანის ბერძნების გამოთქმის შესახებ ზუსტად ვერაფერს ვიტყვით. ძველი ბერძნული ტექსტების კითხვის წესები დღესდღეობით გარკვეულ შეთანხმებას ემყარება. არსებობს ორი ძირითადი სისტემა: იოჰან როიხლინისა (1455-1522), რომელსაც ძველი ტექსტების თანამედროვე ბერძნული გამოთქმით კითხვა მიაჩნდა გამართლებულად, და ერაზმ როტერდამელისა (1467-1536), რომელიც ძველი ბერძნული სათვლის დამახასიათებელი გამოთქმის აღდგენას თვლიდა საჭიროდ⁶. როიხლინის სისტემა მიღებულია საბერძნეთში, ასევე – სხვა მართლმადიდებლური ქვეყნების სასულიერო სასწავლებლებში, ხოლო ერაზმული – დასავლურ უნივერსიტეტებში.

კლასიკურ ბერძნულ ანბანში 24 ასოა: 7 – ხმოვნებისათვის, 17 – თანხმოვნებისათვის.

მთავრული	ნუსხური	ასოთა სახელწოდება	გამოთქმა	შენიშვნები
A	α	ἄλφα ალფა	ა	მოკლე ან გრძელი
B	β	βῆτα ბეტა	ბ	
Γ	γ	γάμμα გამა	გ	გამოითქმის ᄁ (უკანაენისმიერი ნაზალური [ŋ]) γ, κ, χ, ξ ბგერების წინ: γγ – ნგ γκ – ნკ γχ – ნხ γξ – ნქს
Δ	δ	δέλτα დელტა	დ	
E	ε	ἒ ψιλόν ეფსილონ	ე (მოკლე)	
Z	ζ	ζῆτα ჰეტა	ძ	არასოდეს გამოითქმის ზ
H	η	ῆτα ეტა	ე	გრძელი
Θ	θ	θῆτα თეტა	თ	

⁶ ძველი ბერძნული ასოების უღერადობის დადგენისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება ანტიკური ხანის ბერძნული ნასესხობების დაწერილობას სხვა ენებში. მაგ., ფ-ს ლათინურში გადმოსცემდა კომპლექსი ph (φιλοσοφία > philosophia), და არა f, რაც იმას მოწმობს, რომ ძველი ბერძნული φ არ ყოფილა სპირანტი (როგორც ეს დღეს არის); ასო χ-ს შესაბამისად ადრეულ ქართულ ნასესხობებში გვაქვს ქ, და არა ხ (ქრისტე); ეს მოწმობს, რომ ჯერ კიდევ ადრეულ შუა საუკუნეებში χ-ს ქართულ ქ-სთან მიახლოებული უღერადობა ჰქონდა, და არა ის, რაც მოგვიანებით (მაგ., იოანე პეტრიწთან χρῖνος > ხრონო), ან დღესდღეობით დასტურდება.

I	ι	ἰῶτα იოტა	ი	გრძელი ან მოკლე (არასოდეს არის წერტილით)
K	κ	κάππα კაპპა	კ	
Λ	λ	λάμβδα ლამბდა	ლ	
M	μ	μῦ მიუ	მ	
N	ν	νῦ ნიუ	ნ	
Ξ	ξ	ξῖ (ξεῖ) ქსი	ქს	
O	ο	ὀ μικρόν ომიკრონ	ო	მოკლე
Π	π	πί (πεῖ) პი	პ	
P	ρ	ῥῶ რო	რ	
Σ	σ, ς	σίγμα სიგმა	ს	(არასოდეს გამო- ითქმის ზ) ς იწერება სიტყვის ბოლოს, σ – სხვა შემთხვევებში
T	τ	ταῦ ტაუ	ტ	
Υ	υ	ὕ ψιλόν ჟ-ფსილონ	ჟ, როგორც ფრანგული ა, ან გერმა- ნული u ⁷	მოკლე ან გრძელი. ძველ ქართულში მას ძირითადად გადმოსცემს ასო ჯ (სუნაქსარი, ეგვიპ- ტე), დღეს კი – ი (სინქრონი).
Φ	φ	φῖ (φεῖ) ფი	ფ	სასკოლო გამოთ- ქმად მიღებულია ასევე f
X	χ	χῖ (χεῖ) ქი (ხი)	ქ	სასკოლო გამოთ- ქმად მიღებულია ასევე b
Ψ	ψ	ψῖ (ψεῖ) ფსი	ფს	
Ω	ω	ὦ μέγα ὠმეგა	ო	გრძელი ღია

მთავრული ასოებით იწყება საკუთარი სახელები, ხალხთა და თვეთა სახელები, ასევე – ამ სახელთაგან ნაწარმოები ზედსართავი სახელები. მაგ.: Κολχίς კოლხეთი, Κολχικός კოლხური.

წინადადებას, ჩვეულებრივ, მთავრული ასოთი იწყებენ.

⁷ მაგ., ფრანგ. sujet (სიუჟეტი); გერმ. Bürger (ბიურგერი)

კარგად დაუკვირდით (Nota bene): H არის η და არა - ჰ.

P არის θ , და არა - პ.

X არის χ , და არა - ქს.

γ არის γ , და არა - γ (იგრეკი).

v არის ν , ხოლო u არის υ .

v და u არ არის φ .



უძველეს ბერძნულ ანბანში იყო ასევე ასოები:

F - Fa υ ვაუ (წარმოთქმის მიხედვით), ანუ $\delta\gamma\alpha\mu\mu\alpha$ დიგამა (მოხაზულობის მიხედვით: „ორი გამა“) - მუღერი ბაგისმიერი სპირანტი (შდრ. ინგლ. w). იგი დაცულია წარწერებში, მისი არსებობა მტკიცდება ისტორიულ-შედარებითი ანალიზითაც: ლათ. vinum < $F\alpha\iota\nu\sigma\varsigma$; სანსკრ. [avis], ლათ. ovis, ძვ. სლავ. oвьца და ბერძ. $\acute{\omicron}\iota\varsigma$ < $\acute{\omicron}F\iota\varsigma$. უძველეს ბერძნულ ანბანში F წარმოდგენილი იყო მე-ნ ადგილას, ანუ იქ, სადაც ქართულ ანბანში გვაქვს ასო ვ.

ფ კოპა - ამ ასოსაგან არის წარმომდგარი ლათინური ანბანის Q, q.
ჯ სამკი.

ხმოვნები: გრძელი და მოკლე

- მოკლე: ϵ, \circ
- გრძელი η, ω
- ხან - მოკლე, ხან - გრძელი: α, ι, υ

ხმოვნის სიგრძე ლექსიკონებში აღინიშნება ხაზით: $\bar{\alpha}, \bar{\iota}, \bar{\upsilon}$, სი-
მოკლე - რკალით: $\check{\alpha}, \check{\iota}, \check{\upsilon}$.

გრძელი ხმოვნის წარმოთქმას მოკლე ხმოვანზე ორჯერ მეტი დრო სჭირდებოდა. დღეს ორივეს ერთნაირად წარმოთქვამთ, მაგრამ ხმოვნის სიგრძის ცოდნა აუცილებელია მახვილის დასასმელად.

გრძელი და მოკლე ხმოვნების ოპოზიცია ფუნდამენტურია ძველი ბერძნული ლექსიკოლოგიისა და მორფოლოგიისათვის. გრძელი და მოკლე ხმოვნების მონაცვლეობის რიტმულობას ემყარება ანტიკური ლექსთწყობაც.

თანხმოვნები

- ხშულნი: მუღერნი, ყრუ-მკვეთრნი, ფშვინვიერნი

ბაგისმიერნი -	$\beta,$	$\pi,$	ϕ
ხორხისმიერნი -	$\gamma,$	$\kappa,$	χ
კბილისმიერნი -	$\delta,$	$\tau,$	θ

- სონორები:
 - ნარნარანი - λ, ρ
 - ნაზალურნი - μ, ν , ასევე - γ ($\gamma, \kappa, \chi, \xi$ -ს წინ)

- სპირანტი - σ
- ორმაგი თანხმოვნები:
 - $\zeta = \sigma\delta, \delta\sigma$
 - $\xi = \kappa\sigma$
 - $\psi = \pi\sigma$

ძველ ბერძნულ მეტყველებაში ისმოდა ასევე ბგერა ζ , რომელსაც გარკვეულ შემთხვევებში სიტყვის დასაწყისი ხმოვნის წინ წარმოთქვამდნენ (ასპირაციის შესახებ იხ. ქვემოთ).



A	Α	a	α
B	Β	β	β
Γ	Γ	γ	γ
Δ	Δ	δ	δ
E	Ε	ε	ε
Z	Ζ	ζ	ζ
H	Η	η	η
Θ	Θ	θ	θ
I	Ι	ι	ι
K	Κ	κ	κ
Λ	Λ	λ	λ
M	Μ	μ	μ
N	Ν	ν	ν
Ξ	Ξ	ξ	ξ
O	Ο	ο	ο
Π	Π	π	π
P	Ρ	ρ	ρ
Σ	Σ	σ, ς	σ, ς
T	Τ	τ	τ
Υ	Υ	υ	υ
Φ	Φ	φ	φ
X	Χ	χ	χ
Ψ	Ψ	ψ	ψ
Ω	Ω	ω	ω

სავარჯიშოები



1) წაკითხეთ.

ΒΑΒΥΛΩΝ	ΣΤΥΞ	ΜΑΥΣΩΛΕΙΟΝ	ΒΟΣΠΟΡΟΣ
ΛΙΒΥΗ	ΚΙΡΚΗ	ΣΥΡΙΑ	ΞΕΡΕΗΣ
ΣΦΙΓΞ	ΚΥΚΛΟΨ	ΧΡΟΝΟΣ	ΨΑΛΜΟΣ
ΓΙΓΑΝΤΕΣ	ΓΕΩΡΓΙΑ	ΔΕΝΔΡΟΝ	ΘΑΛΑΣΣΑ
ΛΟΓΧΗ	ΘΕΟΣ	ΚΙΘΑΡΑ	ΚΕΦΑΛΗ
ΔΗΜΟΣ	ΜΗΤΗΡ	ΠΑΤΗΡ	ΝΙΚΗ
ΖΕΦΥΡΟΣ	ΠΟΛΙΣ	ΠΡΟΜΗΘΕΥΣ	ΦΙΑΛΗ
ΜΗΔΕΙΑ	ΤΡΑΠΕΖΑ	ΤΕΧΝΗ	ΛΙΘΟΣ
ΠΟΝΤΟΣ	ΠΛΑΤΩΝ	ΣΩΚΡΑΤΗΣ	ΠΑΘΟΣ
ΤΡΟΙΑ	ΠΟΙΗΜΑ	ΠΑΙΔΑΓΩΓΟΣ	ΣΠΑΡΤΗ
ΔΗΜΟΚΡΑΤΙΑ	ΜΗΧΑΝΙΚΗ	ΚΑΥΚΑΣΟΣ	ΣΟΦΙΑ

2) წაკითხეთ და დაწერეთ მთავრული ასოებით:

λόγος	χορός	ζώνη	μέτρον	μελαγχολία
λυρική	φυσική	μέθοδος	κομήτης	δημοκρατία
θέατρον	τύραννος	μέταλλον	φωσφόρος	γραμματική
νομάδες	χολέρα	τετράδιον	στίχος	κροκόδειλος
σκέψις	ψυχή	νύμφη	χρυσός	ψευδώνυμος
γεωγραφία	δελφίς	λίθος	λόγος	μαθηματικός
πλανήτης	κιθάρα	φιλόσοφος	γεωμετρία	χρηστομάθεια

3) დაწერეთ გამომტოვებული ასოები.

Α Β Γ Δ Ε Θ Ι Κ Λ Μ Ν Ο Π Ρ Σ Τ Φ Χ Ω

ხმოვნები: მარტივი და რთული

ანბანში წარმოდგენილი მოკლე და გრძელი მარტივი ხმოვნების გარდა, ძველ ბერძნულში არის რთული ხმოვნები, ანუ დიფთონგები.

დიფთონგი ორი ხმოვნის შეერთებაა, რომელიც ერთ მარცვალს წარმოადგენს.

ა) საკუთრივ დიფთონგები: მოკლე ხმოვანი + მოკლე ხმოვანი:

αι = აი

αυ = აუ (აჟ)

ει = ეი

ευ = ეუ (ეჟ)

οι = ოი

ου = ოუ

υι = ჟი (ჟი)

NB როდესაც ამ ხმოვანთა შეერთება არ ქმნის დიფთონგს, მეორე ხმოვანს თავზე ორი წერტილი ეწერება: αῦ, οῖ ...

ბ) არასაკუთრივ დიფთონგები: გრძელი ხმოვანი + მოკლე ι (რომელიც არ გამოითქმის):

Αι, Ηι, Ωι = ა, ი, ო (იოტა მთავრულ ასოს გვერდით ეწერება – *iota adscriptum*)

α, η, ω = ა, ი, ო (იოტა ნუსხურ ასოს ქვეშ ეწერება – *iota subscriptum*)

მახვილი

ძველ ბერძნულში სამი სახის მახვილია:

ა) მკვეთრი მახვილი: (´) დაესმის სიტყვას ბოლოდან პირველ, მეორე ან მესამე მარცვალზე. მაგ.: καλός, λύρα, μέταλλον.


ბ) შემოსილი მახვილი: (˘) დაესმის მხოლოდ და მხოლოდ გრძელ ხმოვანს სიტყვის ბოლოდან პირველ ან მეორე მარცვალზე. მაგ.: δρᾶμα, φιλῶ.

გ) ბლაგვი მახვილი: (ˊ) დაისმის მხოლოდ და მხოლოდ სიტყვის ბოლო მარცვალზე. ის ცვლის მკვეთრ მახვილს, თუკი სიტყვას უშუალოდ მოსდევს სხვა სიტყვა. მაგ.: καλός λίθος.


მკვეთრი მახვილი რჩება უცვლელად, თუკი სიტყვის შემდეგ სასვენი ნიშანია. მაგ., ὁ λίθος ἐστὶ καλός.

NB დიფთონგებში მახვილი დაესმის მეორე ხმოვანს: Προμηθεύς.


მახვილი ძველ ბერძნულში ტონური იყო, მუსიკალური:



άνθρωπος



ήμέρα



καλός

სამი სახის მახვილი ერთმანეთისაგან განსხვავდებოდა ტონალობით. ამჟამად სამივე მახვილს ერთნაირად წარმოვთქვამთ – ხმის გაძლიერებით (და არა ხმის აწევით).

მახვილის საერთო წესები

მახვილი მოძრაია. მისი ხასიათი და მდებარეობა, გარდა ბუნებრივი წარმომავლობისა, დამოკიდებულია სიტყვის ბოლო ხმოვნის სიტყვიერების მოკლეზე:

ა) მკვეთრი მახვილი სიტყვის ბოლოდან მესამე მარცვალზე (ანუ, რაც შეიძლება, შორს ბოლოდან), მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება იყოს, თუ ბოლოდან პირველი ხმოვანი მოკლეა: მაგ., Μήδεια.

ბ) შემოსილი მახვილი სიტყვის ბოლოდან მეორე მარცვალზე (ანუ, რაც შეიძლება, შორს ბოლოდან), მხოლოდ იმ შემთხვევაშია, თუ ბოლო ხმოვანი მოკლეა: მაგ., Παῦλος.

კავშირი καί - და

იგი დაისმის ორ დასაკავშირებელ სიტყვას შორის: Θησεύς καὶ Περσεύς.

სამი ან მეტი სიტყვის დაკავშირებისას καί შეიძლება ყველა სიტყვას შორის გამეორდეს: Δελφοὶ καὶ Θῆβαι καὶ Σπάρτη.

წინადადების დასაწყისში ან სიტყვის წინ καί-ს მნიშვნელობა შეიძლება იყოს: -ც, ასევე. მაგალითად: καὶ Γερμανοὶ καὶ Φοίνικες გერმანელებიც და ფინიკიელებიც, καὶ Γίγαντες ასევე გიგანტებიც.

სავარჯიშოები

1) წაიკითხეთ. კიდევ რომელი ღმერთების სახელები გახსოვთ მითებიდან?

Δημήτηρ καὶ Διόνυσος καὶ Ζεὺς καὶ Ποσειδῶν

2) წაიკითხეთ. ყურადღება მიაქციეთ მახვილის გამოთქმას:

Βοιωτία	Λακεδαίμων	Κολχίς	Λαβύρινθος
Καύκασος	Θράκη	Πέρσης	Λακεδαιμόνιοι
Πλάταιαι	Φοίνικες	Ζεὺς	Ποσειδῶν
Δημήτηρ	Θησεύς	Σφίγξ	Μήδεια
Τροία	Προμηθεύς	Μοῦσα	Νηρέυς
Χείρων	Δευκαλίων	Κλειώ	Θουκυδίδης
Πλούτων	Κένταυρος	Γύγης	Πειραιεύς
Θάλεια	Λουκιανός	Καίσαρ	Παυσανίας
Λυκούργος	Ζεῦξις	Φειδίας	Σοφοκλῆς
Πεισίστρατος	Παρθενών	Θαλῆς	Λύσιππος
Πλούταρχος	Κροῖσος	Παῦλος	Κύκλωψ

4) წაკითხეთ. გამოყავით სიტყვები:

- ა) ბოლო მარცვალზე მახვილით;
- ბ) ბოლოდან მესამე მარცვალზე მახვილით;
- გ) ბოლოდან მეორე მარცვალზე შემოსილი მახვილით;
- დ) ბოლოდან მეორე გრძელ მარცვალზე მკვეთრი მახვილით.

თითოეულ სიტყვაში დაუკვირდით მახვილიანი ხმოვნისა და ბოლო ხმოვნის სიგრძეს:

ζώνη, φωνή, μέτρον, δελφίς, νύμφη, λυρική, φυσική, μέθοδος, κομήτης, θέατρον, τύραννος, πλανήτης, νομάδες, χολέρα, δῶρον, τραγωδία, κωμωδία, τετράδιον, ζῶον, κροκόδειλος, λυρικός, στίχος, ψευδώνυμος, γεωμετρία, χρηστομάθεια, γεωγραφία, χρόνος, χορός, μαθηματικός, νεῦρον, σκέψις, μελωδία, παιδαγωγός, μελαγχολία, μουσεῖον, φωσφόρος, φυσική, φῶς, βοτανική, διάγραμμα, δράμα, μέταλλον, σύνταξις, τύραννος, ψυχή, γεωργός, φίλος, σοφός, λόγος, φιλόσοφος, φιλόλογος, φιλοσοφία, πάπυρος, βάρβαρος, βίβλος, κύριος, ἄγρός, ποταμός, δίσκος, κάμηλος, χριστιανός, γυμνάσιον, στάδιον, σάνδαλον, φάρμακον, δῆμος, μῦθος, κιθάρα, λίθος, μήτηρ, νίκη, ξενία, πατήρ, ποίημα, πόλις, γραμματική καὶ μαθηματική, φιάλη, χρυσός, ποιητής



კილიქსი. სასმელი ჭურჭელი (ძვ. წ. V ს)

კროტალონებით მოცეკვავე ქალის გამოსახულებით.



ძველ ბერძნულში ზმნას აქვს შემდეგი მორფოლოგიური რიები:

პირი: პირველი, მეორე, მესამე.

რიცხვი: მხოლობითი, ორობითი⁸, მრავლობითი.

გვარი: მოქმედებითი, საშუალი, ვნებითი (ზოგიერთ ზმნას სამივე გვარი ეწარმოება, ზოგიერთს – ორი, ზოგიერთი ზმნა კი ერთადერთი გვარით დასტურდება).

კილო: თხრობითი, კავშირებითი, ნატვრითი, ბრძანებითი.

დრო: აწმყო, მყოფადი, ნამყო სრული, მყოფადი სრული (მთავარი დროები), ნამყო უსრული, აორისტი, ნამყო წინარეწარსული (ისტორიული დროები).

ასპექტის კატეგორია უშუალოდ უკავშირდება დროის ფორმებს. იგი სამი სახისაა: უსრული, სრული და ნეიტრალური.

სახელზმნა: ინფინიტივუსი, მიმღეობა, ნაზმნარი ზედსართავი სახელი (სახელზმნა ბერძნულში მეტი ზმნური ნიშნით ხასიათდება, ვინემ ქართულში).

ინფინიტივუსი

ინფინიტივუსს ზმნის განუსაზღვრელ ფორმას უწოდებენ: მას არ გააჩნია პირის, რიცხვისა და კილოს გაგება, მაგრამ აქვს გვარისა და ასპექტის, ხოლო გარკვეულ შემთხვევებში – დროის გაგებაც (დროის კატეგორია არ გააჩნია ქართულ საწყისისს).

მოქმედებითი გვარი (აქტივი, genus activum)⁹

ზმნა მოქმედებითი გვარისაა, თუკი მას აწმყო დროის თხრობითი კილოს მხოლობითი რიცხვის პირველ პირში აქვს დაბოლოება -ω ან -μι.

ბერძნული მოქმედებითი გვარის ზმნის პირი არის მოქმედების განმახორციელებელი, რომელსაც სამოქმედო ობიექტი შეიძლება მოეპოვებოდეს, შეიძლება – არა. მაგ.: γράφω (ვწერ) გარდამავალი ზმნაა, ანუ მისი სუბიექტისთვის მოიაზრება სამოქმედო ობიექტი (ვწერ რას?); βάλω (დავდივარ) გარდაუვალია, ანუ სამოქმედო ობიექტი სუბიექტისათვის არ მოიაზრება.

*თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ბერძნულში ერთი და იგივე ზმნა შეიძლება გაიგებოდეს ხან როგორც გარდამავალი, ხან – როგორც გარდაუვალი. მაგ., βάλω შეიძლება ასევე ნიშნავდეს: მიმყავს. გარდამავალ ზმნას ბერძნულში შესაძლებელია ჰქონდეს აბსოლუტური გაგებაც. შდრ. ქართულში: ყვავილს დააბიჯა (გარდამავალი ზმნა) და უშნოდ დააბიჯებს (აბსოლუტური გაგებით); მზე ანათებს დედამიწას და მზე ანათებს (აბსოლუტური გაგებით), ვერ ხედავს მას და ვერ ხედავს (= თვალს აკლია).

⁸ ორობითი რიცხვი უმთავრესად გამოიყენებოდა ერთმანეთთან მყარად ასოცირებულ საგნებზე ან პირებზე (მაგ., დემეტრა და პერსეფონე), ასევე – წყვილ საგნებზე (მაგ.: თვალები, ხელები...) საუბრისას.

⁹ ვნებითსა და საშუალ გვარს მოგვიანებით ვისწავლით.

უღლება

ბერძნულში უღლების ორი ძირითადი ტიპია: ა უღლება და ბ უღლება.



ა უღლება

ამ ტიპის უღლებას განეკუთვნება ზმნების უმრავლესობა, რომელთაც პირველი პირის ნიშნად აწმყო დროის მოქმედებით გვარში აქვთ ა (ამავე უღლებას განეკუთვნება ის ზმნებიც, რომელთაც საერთოდ არ გააჩნიათ მოქმედებითი გვარის ფორმები, თუმცა საშუალ-ვნებითის ფორმებს სწორედ ა უღლების ზმნების ანალოგიურად აწარმოებენ).

ზმნის პირის ნიშნები

პირის ნიშნები ბერძნულ ზმნას დაერთვის მხოლოდ და მხოლოდ ბოლოს, განსხვავებით ქართულისაგან (შდრ.: ვ-წერ, წერ-ს...).

აწმყო დრო (praesens)

ძირითადად აღნიშნავს: 1. საუბრის მომენტის თანადროულ მოქმედებას: მაგ., ვწერ (ახლა, საუბრის მომენტში); 2. ჩვეულ ან განმეორებად მოქმედებას: ვწერ (ხოლმე, ხშირად...).

პირის ნიშნები ზმნის აწმყო დროის ფუძეს დაერთვის **ο** და **ε** შემაერთებელი ხმოვნების მეშვეობით (ზოგიერთ ფორმაში შემაერთებელი ხმოვანი შერწყმულია ზმნის პირის ნიშანთან):

მოქმედებითი გვარი (activum), თხრობითი კილო (indicativus)

პირი	მხოლობითი (singularis)	მრავლობითი (pluralis) ¹⁰
1	-ω	-ο-μεν
2	-εις	-ε-τε
3	-ει	-ουσιν(ν)*

* ουσιν-ს, როდესაც მას მოსდევს ხმოვნით დაწყებული სიტყვა ან სასვენი ნიშანი, შეიძლება დაერთოს ν კეთილხმოვნებისათვის.

ინფინიტივისი (infinitivus): -ειν

NB

- ზმნა ლექსიკონში წარმოდგენილია მოქმედებითი გვარის აწმყო დროის პირველი პირის ფორმით (λέγω).

¹⁰ ორბითი რიცხვის (dualis) ფორმათა სწავლება პირველ დონეზე სავალდებულო არ არის.

- მახვილი ზმნასთან არის შეძლებისდაგვარად შორს სიტყვის ბოლოდან, ანუ რამდენადაც ამის საშუალებას იძლევა მახვილის საერთო წესები.
- ზმნის პირის ნიშნები გარკვევით აღნიშნავენ პირს, რის გამოც პირის ნაცვალსახელების გამოყენება აუცილებელი არ არის (ისევე, როგორც ქართულში).

უძლების ნიმუშები:

მხოლ.	1. λέγ-ω	ვამბობ	παιδεύ-ω	(აღ)ვზრდი
	2. λέγ-εις	ამბობ	παιδεύ-εις	ზრდი
	3. λέγ-ει	ამბობს	παιδεύ-ει	ზრდის
მრავლ.	1. λέγ-ο-μεν	ვამბობთ	παιδεύ-ο-μεν	ვზრდით
	2. λέγ-ε-τε	ამბობთ	παιδεύ-ε-τε	ზრდით
	3. λέγ-ουσιν(ν)	ამბობენ	παιδεύ-ουσιν(ν)	ზრდიან

ინფინიტივუსი: λέγειν ღაპარაკი, თქმა; παιδεύειν აღზრდა.

ზმნიზედა (ἐπίρρημα, adverbium)

ზმნიზედა ფორმაუცვლელი სიტყვაა, რომელიც ზმნას ერთვის; იგი განსაზღვრავს ზმნით აღნიშნული მოქმედების დროს, სივრცეს, ვითარებას, მიზეზს, მიზანს და სხვ. (შდრ. ქართულში: ძირს, მაღლა, პირდაპირ, დღეს, კარგად, ჩქარა, ამიტომ).

ზმნიზედები ერთმანეთისაგან განსხვავდება წარმომავლობისა და წარმოების მიხედვით. მაგ., პირველადი ზმნიზედაა νῦν ახლა, ამჟამად, ნაწარმოები ზმნიზედაა καλῶς მშვენივრად, კარგად (ზედსართავი სახელისაგან καλός მშვენიერი)

* ზოგიერთ ზმნიზედას ზოგჯერ წინ უძლის უმახვილო ἄς¹¹, რომელიც არ ცვლის მის მნიშვნელობას: ἄς ἀληθῶς ნამდვილად, მართლაც.

სასვენო ნიშნები

ძველი ბერძნული ტექსტებისათვის გამოყენებულია შემდეგი სასვენო ნიშნები:

- წერტილი (.) და მძიმე (,) იმავე დანიშნულებისაა, რაც ქართულ ტექსტებში.
- წერტილ-მძიმე (;) შეესაბამება ჩვენს კითხვის ნიშანს (πῶς ; სად?).
- სიტყვის გვერდით, სტრიქონის ზემოთ დაწერილ წერტილს (·) ეწოდება კოლონი და მნიშვნელობით უდრის ჩვენს წერტილ-მძიმეს ან ორწერტილს.

ძახილის ნიშანი ძველ ბერძნულ ტექსტებში არ გამოიყენება.

¹¹ უმახვილო სიტყვების შესახებ შემდეგ გაკვეთილში შეიტყობთ.

ლექსიკა

λέγω ვაძობ, ვლაპარაკობ
μανθάνω ვსწავლობ, ვიგებ
διδάσκω ვასწავლი
γράφω ვწერ
ψεύδω ვცრუობ
γινώσκω შევიცნობ, ვცნობ, ვიგებ, მესმის
βαίνω დავდივარ, მივდივარ
πίπτω ვეცემი
μένω ვიმყოფები, ვრჩები
βιοτεύω ვცხოვრობ; ვარსებობ
τοῦτο ეს (ნეიტრ. სქესი)
ταῦτα ესენი (ნეიტრ. სქესი)
νῦν ახლა, ამჟამად
καλῶς მშვენივრად, ლამაზად, კარგად
κακῶς ცუდად
ποῖ; საით?
πόθεν; საიდან?
πού; სად?
πῶς; როგორ?
χρή (+ ობვიინ.) საჭიროა
δεῖ (+ ობვიინ.) უნდა, საჭიროა

სავარჯიშოები

1) აუღიჯეთ ზმნებია. μανθάνω, γράφω, ψεύδω, βαίνω

2) თარგმნეთ.

1. Νῦν μανθάνομεν.
2. Πόθεν βαίνεις;
3. Νῦν χρή γράφειν.
4. Δεῖ καλῶς γράφειν.
5. Πῶς τοῦτο λέγεις;
6. – Πῶς βιοτεύετε; – Καλῶς.
7. – Πόθεν πίπτει;
8. Ποῦ μένετε;
9. – Πῶς διδάσκουσιν; – Κακῶς.

3) შეადგინეთ წინა სავარჯიშოს მსგავსი წინადადებები.

ფშვინვა (ასპირაცია)

ხმოვნი დაწყებულ სიტყვას ძველ ბერძნულში აუცილებლად აქვს ასპირაციის ნიშანი: სუსტის ან ძლიერისა.

- სუსტი ფშვინვა (') არ გამოითქმის: ἔγώ [ეგრ'] – მე
- ძლიერი ფშვინვა (') გამოითქმის, როგორც Ϝ: Ἑλλάς [ჰელლას] – ელადა, საბერძნეთი.

υ სიტყვის დასაწყისში ყოველთვის ძლიერი ფშვინვითაა: ὑγιεινός [ჰუგიენოს] ჯანსაღი.

ასევე თანხმოვან ρ-ს სიტყვის დასაწყისში ძლიერი ფშვინვა ეწერება, მაგრამ არ გამოითქმის: ῥήτωρ [რეტორ] – ორატორი.

სიტყვის შიგნით ორი ρ შესაძლოა სუსტი და ძლიერი ფშვინვით დაიწეროს: Πύρρος [ჰურროს] პიროსი; ἐπίρρημα [ეპირრემა] ზმნიზედა.

NB

- ნუსხურ ასოს ფშვინვის ნიშანი ეწერება თავზე (ρ, ᾶ, ᾷ).
- როდესაც ხმოვანს ერთდროულად მოუდის მახვილისა და ფშვინვის ნიშნები, ჯერ იწერება ფშვინვის ნიშანი, შემდეგ – გვერდით – მკვეთრი ან ბლაგვი მახვილი (ᾶ, ᾷ, ᾶ, ᾷ), ხოლო თავზე – შემოსილი მახვილი (ᾶ, ᾷ).
- მთავრულ ასოს მახვილისა და ფშვინვის ნიშნები ეწერება მარცხნივ, სტრიქონის ზემოთ ('P, 'A, 'A, "A, 'A).
- დიფთონგებში ფშვინვის ნიშანი, ისევე როგორც მახვილისა, მეორე ხმოვანს ეწერება, იმ შემთხვევაშიც, როდესაც პირველი ხმოვანი მთავრულია (αι, Αι, აῖ, Αῖ, აῖ, Αῖ).
- არასაკუთრივ დიფთონგებს მახვილი და ფშვინვის ნიშანი დაესმის პირველ გრძელ ხმოვანზე (ᾶ, 'Αι, ᾷ, "Αι, ᾶ, 'Αι).


სავარჯიშო საკითხავი.

ყურადღება მიაქციეთ ასპირაციის ნიშნებს.

'Ρέα, 'Αθηνᾶ, 'Απόλλων, "Αρης, "Αρτεμις, 'Αφροδίτη, 'Ερμῆς, 'Ερως, 'Εστία, "Ηρα, "Ηφαιστος, "Ιακχος, 'Ηρακλῆς, 'Ορφεύς, "Αιδης, Εὐτέρπη, 'Ερατώ, Οὐρανία, "Ατλας, "Εκτωρ, 'Ελένη, 'Αχιλλεύς, 'Αγαμέμνων, 'Οδυσσεύς, Οἰδῖπους, 'Ωρίων, "Ηλιος, Πύρρος, Πύρρων, 'Αλέξανδρος, "Ομηρος, Αἰσχύλος, 'Αρχίλοχος, 'Αριστοτέλης, Αἰσχίνης, 'Αλκαῖος, 'Ανακρέων, 'Αντιφῶν, 'Αππιανός, 'Αριστοφάνης, 'Αρρίανός, 'Αρχιμήδης, 'Επίκουρος,

Εὐκλείδης, Εὐριπίδης, Ἡρόδοτος, Ἡσίοδος, Ὑπερείδης, Αὐγείας,
'Ἴπποκράτης, Αἴσωπος, Ἀθηναί, Αἴγυπτος, Αἴγινα, Ἀσία, Ἀττική,
'Ελευσίς, Εὐρώπη, Ἑλλάς, Ἰβερία, Ἰταλία, Ῥώμη, Ὀλυμπία,
'Ρόδος, Εὐφράτης, Ῥῆνος

ἄγγελος, ἄγχι, γεωργία, δένδρον, ἐγώ, ἡσυχία, ἥλιος, θεός,
ἵππος, ῥόδον, σοφία, στήλη, ἀστρονομία, αὐτονομία, ὕλη, ὕδωρ,
ῶρα, ἀκαδημία, ἀριθμητική, τράπεζα, ἀρχαιολογία, τέχνη, ἐπί-
γραμμα, ἔπος, ἦρωσ, ἵππόδρομος, ἵπποπόταμος, ἱστορία, οὐρανός,
ὕμνος, ὠκεανός, ἀήρ, ὠδή, οἶστός, ἄϋπνος, φῶς, οἶνος, ὄνομα, ῥῆμα,
ἐπίθετον, ἐπίρρημα, αὐτόματος, εἰρήνη, ἰδέα, ῥεῦμα, ὠδαί,
αἰθήρ, ἐλεφάς, ἤλεκτρον, ὀρίζων, ῥυθμός, οἶκος, ἀγορά, ἡγεμών



Նահտեցեալ. թշ. V և (հրատարակուց: C. Morey, 1903)

ზმნა. ბრძანებითი კილო (imperativus)

ბრძანებით კილოს დროის სამი ფორმა აქვს: აწმყო, აორისტი და პერფექტუმი. აწმყოსა და აორისტის ბრძანებითს შორის განსხვავება ასპექტისმიერია (და არა დროისმიერი): γράφε *წერე*, γράψου *დაწერე*.

აწმყო დრო, მოქმედებითი გვარი

პირი	მხოლოდითი (singularis)	მრავლობითი (pluralis)
2	-ε	-ε-τε
3	-έ-τω	-ό-ντων ან -έ-τωνσαν

პირველი პირისადმი ბრძანების გამოსახატავად გამოიყენება კავშირებითი კილოს ფორმები (შდრ. ანალოგიური შემთხვევა ქართულში).

უღლების ნიმუშები:

მხ. 2.	γράφ-ε	წერე	παίδευ-ε	აღზარდე	βαίν-ε	იარე
3.	γραφ-έ-τω	წეროს	παιδευ-έ-τω	აღზარდოს	βαιν-έ-τω	იაროს
მრ. 2.	γράφ-ε-τε	წერეთ	παιδευ-ε-τε	აღზარდეთ	βαίν-ε-τε	იარეთ
3.	γραφ-ό-ντων ან γραφ-έ-τωνσαν	წერონ	παιδευ-ό-ντων ან παιδευ-έ-τωνσαν	აღზარდონ	βαιν-ό-ντων ან βαίν-έ-τωνσαν	იარონ

NB ვინაიდან ზმნაში მახვილი დაისმის ბოლოდან, რაც შეიძლება, შორს, ამიტომ იგი წარმოდგენილ ფორმებში:

1. ბოლოდან მესამე მარცვალზეა (ამაზე შორს მახვილი არ გადადის), როდესაც ბოლოდან პირველი მარცვალი მოკლეა;
2. ბოლოდან მეორე მარცვალზე გადმოინაცვლებს, როდესაც ბოლოდან პირველი მარცვალი გრძელია;
3. ორმარცვლიან ფორმებში ბოლოდან მეორე გრძელ მარცვალს შემოსილი მახვილი აქვს, თუკი ბოლოდან პირველი ხმოვანი მოკლეა (იხ. მახვილის საერთო წესები).

უარყოფა ზმნასთან

თხრობითი კილოს ფორმებთან გამოიყენება ნაწილაკი **οὐ**, ბრძანებით კილოსთან – **μὴ**. მაგ.: οὐ λέγεις. *არ ლაპარაკობ, არ ამბობ.*
μὴ λέγε. *ნუ ლაპარაკობ! ნუ ამბობ!*

უარყოფითი ნაწილაკი οὐ (οὐκ, οὐχ): არ, არა

οὐ – თანხმოვნით დაწყებული სიტყვის წინ: οὐ μαυθαίνω *არ ვსწავლობ.*
οὐκ – სუსტი ასპირაციის ხმოვნით დაწყებული სიტყვის წინ: οὐκ εἶ... *კარგად არ...*

οὐχ – ძლიერი ასპირაციის ხმოვნით დაწყებული სიტყვის წინ:
οὐχ ὕμνος... ჰიმნი არა...

οὐ ნაწილაკი უმახვილოა. მხოლოდ ერთ შემთხვევაშია იგი მახვი-
ლიანი (οὐ) – წინადადების ბოლოს: Ἐγὼ μὲν πιστεύω, σὺ δ' οὐ. მე მჯერა,
შენ კი – არა.

გაფშირი დე – ხოლო, ...კი

დე განეკუთვნება ბერძნულ მაკავშირებელ სიტყვათა იმ ჯგუფს, რომლებიც ყოველთვის მოსდევენ სხვა სიტყვას და არასოდეს იწყებენ წინადადებას (შდრ. ქართულში კავშირი კი მან კი თქვა...).

ხმოვნის წინ დე-ს ხმოვანი ამოვარდება და მის ადგილას აპოსტროფი იწერება: დ'(იხ. მაგალითი ზემოთ)¹².

დე ხშირად გვხვდება წყვილში μέν-თან ერთად (იხ. ქვემოთ).

მაპირისპირებულ გაფშირთა წყვილი μέν ... დე

წინადადების ერთ ნაწილში μέν ახლავს სიტყვას, რომელთან აზრობრივად დაპირისპირებულ სიტყვას წინადადების მეორე ნაწილში ახლავს დე (ხმოვნის წინ – დ'). მაგ.: Ἐγὼ μὲν ἀληθεύω, σὺ δὲ ψεύδεις. მე ვამბობ მართალს, შენ კი ცრუობ (მთქმელი აქცენტს აკეთებს სიტყვებზე: მე და შენ).

Ἀληθεύω μὲν ἐγώ, ψεύδεις δὲ σὺ. მართალს მე ვამბობ, სიცრუეს კი – შენ (მთქმელი მთავარ აქცენტს აკეთებს სიტყვებზე: სიმართლის თქმა და სიცრუის თქმა).

ლექსიკა

πιστεύω მჯერა, მწამს

ἀληθεύω სიმართლეს ვამბობ

θαυμάζω მიკვირს, აღმაფრთოვანებს

ἐσθίω ვჭამ

πίνω ვსვამ

παίζω ვთამაშობ, ვერთობი, ვხალისობ

εὖ კარგად

ἀεὶ მუდამ, ყოველთვის

πολλάκις ხშირად

ἦδη უკვე

ἐγὼ მე

σὺ შენ

ἡμεῖς ჩვენ

ὕμεις თქვენ

οὕτως, οὕτως ამგვარად

¹² ფონეტიკურ კანონებს უფრო დაწვრილებით შემდეგ გაკვეთილში გაეცნობით.

Μετρίως ἔσθιε καὶ πίνε καὶ παίζε ზომიერად ჭამე, სვი და გაერთე!

სავარჯიშოები

1) *თარგმნეთ*. 1. Ἐγὼ μὲν ἀληθεύω, σὺ δ' οὐ. 2. Οὐ θαυμάζεις; 3. Οὐκ εὐμανθάνω. 4. Σὺ ἀεὶ ψεύδεις. 5. Ἄεὶ ἀληθεύω. 6. Οὕτω γράφε. 7. Νῦν ἤδη εὐ γράφετε. 8. Πολλάκις θαυμάζουσιν. 9. Ὑμεῖς μὲν βαίνετε, ἡμεῖς δὲ μένομεν. 10. Οὐ μετρίως ἔσθίουσιν.

2) *თარგმნეთ ქართულიდან ბერძნულად*: 1. შენ გიკვირს, მე კი – არა. 2. არ გჯერა? 3. უკვე მჯერა. 4. – ხშირად ცრუობს? – დიახ. 5. ამგვარად წერენ და ლაპარაკობენ. 6. თქვენ კარგად წერთ და ლაპარაკობთ, ჩვენ კი – არა. 7. მეტიხმეტად ცუდად წერ. 8. ყოველთვის სიმართლე თქვი. 9. ახლა ითამაშეთ! 10. უკვე ვთამაშობთ.

3) *თარგმნეთ და აუღლეთ თხრობით კილოში*. არ მჯერა, არ გჯერა....

4) *თარგმნეთ და აუღლეთ ბრძანებით კილოში*. ნუ ცრუობ, ნუ ცრუობს...

ხმოვანთა შეხვედრა (ჰიატუსი)

ატკური დიალექტი სხვადასხვა საშუალებას მიმართავს ჰიატუსის თავიდან ასაცილებლად. ეს არის¹³:

***კონტრაქცია** – ხმოვანთა შერწყმა სიტყვის შიგნით: $\phi\lambda\acute{\epsilon}\omega > \phi\lambda\acute{\omega}$ მიყვარს.

***კრასისი** – სიტყვის ბოლოკიდური ხმოვნის შერწყმა მომდევნო სიტყვის ხმოვანთან, რაც სიტყვათა შერწყმას იწვევს. კრასისის ნიშანს (') ეწოდება კორონისი: $\kappa\alpha\iota \acute{\epsilon}\gamma\omega > \kappa\acute{\alpha}\gamma\omega$ მეც.

NB კორონისი ჰგავს სუსტი ასპირაციის ნიშანს, მაგრამ, ამ უკანასკნელისაგან განსხვავებით, სიტყვის შიგნითაა.

ელიზია – სიტყვის ბოლოკიდური ხმოვნის ამოვარდნა მომდევნო სიტყვის ხმოვანთან შეხვედრისას. ელიზიას ექვემდებარებიან მოკლე ხმოვნები, გარდა ν -სა. ელიდირებული ხმოვნის ადგილას დაისმის აპოსტროფი ('): $\acute{\alpha}\lambda\lambda\acute{\alpha} \acute{\epsilon}\gamma\omega > \acute{\alpha}\lambda\lambda' \acute{\epsilon}\gamma\omega$ არამედ მე.

ელიდირებული სიტყვის ბოლოკიდური ყრუ ბგერა (π, κ, τ) ფშვინვიერად (ϕ, χ, θ) იქცევა მომდევნო სიტყვის ფშვინვიერ ბგერებთან: $\acute{\nu}\pi\theta \acute{\eta}\mu\omega\nu > \acute{\nu}\phi' \acute{\eta}\mu\omega\nu$ ჩვენ მიერ.

NB აპოსტროფი არ უნდა აგვერიოს სუსტ ასპირაციაში, რადგან ეს უკანასკნელი მხოლოდ და მხოლოდ სიტყვის დასაწყის ხმოვანს დაესმის.

***აფერესისი** – შებრუნებული ელიზია, ანუ სიტყვის თავკიდური ხმოვნის ამოვარდნა წინამდებარე სიტყვის ხმოვანთან შეხვედრისას: $\acute{\eta} \acute{\epsilon}\gamma\omega > \acute{\eta}' \gamma\omega$ ან მე.

ევფონია – სიტყვათა შორის ჰიატუსის თავიდან ასაცილებლად წინამდებარე სიტყვის ბოლო ხმოვანზე თანხმოვნის დართვა. უმთავრესად, ეს არის ν . ევფონიური ν -ს მაგალითი ჩვენ უკვე შეგვხვდა ზმნის უღლებისას: $\gamma\rho\acute{\alpha}\phi\omicron\upsilon\sigma\upsilon$ თანხმოვნით დაწყებული სიტყვის წინ, $\gamma\rho\acute{\alpha}\phi\omicron\upsilon\sigma\upsilon\nu$ ხმოვნით დაწყებული სიტყვის, ან სასვენი ნიშნის წინ.

ზმნიზედა $\omicron\upsilon\tau\omega$ დაირთავს ς -ს ხმოვნით დაწყებული სიტყვების წინ: $\omicron\upsilon\tau\omega\varsigma$.

ასევე ევფონიის მიზნით უარყოფითი ნაწილაკი $\omicron\upsilon$ დაირთავს κ და χ თანხმოვნებს ხმოვნით დაწყებული სიტყვების წინ: $\omicron\upsilon\kappa, \omicron\upsilon\chi$.

ასევე ევფონიის გამო იცვლება წინდებული $\acute{\epsilon}\kappa$, რომელიც ხმოვნის წინ ხდება $\acute{\epsilon}\xi$.

¹³ ვარსკვლავით აღნიშნული ფონეტიკური წესების სწავლა ამ ეტაპზე სავალდებულო არ არის.



- პროკლიტიკები (წინ მიკედლებული) – ის ერთმარცველიანი სიტყვებია, რომელთაც საკუთარი მახვილი არასოდეს აქვთ:
 - 1) ართრონის (არტიკლის) ფორმები: ὁ, ἡ, οἱ, αἱ.
 - 2) წინდებულები: ἐν -ში, εἰς -კენ, ἐκ (ἐξ) -დან, ἄς -თან.
 - 3) კავშირები: εἰ თუ, ἄς როგორც.
 - 4) უარყოფითი ნაწილაკი: οὐ (οὐκ, οὐχ).

- ენკლიტიკები (უკან მიკედლებული) – გარკვეულ შემთხვევებში ინარჩუნებენ საკუთარ მახვილს, გარკვეულ შემთხვევებში კი უკვალოდ კარგავენ მას, ან გადასცემენ წინამდებარე სიტყვას, რის გამოც ამ უკანასკნელს შეიძლება ორი მახვილი აღმოაჩნდეს¹⁴. ენკლიტიკებია:
 - 1) εἰμί (ვარ) და φημί (ვამბობ) ზმნების ფორმათა უმრავლესობა.
 - 2) პირის ნაცვალსახელების გარკვეული ფორმები.
 - 3) განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი τίς, τί (ვინმე, რამე).
 - 4) განუსაზღვრელობითი ზმნიზედები: μάγ., ποθεν (საიდანღაც) და სხვ.
 - 5) ნაწილაკები: γέ, τέ, πέρ და სხვ.

ლექსიკა

χαίρω მიხარია, მახარებს, ვხარობ

ἀλλά (ἀλλ') არამედ, მაგრამ

οὐδέ (οὐδ') არც, არც კი, სულაც არ

εἷς, μία, ἓν ერთი (სამივე სქესის ფორმა აქვს)

οὐδείς, οὐδεμία, οὐδέν არც ერთი, არაფერი

μηδείς, μηδεμία, μηδέν არც ერთი, ნურც ერთი, არაფერი, ნურაფერი

δύο ორი

τρεῖς, τρία სამი (მამრობითის და მდედრობითის ფორმები საზიაროა)

τέτταρες, τέτταρα ოთხი (მამრობითის და მდედრობითის ფორმები საზიაროა)

πέντε ხუთი

ἕξ ექვსი

ἑπτά შვიდი

ὀκτώ ოცნა

ἐννέα ცხრა

δέκα ათი

χαῖρε გამარჯობა ან ნახვამდის (სიტყვასიტყვით: იხარე! შდრ. ქართულში: გაიხარე! მისაღმებაზე ან დამშვიდობებაზე პასუხად).

μηδέν ἄγαν არაფერი მეტისმეტი (ქილონი, შვიდ ბრძენთაგან ერთ-ერთი).

¹⁴ ენკლიტიკებთან დაკავშირებულ მახვილის წესებს შემდეგ გავეცნობით.

1) შეადგინეთ მსგავსი წინადადებები:

1. Καὶ μανθάνουσιν, καὶ διδάσκουσιν.
2. Οὐ ψεύδω, ἀλλ' ἀληθεύω.
3. Οὐ πιστεύουσιν, ἀλλὰ θαυμάζουσιν.
4. Ἀληθεύομεν, ἀλλ' οὐ πιστεύει.

2) ა) დაასახელეთ ქართული ენიდან თქვენთვის უკვე ცნობილი სიტყვები, რომლებიც შემდეგ ბერძნულ სიტყვებს უკავშირდება: ἔγώ (მაგ., ეგოიზმი), γράφω (მაგ., კალიგრაფია), ψεύδω (ფსევდო-ს¹⁵ შემცველი კომპოზიციები. მაგ., ფსევდოპატრიოტიზმი).

ბ) თქვენი აზრით, რას უნდა აღნიშნავდეს ბერძნული სიტყვა γασία, რომელიც გვხვდება სიტყვებში: პენტაგონი, ჰექსაგონი, ოქტაგონი.

3) დაწერეთ ბერძნული ასოებით (გრძელი ასოები ხაზით არის აღნიშნული). სადაც საჭიროა, სიტყვებს მიუწერეთ ფშვიინის ნიშნები, ხოლო თქვენთვის ნაცნობ ზმნურ ფორმებს – მახვილიც:

ა) 1. ანალაბომენ უნ ექს არხეს ტის ჰე კატეგორია ესტინ ექს უს ჰე ემე დიაბოლჲ გეგონენ. 2. უკ აჟტოს ტი გიგნოსკო ტონ ანდრა. 3. ონომადუსი აჟტონ მელეტონ (საკუთარი სახელია).

ბ) ანგელოს. ბონეთჲმა. ანხი. ჰესპერა. ძეტერ. როდონ. ჰულჲ. უდორ. სოლონ. პლატონ.

4) განსაზღვრეთ ფონეტიკური კანონის სახე (ელიზია თუ კრასისი). განსხვავეთ ერთმანეთისაგან სპირიტუსი, აპოსტროფი და კორონისა.


1. ἐπ' αὐτῷ 2. ὅτ' ἦλθε 3. ἐφ' ἡμῖν 4. ταῦτό 5. τοῦνομα 6. μεθ' ἡμῶν 7. τὰγαθά 8. παρ' ἐκείνῳ

5)¹⁶ წაიკითხეთ ბერძნული ტექსტი ძვ. წ. V საუკუნისა: ნაწყვეტი პლატონის „სოკრატეს აპოლოგიიდან“:

Ὅτι μὲν ὑμεῖς, ὦ ἄνδρες Ἀθηναῖοι, πεπόνθατε ὑπὸ τῶν ἐμῶν κατηγορῶν, οὐκ οἶδα· ἐγὼ δ' οὖν καὶ αὐτὸς ὑπ' αὐτῶν βλίγου ἑμαυτοῦ ἐπελαθόμην, οὕτω πιθανῶς ἔλεγον. καίτοι ἀληθές γε ὡς ἔπος εἰπεῖν οὐδὲν εἰρήκασιν. μάλιστα δὲ αὐτῶν ἐν ἐθαύμασα τῶν πολλῶν ὧν ἐψεύσαντο, τοῦτο ἐν ᾧ ἔλεγον ὡς χρῆν ὑμᾶς εὐλαβεῖσθαι μὴ ὑπ' ἐμοῦ ἐξαπατηθῆτε ὡς δεινοῦ ὄντος λέγειν. τὸ γὰρ μὴ αἰσχυνθῆναι ὅτι αὐτίκα ὑπ' ἐμοῦ ἐξελεγχθήσονται ἔργῳ, ἐπειδὴν μηδ' ὀπωστιοῦν φαίνωμαι δεινὸς λέγειν, τοῦτό μοι ἔδοξεν αὐτῶν ἀναισχυντότατον εἶναι, εἰ μὴ ἄρα δεινὸν καλοῦσιν οὗτοι λέγειν τὸν τάληθῆ λέγοντα· εἰ μὲν γὰρ τοῦτο λέγουσιν, ὁμολογοίην ἂν ἔγωγε οὐ κατὰ τούτους εἶναι ῥήτωρ. οὗτοι μὲν οὖν, ὥσπερ

¹⁵ ეს პრეფიქსი მომდინარეობს სიტყვიდან ψεῦδος ტყუილი, სიტყვე.

¹⁶ მე-5 სავარჯიშო ფაკულტატურია.



ἐγὼ λέγω, ἢ τι ἢ οὐδὲν ἀληθὲς εἰρήκασιν, ὑμεῖς δὲ μου ἀκούσεσθε
 πᾶσαν τὴν ἀλήθειαν - οὐ μέντοι μὰ Δία, ὦ ἄνδρες Ἀθηναῖοι, κεκαλλιε-
 πημένους γε λόγους, ὥσπερ οἱ τούτων, ῥήμασί τε καὶ ὀνόμασιν οὐδὲ
 κεκοσμημένους, ἀλλ' ἀκούσεσθε εἰκῆ λεγόμενα τοῖς ἐπιτυχούσιν
 ὀνόμασιν - πιστεύω γὰρ δίκαια εἶναι ἃ λέγω - καὶ μηδεὶς ὑμῶν προσδο-
 κησάτω ἄλλως· οὐδὲ γὰρ ἂν δήπου πρόποι, ὦ ἄνδρες, τῆδε τῆ ἡλικία
 ὥσπερ μαιρακίῳ πλάττοντι λόγους εἰς ὑμᾶς εἰσιέναι... Ἀναλάβωμεν οὖν
 ἐξ ἀρχῆς τίς ἡ κατηγορία ἐστὶν ἐξ ἧς ἡ ἐμὴ διαβολὴ γέγονεν, ἢ δὴ καὶ
 πιστεύων Μέλητός με ἐγράψατο τὴν γραφὴν ταύτην. εἶεν· τί δὴ λέγοντες
 διέβαλλον οἱ διαβάλλοντες; ὥσπερ οὖν κατηγορῶν τὴν ἀντωμοσίαν δεῖ
 ἀναγνῶναι αὐτῶν· "Σωκράτης ἀδικεῖ καὶ περιεργάζεται ζητῶν τά τε ὑπὸ
 γῆς καὶ οὐράνια καὶ τὸν ἥττω λόγον κρεῖττω ποιῶν καὶ ἄλλους ταῦτα
 ταῦτα διδάσκων." τοιαύτη τίς ἐστὶν· ταῦτα γὰρ ἑωρᾶτε καὶ αὐτοὶ ἐν
 τῇ Ἀριστοφάνους κωμῳδίᾳ, Σωκράτη τινὰ ἐκεῖ περιφερόμενον, φάσκοντά
 τε ἀεροβατεῖν καὶ ἄλλην πολλὴν φλυαρίαν φλυαροῦντα, ὧν ἐγὼ οὐδὲν
 οὔτε μέγα οὔτε μικρὸν πέρι ἐπαίω...

აღნიშნეთ ტექსტში:

1. სიტყვები ძლიერი ასპირაციით.
2. სიტყვები სუსტი ასპირაციით.
3. სიტყვები მკვეთრი მახვილით.
4. სიტყვები შემოსილი მახვილით.
5. სიტყვები ბლაგვი მახვილით.
6. საკუთრივ დიფთონგები.
7. არასაკუთრივ დიფთონგები.
8. ელიზის შემთხვევები.
9. კრასისის შემთხვევა.
10. უმახვილო სიტყვები: პროკლიტიკები და ენკლიტიკები.
11. კოლონი. რას აღნიშნავს იგი ?
12. წერტილ-მძიმე. რას აღნიშნავს იგი ?
13. სიტყვები მთავრული ასოებით.
14. მოკლე ხმოვნების შეერთება, რომელიც დიფთონგს ვერ ქმნის.
15. უმახვილო სიტყვები.
16. ნაცნობი სიტყვები.

შეჯამება და შემოწმება

1) დააღაგეთ სიტყვები ანბანის მიხედვით.

ა)
 πιστεύω *მჯერა, მწამს*
 ἀληθεύω *სიმართლეს ვამბობ*
 θαυμάζω *მიკვირს*
 αἶψά *მუდამ, ყოველთვის*
 σύ *შენ*
 οὕτως, οὕτως *ამგვარად*
 ἄγαν *მეტისმეტად*
 λέγω *ვამბობ*
 γράφω *ვწერ*
 βαίνω *დავდივარ, მივდივარ*
 ψεύδω *ვცრუმობ*
 πόθεν ; *საიდან?*
 νῦν *ახლა, ამჟამად*
 χρή *საჭიროა*

ბ)
 ἐσθίω *ვჭამ*
 εὖ *კარგად*
 πολλάκις *ხშირად*
 ἤδη *უკვე*
 ἐγώ *მე*
 μηδέν *არაფერი*
 ναί *დიახ*
 καί *და, ასევე, -ც*
 παιδεύω *(აღ)ვზრდი*
 μαθάνω *ვსწავლობ, ვიგებ*
 ποῖ ; *საით?*
 καλῶς *ლამაზად, კარგად*
 κακῶς *ცუდად*

2) დასვით ასპირაციის ნიშანი. ყურადღება მიაქციეთ საკუთრივ დიფთონგებისა და არასაკუთრივ დიფთონგების მართლწერას:

Επίκουρος (სუსტი), ρυθμός, Ρέα, Ωρίων (სუსტი), Ουρανία (სუსტი),
 Ιβερία (სუსტი), Αιγίνα (სუსტი), ἀϋπνος (სუსტი), Ωιδαί (სუსტი),
 οἰστός (სუსტი), οἶνος (სუსტი), Ἄρης (სუსტი), Ευρώπη (სუსტი),
 Ηρόδοτος (ძლიერი), Ορφεύς (სუსტი), Οιδίπους (სუსტი)

3) დასვით სასვენი და დიაკრიტიკული ნიშნები (მახვილი და სპირიტუსი).

1. Σὺ μὲν πολλακίς ψευδεῖς ἐγὼ δ' αἰεὶ ἀληθεύω
2. Ποθεν βαίνει
3. Ποιβαίνετε
4. Ἐγὼ μὲν εὖ μαθάνω σὺ δ' οὐ
5. Οὕτως ἀγαν θαυμάζουσιν
6. Ἢδη καλῶς γράφετε καὶ λέγετε
7. Μὴ θαυμάζε
8. Ἀληθεύετω
9. Μὴ ψευδοντων
10. Χρὴ παιδεύειν
11. Μὴ γραφეტωσαν
12. πιστεύε καὶ ἀληθεύε

4) თარგმნეთ ქართულად წინა დავალების ტექსტი.

5) თარგმნეთ ბერძნულად:
 1. ახლა უკვე მჯერა.
 2. ახლა უკვე არ მჯერა.
 3. ხშირად ცრუობენ? – დიახ.
 4. ყოველთვის სიმართლეს ამბობენ?
 5. მეტისმეტად ცუდად წერენ და ლაპარაკობენ.
 6. – როგორ ცხოვრობს? – არ ამბობს. – მაგრამ საჭიროა სიმართლის თქმა.

6) განსაზღვრეთ პირი, რიცხვი და კილო მოცემული ზმნური ფორმებისა და შემდეგ დაწერეთ სალექსიკონო ფორმა.

მაგალითი: βαίνεις – მე-2 პირი (2 პ.), მხოლოდითი რიცხვი (მხ. რ.), თხროდითი კილო (*Indicat.*) ზმნისა – βαίνω

ἀληθεύεις, φέρετε (2), φεύγε, παρέχουσιν, θεραπεύετω, βιοτεύει, μανθάνετῶσαν, λυόντων, φυλάττομεν, πάσχειν

7) რას აღნიშნავს შედგენილ სიტყვებში სუფიქსები.

-ლოგია

-გრაფია


-ფილია

8) რა იცით „შვიდი ბრძენის“, სოკრატეს, სოფისტების, პლატონის შესახებ?

9) რა დანიშნულებით იყენებდნენ ბერძნები ამფორებს, რომლებიც მრავლად არის აღმოჩენილი საქართველოს ტერიტორიაზე?



ამფორა ქალღმერთ ათენას გამოსახულებით



II 1

სახელი (ὄνομα, nomen)

სახელს ბერძნულში აქვს შემდეგი კატეგორიები:

სქესი: მამრობითი, მდედრობითი, ნეიტრალური.

რიცხვი: მხოლობითი, ორობითი, მრავლობითი.

ბრუნვა: სახელობითი, ბრალდებითი, მიცემითი, ნათესაობითი, წოდებითი.

ბრუნვათა ფუნქციები¹⁷

სახელობითი: სუბიექტის ბრუნვაა (ასევე – მისი ეპითეტისა თუ ატრიბუტის). ქართულში მას შეესაბამება სახელობითი, მოთხრობითი და მიცემითი ბრუნვები. მაგალითად: *პლატონი ამბობს... Πλάτων λέγει...*

პლატონმა იცის... Πλάτων οἶδε

პლატონს აქვს... Πλάτων ἔχει...

წოდებითი: გამოიყენება მე-2 პირისადმი მიმართვისას.

აკუზატივეუსი, ანუ ბრალდებითი: პირდაპირი დამატების ბრუნვაა (ასევე – მისი ეპითეტისა თუ ატრიბუტის), რომლისთვისაც ქართული ორ ბრუნვას იყენებს: სახელობითსა და მიცემითს (ვწერ *წერილს*, დავწერე *წერილი*).

აკუზატივეუსი ასევე გამოიყენება დროის ხანგრძლივობის გამოსახატავად (შდრ. ქართულში: „ერთი საათი ველოდე“, ან „სხდომა ერთ საათს გაგრძელდა“); ასევე – ზოგადი სახის მიმართებათა აღსანიშნავად, რაც ქართულში ვითარებითი, მოქმედებითი ან ნათესაობითი ბრუნვით გადმოიცემა (შდრ. ქართულში: „სახელად ნინო“; „სიგრძით ორი მეტრი“, ან „ორი მეტრი სიგრძისა“).

მიცემითი: ირიბი დამატების ბრუნვაა, რომელიც ქართულად მიცემითი ბრუნვით გადმოიცემა (მივწერე *წერილი მეგობარს*).

ხშირად იგი გადმოსცემს კერძო მიმართებას, რაც ქართულად *-თვის* ან *-თან* თანდებულისანი ფორმებით გამოიხატება („*შვილისთვის* ააშენა“; „*ხელოსნებთან* ასეა მიღებული“)¹⁸.

ბერძნულში მიცემითით აღინიშნება მოქმედების საგანიც, რაც ქართულში მოქმედებითი ბრუნვის ფუნქციაა („*ქვით* ააშენა“).

ამ ბრუნვით გადმოიცემა ასევე მოქმედების კონკრეტული დრო და ადგილი (შდრ. ქართულში გამოთქმები: „*მეორე დღეს*“, „*მომავალ წელს*“).

ნათესაობითი: ეს ბრუნვა, ისევე, როგორც ქართულში, კუთვნილებას აღნიშნავს („*მეგობრის* სახლი“).

ნათესაობითი ასევე გადმოსცემს გამოყოფა-დაშორებას („*ერთ-ერთი* ჯარისკაცთაგან“).

¹⁷ პეტიტით დაბეჭდილი ბრუნვათა ფუნქციების დამახსოვრება ამ ეტაპზე აუცილებელი არ არის.

¹⁸ ზოგადი მიმართების აღნიშვნა მიცემით ბრუნვასაც შეუძლია.

არსებითი სახელი (ὄνομα οὐσιαστικόν, nomen substantivum)

მამრობითი და მდედრობითი სქესისა შეიძლება იყოს არა მხოლოდ ცოცხალ არსებათა, არამედ – უსულო საგანთა თუ აბსტრაქტულ ცნებათა აღმნიშვნელი სიტყვებიც. ნეიტრალური სქესის სახელები უმთავრესად უსულო საგნების აღმნიშვნელია, მაგრამ შესაძლებელია ცოცხალი არსებების აღმნიშვნელიც იყოს (მაგ., τὸ τέκνον ბავშვი). არსებითი სახელის სქესს მიგვითითებს სიტყვის დაბოლოება და ართრონი, ანუ არტიკლი.

არტიკლი (ὀ, ἡ, τό)

ძველ ბერძნულს არა აქვს განუსაზღვრელი არტიკლი. საჭიროების შემთხვევაში, ისევე, როგორც ქართულში, მისი ფუნქცია შეიძლება იტვირთოს რიცხვითმა სახელმა εἷς, μία, ἕν (ერთი), ან ნაცვალსახელმა τῖς, τί (ვინმე, რამე).

განსაზღვრული არტიკლი ჩვენებითი ნაცვალსახელისაგან არის წარმომდგარი (შდრ. ძველი ქართ.: კაც იგი, კაც მან...). შესაბამისად, არტიკლს არა აქვს წოდებითი ბრუნვის ფორმა.

არტიკლი ბერძნულში შეიძლება დაერთოს მეტყველების ნებისმიერ ნაწილს და გააარსებითოს იგი: οἱ νῦν ἀβλάνδελნი, ანუ თანამედროვენი, τὸ καλόν μῦθενιერება, τὸ παιδεύειν აღზრდა.

არტიკლი ბერძნულში დაერთვის ადამიანის საკუთარ სახელსაც: ὁ Σακράτης.

	მხოლოდობითი			მრავლობითი		
	მამრ. ¹⁹	მდედ.	ნეიტრ.	მამრ.	მდედრ.	ნეიტრ.
სახელ.	ὁ	ἡ	τό	οἱ	αἱ	τά
აკუზ.	τόν	τήν	τό	τούς	τάς	τά
მიცემ.	τῷ	τῇ	τῷ	τοῖς	ταῖς	τοῖς
ნათეს.	τοῦ	τῆς	τοῦ	τῶν	τῶν	τῶν


NB მამრ. და მდედრ. სქესის არტიკლის სახელობითი ბრუნვის ფორმები უმახვილოა.

სახელთა ბრუნვა. მახვილის წესი

სახელები ფუძის დაბოლოების მიხედვით სამ ჯგუფად, ანუ სამ კანკლედობად იყოფა (შდრ. ქართულში: თანხმოვანფუძიანი და ხმოვანფუძიანი სახელები). ბრუნების დროს მახვილი რჩება იმ მარცვალზე, რომელზეც იყო მხ. რიცხვის სახელობითში, თუ ამის შესაძლებლობას იძლევა მახვილის საერთო წესები.

¹⁹ ამჟერად ვიმახსოვრებთ მხოლოდ მამრობითი სქესის არტიკლის ბრუნვას.

- არსებით სახელს წოდებით ბრუნვაში, როგორც წესი, წინ უძღვის შორისდებული ᾶ.



მეორე კანკლედობა

ამ ბრუნებას ეკუთვნის სამივე სქესის ო-ფუძიანი სახელები.

მამრობითი სქესის სახელთა ბრუნება

II კანკლედობის მამრობითი (და მდედრობითი) სქესის სახელები მხოლოდობითი რიცხვის სახელობით ბრუნვას აწარმოებენ სიგმატურად: ფუძის ო-ბოლოკიდურს დაერთვის S.

მკვეთრი მახვილი ბოლოდან მე-2 მოკლე მარცვალზე

	მხოლოდობითი	მრავლობითი ²⁰
სახ.	ὁ φίλ-ο-ς	οἱ φίλ-οι
აკუზ.	τὸν φίλ-ο-ν	τοὺς φίλ-οὺς
მიც.	τῷ φίλ-ῳ	τοῖς φίλ-οῖς
ნათ.	τοῦ φίλ-ου	τῶν φίλ-ων
წოდ.	ᾶ φίλ-ε	ᾶ φίλ-οι

NB სალექსიკონო ფორმა: φίλος, ου ὁ მეგობარი.

სიტყვათა რიგი წინადადებაში

წინადადების წევრთა რიგი ბერძნულში მკაცრად განსაზღვრული არ არის. ზოგადი (მაგრამ – არასავალდებულო) წესის მიხედვით, წინადადებაში ვიცავთ შემდეგ თანამიმდევრობას: ქვემდებარე – დამატება – შემასმენელი.

ლექსიკა

ἔχω *მაქვს, მყავს*

φέρω (+აკუზ. + მიც.) *მომაქვს (რამე ვინმესთან, რამე ვინმესთვის), მომყავს, მიმაქვს, მიმყავს, დამაქვს, ვატარებ.*

φινεύω *ეკლაე*

λύω *ვხსნი, ვშლი, ვარღვევ; ვაუქმებ; ვათავისუფლებ*

τρέπω *ვაბრუნებ*

ὁ τρόπος *ქცევის რაგვარობა; ნირი, ხერხი*

²⁰ ორობითი რიცხვის ფორმებია: სახ. და აკუზ. – τῷ φίλῳ, მიც. და ნათ. – τοῖν φίλοις, წოდ. – ᾶ φίλ-ω.

ὁ τόπος ადგილი
ὁ λόγος სიტყვა
ὁ κόσμος წესრიგი; კოსმოსი
ὁ ψόγος გაკიცხვა, დაგმობა;
ფსოგოსი, განჩიქება (ერთ-ერთი რიტორიკული უანრი)

ὁ ὕπνος ძილი
ὁ ἵππος ცხენი
ὁ δρόμος სარბიელი
ὁ βίος ცხოვრება
ὁ νόμος კანონი
ὁ λίθος ქვა
ὁ χρόνος დრო
ὁ κύκλος წრე
ὁ τύπος ანაბეჭდი; ნაკეთი; ტიპი
ὁ ἄρτος პური (ხორბლის)
ὁ στίχος სტრიქონი; ლექსი
ὁ Αἰσχύλος ესქილე
ὁ φόβος შიში
ὁ Φόβος ფობოსი, შიშის ღმერთი
ὁ πόντος ზღვა
ὁ Πόντος პონტო, შავი ზღვა
(პონტო ერქვა ასევე ქვეყანას შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროზე)

სავარჯიშოები

1) აბრუნეთ: ὁ ἵππος, ὁ δρόμος, ὁ ὕπνος (ეწარმოება მრავლობითი რიცხვი).

2) ა) დაასახელეთ ქართულ ენაში დამკვიდრებული სიტყვები, რომლებიც აქ წარმოდგენილ ბერძნულ ლექსიკასთანაა დაკავშირებული (მაგ., ლითოგრაფია, ბიოგრაფია, ბიოლოგია, კოსმოლოგია, ფილოლოგია, ტროპი, უტოპია...);

ბ) რომელი სიტყვებისაგან შედგება სახელი ფილიპე?

3) თარგმნეთ. ყურადღება მიაქციეთ აკუზატივუსის გამოყენებას.

1. Ἔχομεν ἤδη ἵππους.
2. Τὸν νόμον γράφει.
3. Ἄγαν θαυμάζω κόσμον.
4. Ὁ νόμος φέρει κόσμον.
5. Αἰσχύλος τοὺς στίχους γράφει καὶ λέγει.
6. Λύει τὸν φίλον.
7. Μὴ φονεύετε τοὺς ἵππους.
8. Λίθους φέρετε.

4) შეადგინეთ მსგავსი წინადადებები აკუზატივუსის გამოყენებით.



ნეიტრალური სქესის სახელთა ბრუნვა. ზოგადი წესები

ნეიტრალური სქესის სახელთა

- მხოლოდითი რიცხვის სახელობითი ბრუნვა იწარმოება ასიგმატურად, ანუ S-ს გარეშე.
- მრავლობითი რიცხვის მაწარმოებელი სუფიქსია ᾶ.
- სახელობითის, აკუზატივუსისა და წოდებითი ბრუნვების ფორმათითოეულ რიცხვში ერთი და იგივეა.

II განკლებობის მამრობითი და ნეიტრალური სქესის სახელები

- ნეიტრალური სქესის არსებითი და ზედსართავი სახელები o-ფუძეზე დაირთავენ ν-ს სახელობითში, აკუზატივუსსა და წოდებითში.


მახვილი ბოლოდან მესამე მარცვალზე: ὁ ἄνθρωπος (ადამიანი), τὸ θέατρον (თეატრი)

მახვილის წესები:

1) სახელებში, რომელთაც სახელობით ბრუნვაში აქვთ მკვეთრი მახვილი ბოლოდან მესამე მარცვალზე, ბრუნების დროს იმ ფორმებში, რომლებშიც ბოლო ხმოვანი გრძელია, მახვილი გადმოინაცვლებს ბოლოდან მეორე ხმოვანზე (გავიხსენოთ: მახვილის საერთო წესის თანახმად, ბოლოდან მესამე მარცვალზე მახვილი შეიძლება დაისვას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ბოლოდან პირველი მარცვალი მოკლეა).

2) οι დიფთონგი სიტყვის ბოლოს მახვილისათვის მოკლე ხმოვნად ითვლება.

	მხოლოდითი	მრავლობითი
სახ. აკუზ. მიც. ნათ. წოდ.	ὁ ἄνθρωπος τὸν ἄνθρωπον τῷ ἀνθρώπῳ τοῦ ἀνθρώπου ὦ ἄνθρωπε	οἱ ἄνθρωποι τούς ἀνθρώπους τοῖς ἀνθρώποις τῶν ἀνθρώπων ὦ ἄνθρωποι
სახ. აკუზ. მიც. ნათ. წოდ.	τὸ θέατρον τὸ θέατρον τῷ θεάτρῳ τοῦ θεάτρου ὦ θέατρον	τὰ θέατρα τὰ θέατρα τοῖς θεάτροις τῶν θεάτρων ὦ θέατρα



ე. წ. იარაღის მიცემითს (ინსტრუმენტალისი) ქართულში შეესაბამება მოქმედებითი ბრუნვა: Τῷ λίθῳ κατασκευάζει ქვით აშენებს.

ლექსიკა

- ἄδω ვმღერი
- ἄγω მიმყავს, მომყავს
- κατασκευάζω (გა)ვაშაადებ, ვაგებ, ვაშენებ
- λάμπα ვანათებ, ვბრწყინაფ²¹
- ἀκούω (+ ნათ. ან აკუზ.) მესმის, ვუსმენ
(შდრ. ქართულში: ვუსმენ მამას, მესმის მამის)
- ὁ κύριος ბატონი, უფალი
- ὁ ἄγγελος მაცნე, შიკრიკი
- ὁ ἥλιος მზე
- ὁ ἥλιος ჰელიოსი, მზის ღმერთი ანტიკურ პანთეონში
- τὸ φάρμακον წამალი, საწამლაკი
- τὸ ὄπλον იარაღი (საომარი)
- τὸ μέτρον საზომი
- τὸ ἔργον საქმე; ნამუშევარი
- τὸ ῥόδον ვარდი
- τὸ ἄστρον ვარსკვლავი
- τὸ πρόσωπον სახე; პირი
- τὸ βιβλίον წიგნი; ნაწერი
- ὁ φιλόσοφος ფილოსოფოსი
- ὁ διδάσκαλος მასწავლებელი
- ὁ διθύραμβος დითირამბი
- τὸ ἐγκώμιον შესხმა, ქება (ერთ-ერთი რიტორიკული ჟანრი)
- ὁ τύραννος ერთპიროვნულად მმართველი, ხელისუფლების უზურპატორი, ტირანი


- (ὁ) Πεισίστρατος პისისტრატე
- (ὁ) Ὀμηρος ომეროსი
- (ὁ) Ἡσίοδος ჰესიოდე
- (ὁ) Πίνδαρος პინდარე

სავარჯიშოები

1) აბრუნეთ: τὸ φάρμακον, τὸ ῥόδον, ὁ διθύραμβος, ὁ θάνατος (სიკვდილი) (NB ბერძნულში მსგავს ცნებებს მრავლობითი რიცხვიც აქვთ: იგულისხმება სიკვდილის მრავალი შემთხვევა).

²¹ λάμπα-ს, ბევრი ბერძნული ზმნის მსგავსად, მოქმედებით გვარში შეიძლება ჰქონდეს როგორც გარდაუვალი, ასევე გარდამავალი გაგება. შდრ. ქართულში: მზე ანათებს (აბსოლუტური გაგებით) და მზე ანათებს ოთახს (გარდამავალი გაგებით).

2) მიაქციეთ ყურადღება აკუზატივისა (პირდაპირი ობიექტისათვის) და მიცემითი ბრუნვის (ირიბი ობიექტისათვის) გამოყენებას:



1. Ὁ ἄγγελος λεγέτω τῷ κυρίῳ.
2. Τὰ ὄπλα τοῖς φίλοις φέρομεν.
3. Ποῖ ἄγετε τοὺς ἵππους;
4. Πόθεν ἄγετε τοὺς ταύρους;
5. Φέρε τὰ ῥόδα τῷ κυρίῳ.
6. Λέγετε τοῖς ἀγγέλοις.
7. Μὴ πίνε τὸ φάρμακον.
8. Ἴαιδε τὸν διθύραμβον.

3) თარგმნეთ ყურადღება მიაქციეთ მიცემითი ბრუნვის გამოყენებას (ირიბი ობიექტისათვის და მოქმედების იარაღისათვის).

1. Χαίρουσι τῷ μαυθάνειν.
2. Ὁ νόμος τῷ βίῳ κόσμον φέρει.
3. Λίθῳ φονεύουσιν.
4. Λίθοις κατασκευάζετε.

4) ა) ახსენით შემდეგი სიტყვების მნიშვნელობა: ფილანთროპი, მიზანთროპი²², ფარმაკოლოგია, პოპლიტი, პითეკანთროპი, პროსოპოგრაფია.

ბ) რა განსხვავებაა ტერმინებს – ბიბლიოგრაფია და ბიბლიოლოგია – შორის?

გ) დაასახელეთ ქართულში დამკვიდრებული სხვა სიტყვებიც, რომლებიც ამ გაკვეთილში შემოთავაზებულ ბერძნულ ლექსიკას უკავშირდება.



კანთაროსი. სასმელი ჭურჭელი (ძვ. წ. V ს).
მოხატულია დურისის მიერ: ჰერაკლეს ამაზონომაქია

²² ხმოვანთშორისი σ ქართულად ზოგჯერ ზ-დ გადმოდის (გვიანდელი გავლენა): Ἄσια (ἥ) აზია, μῦσα (ἥ) მუზა.

ზედსართავი სახელი (ἐπίθετον, nomen adjectivum)

ზედსართავი შეიძლება იყოს ეპითეტი ან ატრიბუტი.



ეპითეტისა და არსებითი სახელის შეთანხმება

პრეპოზიციური წყობა: ზედსართავი დგას არსებითი სახელის წინ, უშუალოდ არსებით სახელსა და მის არტიკლს შორის: ὁ δίκαιος ἀνθρώπος *სამართლიანი ადამიანი*.

პოსტპოზიციური წყობა: ზედსართავი მოსდევს არსებით სახელს; ამ შემთხვევაში არსებითი სახელის არტიკლი მეორდება: ὁ ἀνθρώπος ὁ δίκαιος *სამართლიანი ადამიანი*.

ატრიბუტული ზედსართავი

როდესაც ზედსართავს არტიკლი არ ახლავს, ის არის არა ეპითეტი, არამედ – ატრიბუტი: δίκαιος ὁ ἀνθρώπος (= ὁ ἀνθρώπος δίκαιός ἐστι) *ადამიანი სამართლიანია*. ასეთი ზედსართავი გაიგება როგორც შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილი (ანუ პრედიკატივი) (შდრ. წითელი ვაშლი და ვაშლი წითელია).

ზედსართავი სახელების ბრუნება

ზედსართავი სახელი ძველ ბერძნულში შეიძლება იყოს სამდაბოლოებიანი, ანუ ჰქონდეს სამივე სქესის ფორმა იმისდა მიხედვით, რომელი სქესის არსებით სახელს ერთვის; არის ასევე ორდაბოლოებიანი ზედსართავები, რომელთაც ერთი ზიარი ფორმა აქვთ მამრობითი და მდედრობითი სქესისათვის, მეორე ფორმა კი – ნეიტრალური სქესისათვის; გვხვდება ერთდაბოლოებიანი ზედსართავებიც, ანუ ზედსართავები, რომელთაც ერთადერთი ფორმა აქვთ სამივე სქესისათვის.

ზედსართავი სახელების ბრუნება ანალოგიურია შესაბამისი სქესის არსებით სახელთა ბრუნებისა.

ორ- და სამდაბოლოებიანი ზედსართავი სახელი ლექსიკონში მოცემულია მამრობითი სქესის ფორმით. იქვე აღინიშნება მდედრობითი და ნეიტრალური სქესის დაბოლოებები, ან, უბრალოდ, არაბული ციფრით მითითებულია დაბოლოებათა რაოდენობა: ὁμοιος, α, ον *მსგავსი* ან ὁμοιος, 3 *მსგავსი*.

პირველი რიგის სამდაბოლოებიანი ზედსართავი სახელები

ამგვარად ეწოდებათ ზედსართავ სახელებს, რომელთა მამრობითი და ნეიტრალური სქესის ფორმები იბრუნვის II კანკლედობით, ხოლო მდედრობითი სქესის ფორმა – I კანკლედობით.



ἦν იყო
ἦσαν იყვნენ

ზმნა εἶναι მეშველი ზმნის ფუნქციით

ყოფნა ზმნა აერთებს სუბიექტს ატრიბუტთან (პრედიკატივთან):

ა) ზედსართავ სახელთან: οἱ θεοὶ ἀθάνατοι εἰσι²³ ღმერთები უკვდავნი არიან.

ბ) არსებით სახელთან: Ὁ Ἱπποκράτης ἰατρός ἦν *ჰიპოკრატე ექიმი იყო.*
Προμηθεὺς σατήρ ἐστι τῶν ἀνθρώπων *პრომეთე ადამიანთა მხსნელია.*

NB

1) შედგენილი შემასმენლის სახელად ნაწილს არტიკლი არა აქვს.

2) ბერძნულს ახასიათებს წინადადებაში, განსაკუთრებით – გამოთქმებში, „ყოფნა“ მეშველი ზმნის გამოტოვება (შდრ. ქართულში მეშველი ზმნის ნაცვლად სახელისათვის ა-ს დართვა: მშვენიერია = მშვენიერი არის):

Πάντων μέτρον ἄνθρωπος *ადამიანია ყველაფრის საზომი*
(პროტაგორა, ძვ. წ. V ს.).

ნეიტრალური სქესის ძვემდებარისა და უმეასმენლის უმთანხმება

ნეიტრალური სქესის ქვემდებარესთან, რომელიც მრავლობით რიცხვშია, შემასმენელი დგება მხოლოდით რიცხვში: τὰ ζῷα ἐσθίει *ცხოველები ჭამენ* (შდრ. ქართულში: უსულო საგნების აღმნიშვნელ ქვემდებარესთან შემასმენელი მხოლოდით რიცხვშია. მაგ., „ხეები გაიფოთლა“, „ვარსკვლავები მოჩანდა“ და სხვ.).

ლექსიკა

- ἀγγέλλω *ვაუწყებ, ვაცხადებ*
- παρέχω *ვთავაზობ, ვაწვდი, ვანიჭებ*
- πράττω *ვაკეთებ, აღვასრულებ*
- χαίρω *ვხარობ*
- ὁ ἔμπορος *ვაჭარი*
- ὅμοιος, (α),²⁴ *ონ მსგავსი*
- νέος, (α), *ონ ახალი, ახალგაზრდა*
- ἄριστος, (η), *ონ საუკეთესო*
- ὁ πόλεμος *ომი*

²³ ყოფნა ზმნის ენკლიტიკურ ფორმებს შემდეგ ნაწილში ვისწავლით.

²⁴ მდებარ. სქესის ფორმების დამახსოვრება ამ გაკვეთილზე აუცილებელი არ არის.

ἄξιος, (α), ον ღირსეული, ღირსი
μέσος, (η), ον შუა, შუათანა
ἄκρος, (α), ον უმაღლესი, უკიდურესი



სავარჯიშოები

1) დაასახელეთ ქართულში დამკვიდრებული ის სიტყვები, რომლებიც აქ შემოთავაზებულ ბერძნულ ლექსიკას უკავშირდება (მაგ., მეზოლითი, ნეოლითი, ასტროლოგი...).

2) აბრუნეთ პრეპოზიციური და პოსტპოზიციური წყობით: 1. τὸ ἄριστον φάρμακον და τὸ φάρμακον τὸ ἄριστον საუკეთესო წამალი. 2. ὁ ὅμοιος νόμος და ὁ νόμος ὁ ὅμοιος მსგავსი კანონი. 3. ὁ νέος πόλεμος და ὁ πόλεμος ὁ νέος ახალი ომი.

3) თარგმნეთ ბერძნულად: 1. ღირსეული ადამიანი; 2. ახალი კანონები; 3. მსგავსი საზომი; 4. საუკეთესო წამლები; 5. უკიდურესი შიში.

4) თარგმნეთ ქართულად:

1. Οἱ νῦν ἄνθρωποι νέους νόμους ἔχουσιν.
2. Ὁ φιλόσοφοι, αἰεὶ ἀρίστους νόμους τοῖς ἀνθρώποις γράφετε.
3. Ὁ θάνατος φόβον παρέχει τοῖς ἀνθρώποις.
4. Μὴ ἄγγελλε τοῖς ἀνθρώποις τὸν πόλεμον.
5. Οὐ παρέχεις τοῖς φίλοις ἄριστα ὄπλα.
6. Νῦν ἤδη τὸν νέον καὶ ἄριστον θέατρον ἔχομεν.
7. Ὁ ἄξιος ἔμπορος βαίνει καὶ τῷ κυρίῳ νέα φάρμακα φέρει.
8. Χρὴ ἀξίους νόμους γράφειν.
9. Ναὶ, θαυμάζομεν τὸν νέον κόσμον.
10. Τῷ φίλῳ οὐκ ἄξιον λόγον λέγετε.
11. Ἀναξίμανδρος καὶ Ἡράκλειτος καὶ Ἐπίκουρος φιλόσοφοι ἦσαν.
12. Ὁ Πεισίστρατος φιλόσοφος οὐκ ἦν.
13. Ἔργοις φίλους γίγνωσκε, μὴ λόγοις.
14. Νέῳ ἔργῳ χαίρει.

5) თარგმნეთ ბერძნულად : 1. ბატონს უკვე ჰყავს საუკეთესო ცხენები. 2. შესთავაზე მეგობარს ახალი იარაღი. 3. მსგავსი თეატრები გაქვთ. 4. ახალი შიკრიკი გყავთ? 5. ომს სიკვდილი მოაქვს ადამიანებისათვის. 6. უკვე ახალი სარბიელი აქვთ. 7. მეგობარმა მეგობარს საუკეთესო ცხენი მიუყვანოს! 8. მსგავსი წესრიგი ყოველთვის აღფრთოვანებთ (=ყოველთვის აღფრთოვანებული ხართ მსგავსი წესრიგით). 9. ახალ სიტყვებს კარგად ვსწავლობთ. 10. მშვენივრად ხატავთ (ზმნა γράφω) ვარსკვლავებს. 11. ეპიკურე (ὁ Ἐπίκουρος) ფილოსოფოსი იყო.



II 3

II განკლედობის მამრობითი და ნეიტრალური სქემის სახელები

მახვილი ბოლოდან მეორე გრძელ ხმოვანზე:

ὁ δούλος (მონა, მსახური),
τὸ δῶρον (საჩუქარი, ძღვენი)

სახელებს, რომელთაც სახელობით ბრუნვაში ბოლოდან მეორე მარცვალზე აქვთ შემოსილი მახვილი, იმ ბრუნვებში, რომლებშიც ბოლო ხმოვანი გრძელია, შემოსილი მახვილი მკვეთრით შეეცვლება, ვინაიდან, მახვილის საერთო წესების მიხედვით, შემოსილი მახვილი ბოლოდან მეორე მარცვალზე შესაძლებელია იყოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ბოლოდან პირველი ხმოვანი მოკლეა.

	მხოლობითი	მრავლობითი
სახ.	ὁ δούλ-ο-ς	οἱ δούλ-οι
აკუზ.	τὸν δούλ-ο-ν	τοὺς δούλ-οὺς
მიც.	τῷ δούλ-ῳ	τοῖς δούλ-οῖς
ნათ.	τοῦ δούλ -οῦ	τῶν δούλ-ων
წოდ.	ὁ δούλ -ε	ὁ δούλ -οι
სახ.	τὸ δῶρ-ο-ν	τὰ δῶρ-α
აკუზ.	τὸ δῶρ-ο-ν	τὰ δῶρ-α
მიც.	τῷ δῶρ-ῳ	τοῖς δῶρ-οῖς
ნათ.	τοῦ δῶρ-οῦ	τῶν δῶρ-ων
წოდ.	ὁ δῶρ-ο-ν	τὰ δῶρ-α

ნათესაობითში დასმული მსაზღვრელის უმთავრესი საზღვრულთან

პრეპოზიციური წყობა: ὁ τοῦ φίλου οἶκος მეგობრის სახლი

პოსტპოზიციური წყობა: ὁ οἶκος ὁ τοῦ φίλου მეგობრის სახლი, ან სახლი მეგობრისა (შდრ. ძვ. ქართულში: სახლი მეგობრისა).

	მხოლობითი	მრავლობითი
სახ.	ὁ τοῦ φίλου οἶκος	οἱ τοῦ φίλου οἶκοι
აკუზ.	τὸν τοῦ φίλου οἶκον	τοὺς τοῦ φίλου οἶκους
მიც.	τῷ τοῦ φίλου οἴκῳ	τοῖς τοῦ φίλου οἴκοις
ნათ.	τοῦ τοῦ φίλου οἴκου	τοὺς τοῦ φίλου οἶκους
წოდ.	ὁ τοῦ φίλου οἴκε	ὁ τοῦ φίλου οἶκοι



ქართული
ენის ეროვნული
ცენტრი

	მხოლოდითი	მრავლობითი
სახ.	ὁ οἶκος ὁ τοῦ φίλου	οἱ οἶκοι οἱ τοῦ φίλου
აკუზ.	τὸν οἶκον τὸν τοῦ φίλου	τοὺς οἶκους τοὺς τοῦ φίλου
მიც.	τῷ οἴκῳ τῷ τοῦ φίλου	τοῖς οἴκοις τοῖς τοῦ φίλου
ნათ.	τοῦ οἴκου τοῦ τοῦ φίλου	τοὺς οἶκους τοὺς τοῦ φίλου
წოდ.	ὦ οἶκε τοῦ φίλου	ὦ οἶκοι τοῦ φίλου

ლექსიკა

- λαμβάνω ვიღებ
- ὁ οἶνος ღვინო
- τὸ σημεῖον ნიშანი
- ὁ μῦθος ამბავი, მითი
- ὁ δῆμος ხალხი
- ὁ πλοῦτος სიმდიდრე
- ὁ Πλοῦτος პლუტონი, სიმდიდრის ღმერთი
- παλαιός, (ά), ὄν ძველი
- ἀρχαῖος, (α), ὄν ძველი
- ὁ ταῦρος ხარი
- ἀνδρείος, (α), ὄν მამაცი
- Ἴθηναῖος, (α), ὄნ ათენელი, ათენური
- τὸ ζῶον ცხოველი

სავარჯიშოები

- 1) აბრუნეთ. τὸ σημεῖον, ὁ ταῦρος.
- 2) აბრუნეთ. 1. ὁ τῶν φίλων οἶνος 2. ὁ τοῦ ταύρου μῦθος 3. τὸ τοῦ κυρίου ὄπλον
- 3) თარგმნეთ ქართულად: 1. ὁ τοῦ ἀνδρείου δῆμος μῦθος 2. οἱ τοῦ κυρίου νέοι ἵπποι 3. τὸ τοῦ Ἴθηναίου δῆμος ἄριστον θέατρον.
- 4) თარგმნეთ ბერძნულად: 1. მონის ცხოვრება 2. ახალი მეგობრების ცხოვრება 3. ფილოსოფოსთა სიტყვები 4. ათენელ ადამიანთა ძველი მითები 5. მსგავსი სახლები აქვთ. 6. ძველი სახლი მაქვს. 7. მონებს არა აქვთ საუკეთესო სახლები. 8. ბატონის სახლი უკვე ძველი იყო? 9. მონას ბატონთან საუკეთესო ხარები მიჰყავს.
- 5) დაასახელეთ ქართულში დამკვიდრებული ის სიტყვები, რომლებიც აქ შემოთავაზებულ ბერძნულ ლექსიკას უკავშირდება (მაგ., პალეოლითი, ზოოლოგია,²⁵ მითოლოგია, არქეოლოგია...).

²⁵ ბერძნულ ლექსიკაში უკავშირდება ზღ (გვიანდელი გავლენა): Ζεὺς ზეუსი, Βυζάντιον (τό) ბიზანტიონი.

ზმნის უღლება იმპერფექტუმი. აუგმენტი

აუგმენტი, ანუ სპეციალური ნამატი, აუცილებელია ისტორიულ (ანუ წარსულის აღმნიშვნელ) დროთა საწარმოებლად. აუგმენტი ზმნას აქვს მხოლოდ და მხოლოდ თხრობითი კილოს ფორმებში.

აუგმენტი ორგვარია: 1. მარცვლოვანი – თანხმოვნით დაწყებულ ზმნებს ერთვის ϵ , რაც ზრდის სიტყვის მარცვალთა რაოდენობას; 2. დროული – ხმოვნით დაწყებულ ზმნებს ეს ხმოვანი უგრძელდებათ.

ნამყო უსრული (იმპერფექტუმი, παρατατικός, imperfectum)

იმპერფექტუმს, განგრძობით დროს, ქართულში შეესაბამება ნამყო უსრული (უწყვეტელი) – წარსული დროის უსრულასპექტიანი ფორმა: ვწერდი, მივდიოდი...

ამ დროს ბერძნულში მხოლოდ თხრობითი კილოს ფორმები აქვს.

იმპერფექტუმი იწარმოება ზმნის აწმყო დროის ფუძეზე აუგმენტისა და ისტორიულ დროთა დაბოლოებების დართვით.

მოქმედებითი გვარის ზმნა. ფუძე დაწყებულია თანხმოვნით:

მხ.	1. ἔγραφ-ο-ν	ვწერდი	ἐπαίδευ-ο-ν	(აღ)ვზრდიდი
	2. ἔγραφ-ε-ς	წერდი	ἐπαίδευ-ε-ς	ზრდიდი
	3. ἔγραφ-ε(ν)	წერდა	ἐπαίδευ-ε(ν)	ზრდიდა
მრ.	1. ἐγράφ-ο-μεν	ვწერდით	ἐπαιδεύ-ο-μεν	ვზრდიდით
	2. ἐγράφ-ε-τε	წერდით	ἐπαιδεύ-ε-τε	ზრდიდით
	3. ἔγραφ-ο-ν	წერდნენ	ἐπαίδευ-ο-ν	ზრდიდნენ

ობიექტისა და სუბიექტის ნათესაობითი ბრუნვა

ისევე, როგორც ქართულში, ნათესაობითი ბრუნვა შეიძლება აღნიშნავდეს გამონათქვამის როგორც ლოგიკურ სუბიექტს, ისე – ობიექტს. მაგ., ὁ φόβος τοῦ διούλου *მონის შიში* (ან *შიში მონისა*). კონტექსტიდან გამომდინარე, ეს შეიძლება ნიშნავდეს: შიშს, რომელსაც მონა განიცდის (ანუ მონას ეშინია), ან – შიშს, რომელსაც განიცდიან მონის მიმართ (ანუ მონის ეშინიათ).

მაპირისპირებელი ბავშვირები

ἀλλά *არამედ, მაგრამ*

μέν... δέ *მაპირისპირებელ კავშირთა წყვილი, რომელიც იმ სიტყვებს ახლავს, რომელთა ხაზგასმაც სურს მთქმელს შედარება-დაპირისპირების მიზნით, შეიძლება არტიკლსაც დაერთოს: ὁ μὲν... ὁ δὲ ერთი ... მეორე. ὁ μὲν λέγει, ὁ δὲ γράφει ერთი წერს, მეორე კითხულობს.*



სავარჯიშოები

1) *თარგმნეთ*. 1. τὸ ἔργον τοῦ Δαίδαλου 2. ὁ φόβος τοῦ θανάτου 3. ὁ φίλος τοῦ Πεισιστράτου 4. τὸ σημεῖον τοῦ πλούτου.

2) *აუღლებთ იმპერფექტუმში*. φέρω, λέγω, βαίνω, μαθάνω, ψεύδω, πιστεύω, θαυμάζω, διδάσκω (აკუზ.+აკუზ. *) *ვასწავლი*.

* ლექსიკონში აუცილებლად უნდა მივაქციოთ ყურადღება, რომელ ბრუნვაში მართავს ზმნა სახელს, რადგან ბერძნული და ქართული ზმნა ხშირად სხვადასხვა ბრუნვას ითხოვს (*ვასწავლი მას მას, ვასწავლე მას მას*).

3) *თარგმნეთ და დაწერეთ შესაბამისი პირისა და რიცხვის იმპერფექტუმის ფორმები*: φέρεις, λέγουσιν, βαίνω, μαθάνει, ψεύδομεν, πιστεύετε, θαυμάζω, λάμπει.

4) *თარგმნეთ*:

1. Ἦδη ὁ ἥλιος ἔλαμπε.
2. Οὐ μετρίως ἔπινον.
3. Οἱ κύριοι ἐδίδασκον, ἀλλὰ δοῦλοι οὐκ ἐμάθανον.
4. Ὁ μὲν κύριος ἐδίδασκε, ὁ δὲ δοῦλος ἐμάθανε.
5. Ἄρτον μὲν ἐσθίει, οἶνον δὲ οὐ πίνει.
6. Ἄει ἄγαν ἔχαιρεν, ἀλλὰ νῦν οὐ χაίρει τῷ παίζειν.
7. Οὐκ ἐψεύδετε, ἀλλὰ ὁ τύραννος οὐκ ἐπίστευεν.

5) *შეადგინეთ მსგავსი წინადადებები თანხმოვნით დაწყებული ზმნების იმპერფექტუმის გამოყენებით*.



კრატერი, ღვინისა და წყლის შესაზავებელი ჭურჭელი. ძვ. წ. V ს.



ნამყო უსრული (იმპერფექტუმი). შუამ დაწყებულია ხმოვანი

დროული აუგმენტი: გრძელდება სიტყვის თავიდანური მოკლე ხმოვანი. გრძელი ხმოვნები უცვლელი რჩება. გამონაკლისია *α*, რომელიც, ისევე, როგორც *α*, იცვლება *η*-დ:

<i>α</i> > <i>η</i>	<i>ἄγω</i> (მიმყავს) > <i>ἦγον</i>
<i>ε</i> > <i>η</i>	<i>ἐθέλω</i> (მინდა) > <i>ἤθελον</i>
<i>αδ ει</i> (იშვიათად)	<i>ἔχω</i> > <i>εἶχον</i>
<i>ο</i> > <i>ω</i>	<i>ὀρίζω</i> (ვსაზღვრავ) > <i>ᾠρίζον</i>
<i>ι</i> > <i>ι</i>	<i>ἰατρεύω</i> (ვკურნავ, მკურნალი ვარ) > <i>ἰάτρευον</i>
<i>υ</i> > <i>υ</i>	<i>ὑβρίζω</i> (ვთავხედობ) > <i>ὑβρίζον</i>
<i>η</i> > <i>η</i>	<i>ἦκω</i> (მოვდივარ) > <i>ἦκον</i>
<i>ω</i> > <i>ω</i>	<i>ᾠφέλω</i> (სასარგებლო ვარ) > <i>ᾠφέλουν</i>

დიფთონგებს უგრძელდებათ პირველი ხმოვანი:

<i>α</i> > <i>η</i>	<i>ἄδω</i> (ვმღერძი) > <i>ἦδον</i>
<i>αι</i> > (<i>ηι</i>) > <i>η</i>	<i>αἰσθάνομαι</i> (ვგრძნობ) > <i>ἦσθόμην</i>
<i>αυ</i> > <i>ηυ</i> *	<i>αὐξάνω</i> (ვზრდძი) > <i>ἠῦξησα</i> (აორისტი)
<i>οι</i> > <i>ω</i> *	<i>οἰκίζω</i> (დავასახლებ) > <i>ᾠκίζον</i>
<i>ει</i> > <i>η</i> *	<i>εἰκάζω</i> (ავსახავ) > <i>ἦκαζον</i>
<i>ευ</i> > <i>ηυ</i> *	<i>εὐχομαι</i> (ვლოცულობ) > <i>ἠῦχόμην</i>
<i>ου</i> > <i>ου</i>	<i>οὐδενίζω</i> (არარად ვაქცევ) > <i>οὐδένιζον</i>

* *οι* და *αυ* დიფთონგები გარკვეულ შემთხვევებში უცვლელი რჩება. აუგმენტი, როგორც წესი, არა აქვთ *ει* და *ευ* დიფთონგებით დაწყებულ ზმნებს (თუმცა გვხვდება გამონაკლისებიც).

მხ. რ.	1. <i>ἦγ-ο-ν</i>	მიმყავდა	მრ. რ.	1. <i>ἦγ-ο-μεν</i>	მიგვყავდა
	2. <i>ἦγ-ε-ς</i>	მიგყავდა		2. <i>ἦγ-ε-τε</i>	მიგყავდათ
	3. <i>ἦγ-ε(ν)</i>	მიჰყავდა		3. <i>ἦγ-ο-ν</i>	მიჰყავდათ

სავარჯიშოები

- 1) აუღლეთ იმპერფექტუმი: *ἀληθεύω*, *ἀγγέλλω*, *ἔχω*, *ὑβρίζω*, *ἄδω*, *ἔσθίω*
- 2) თარგმნეთ და გადაიყვანეთ აწმყო დროის იმავე პირსა და რიცხვში:
 1. *ᾠρίζεσ* 2. *ἦκε* 3. *ἐθαύμαζε* 4. *ᾠρίζομεν* 5. *ἰατρεύετε* 6. *ἦγετε* 7. *ὑβρίζον* (2 ფორმა) 8. *ἦκες*.
- 3) თარგმნეთ ბერძნულად: 1. კარგად მღეროდა. 2. ამგვარად თავხედობდა. 3. ზომიერად ჭამდა და სვამდა. 4. უკვე წერდა. 5. მზე ანათებდა.

II განკლედობის მამრობითი და ნეიტრალური სქესის სახელები

მახვილი ბოლო მარცვალზე: ὁ γεωργός (მიწათმოქმედი),
τὸ φυτόν (მცენარე)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სახელები, რომელთაც მკვეთრი მახვილი აქვთ ბოლო მარცვალზე, სამივე რიცხვის მიცემითსა და ნათესაობითში მკვეთრ მახვილს იცვლიან შემოსილით (ამ ბრუნვათა დაბოლოებები კონტრაქციით არის მიღებული).

	მხოლობითი	მრავლობითი
სახ.	ὁ γεωργ-ό-ς	οἱ γεωργ-οἶ
აკუზ.	τὸν γεωργ-ό-ν	τοὺς γεωργ-οὺς
მიც.	τῷ γεωργ-ῷ	τοῖς γεωργ-οῖς
ნათ.	τοῦ γεωργ-οῦ	τῶν γεωργ-ῶν
წოდ.	ὁ γεωργ-έ	ὁ γεωργ-οί
სახ.	τὸ φυτό-ό-ν	τὰ φυτό-ά
აკუზ.	τὸ φυτό-ό-ν	τὰ φυτό-ά
მიც.	τῷ φυτό-ῷ	τοῖς φυτό-οῖς
ნათ.	τοῦ φυτό-οῦ	τῶν φυτό-ῶν
წოდ.	ὁ φυτό-ό-ν	τὰ φυτό-ά

II განკლედობის მდედრობითი სქესის სახელები

მათი ბრუნება ანალოგიურია მამრობითი სქესის სახელთა ბრუნებისა. მამრობითისა და მდედრობითი სქესის სახელებს არტიკლი განასხვავებს: ἡ νῆσος კუნძული, ἡ βίβλος წიგნი, ἡ ὄδός გზა²⁶.

ზედსართავ სახელთა ბაარსებობა

არტიკლის დართვით ზედსართავი არსებით სახელად იქცევა:

καλός,(ή), ὄν მშვენიერი

τὸ καλόν მშვენიერება (როგორც ფიზიკური, ასევე სულიერი)

ἀγαθός (ή), ὄν კეთილი

τὸ ἀγαθόν, τὰγαθόν სიკეთე²⁷

ξένος, (η), ὄν უცხო, უცხოური

ὁ ξένος უცხოელი

νέος, (α), ὄნ ახალი, ახალგაზრდა

ὁ νέος ახალგაზრდა კაცი

Ἀθηναῖος, (α), ὄნ ათენური

ὁ Ἀθηναῖος ათენელი

σοφός, (ή), ὄნ ბრძნული, მცოდნე

ὁ σοφός ბრძენი

πολέμιος,(α), ὄნ საომარი, მტრული

ὁ πολέμιος მტერი

²⁶ მდედრობითი სქესის არტიკლის ბრუნება შემდეგ ნაწილში ისწავლება.

²⁷ კრასისის შესახებ იხ. გვ. 37.

ἱερός, (ά), όν წმინდა

τὸ ἱερόν სიწმინდე, წმინდა

ადგილი, ტაძარი

ὀλίγος (η), ον მცირე, ცოტა

οἱ ολίγοι ოლიგარქები

πολλοί, (πολλαί), πολλα²⁸

მრავალნი, ბევრი οἱ πολλοί უმრავლესობა, ხალხი



ეროვნული
ბიბლიოთეკა

გაარსებითებული ზედსართავი სახელი მრავლობით რიცხვში ხშირად აღნიშნავს ზოგადად საგანთა ან მოვლენათა სიმრავლეს, რომელთაც ამ ზედსართავით აღნიშნული თვისება ახასიათებთ: τὰ ἀγαθὰ სიკეთენი (შეიძლება გულისხმობდეს როგორც ფიზიკურ, ისე მორალურ თვისებებს).

Χαλεπὰ τὰ καλὰ ძნელია მშვენიერი (სოლონი)²⁹.

NB ნეიტრალური სქესის არტიკლი, ცალკე აღებული, როდესაც მას მოსდევს ნათესაობით ბრუნვაში დასმული სახელი, შეიძლება ნიშნავდეს „საგნებს“, „საქმეებს“, „მოვლენებს“ (კონტექსტის მიხედვით):

Κοινὰ τὰ τῶν φίλων საერთოა, რაც მეგობრებისაა / მეგობრებს ყველაფერი საერთო აქვთ (ანდაზა გამოყენებულია კომედიოგრაფ მენანდრესთან, ძვ. წ. IV ს-ის ბოლო).

ნეიტრალური სქესის არტიკლი ასევე შეიძლება მიუთითებდეს გამონათქვამზე: τὸ μὴδὲν ἄγαν გამონათქვამი „არაფერი მეტისმეტი“.

გამოყოფის ნათესაობითი

ნათესაობითი ბრუნვა გამოიყენება გარკვეულ მთლიანობად აღქმული სიმრავლის აღსანიშნავად, როდესაც მისგან რაღაც ნაწილის გამოყოფაზე კეთდება აქცენტი. გამოყოფის ნათესაობითს ქართულად გადმოცემთ -გან თანდებულებიანი ფორმით, ან გამოყოფის ნათესაობითში დასმულ სიტყვას ვთარგმნით როგორც საზღვრულს, ხოლო მისგან გამოყოფილი ნაწილის აღმნიშვნელ სიტყვას კი – როგორც მსაზღვრელს:

εἰς τῶν ἑπτὰ σοφῶν **შვიდ ბრძენთაგან ერთ-ერთი,**

οἱ πολλοὶ τῶν ἀνθρώπων **მრავალი ადამიანი (მრავალნი ადამიანთაგან).**

²⁸ მხოლოდითი რიცხვის ფორმები თავისებურად იწარმოება (πολύς, πολλή, πολύ).

²⁹ სოკრატე ამ გამონათქვამს იმოწმებს როგორც საყოველთაოდ ცნობილს. გადმოცემით, როდესაც მიტილენეს მმართველს (ἢ Μυτιλήνη), პიტაკოსს (ერთ-ერთს შვიდ ბრძენთაგან), შეუტყვია, რომ კორინთოს (ἢ Κόρινθος) მმართველი პერიანდროსი (გვიანანტიკურ ტრადიციაში ისიც ასევე სახელდებოდა შვიდ ბრძენს შორის) ხალხის მეგობრიდან მის მჩაგვრელად ქცეულა, იმის შიშით, რომ მას არ დამსგავსებოდა, თავადვე უთქვამს უარი ძალაუფლებაზე. სწორედ ამასთან დაკავშირებით უთქვამს სოლონი: „მშვენიერი რთულია“ (იგულისხმება, ნებისმიერი მშვენიერი რამ – საგნები, ქმედებები...).

ბერძნული სახელების უმრავლესობა, როგორც წესი, ქართულად გადმოდის სახელობითი ან წოდებითი ბრუნვის ფორმით. წოდებითის ფორმით სახელთა გადმოტანის ტრადიცია, როგორც ფიქრობენ, შედეგი უნდა იყოს ბერძნებთან უშუალო ცოცხალი ურთიერთობებისა: Παῦλος, მიმართვისას – Παῦλε (პავლე), Πέτρος, მიმართვისას – Πέτρε (პეტრე), Φίλιππος, მიმართვისას – Φίλιππε (ფილიპე)... ანალოგიურად, წერილობითი გზით შემოსული სახელებიც ხშირად წოდებითი ბრუნვის ფორმით არის დამკვიდრებული.

ამგვარად, **o-ფუძიანი** სახელები, რომლებიც სახელობითში **os-ზე** ბოლოვდება, ქართულად, უმთავრესად, გადმოდის ბერძნული სახელობითის ან წოდებითის ფორმით:

სახელობითის ფორმითაა: Ὀμηρος *ჰომეროსი*
Δαρείος *დარიოსი*

წოდებითის ფორმითაა: Ἡρόδοτος *ჰეროდოტე*
Ἡσίοδος *ჰესიოდე*

NB ხმოვნების გადმოტანის დამკვიდრებული წესებია:

- αι > ე Αἰσχύλος *ესქილე*, Αἴσαπος *ეზოპე*
- οι > ე Οἶαγρος *ეაგროსი*, Βοιωτία *ბეოტია*
- ει > ი Πεισίστρατος *პისისტრატე*
- υ > ი Αἰσχύλος *ესქილე*, Διόνυσος *დიონისე*

ცხადია, გვხვდება ამ საერთო წესიდან გამონაკლისებიც.

ლექსიკა

ὁ ἀδελφός *ძმა* (წოდ. ბრ.-ში მახვილი გადადის მესამე მარცვალზე: ὁ ἀδελφε, იშვიათია ფორმა: ἀδελφέ)

ὁ υἱός *ძე, ვაჟი*

ὁ θεός *ღმერთი*

ὁ ποταμός *მდინარე*

ὁ χρυσός *ოქრო*

ὁ πυρός *ხორბალი*

ὁ ἰατρός *ექიმი*

ὁ αἰδός *მომღერალი*

ὁ στίχος *სტრიქონი*

ὁ ἄγρος *მიწა (სახნავ-სათესი), მიწდორი*

ὁ ἀριθμός *რიცხვი*

ὁ ὀφθαλμός *თვალი*

ὁ στρατηγός *სარდალი, მხედართმთავარი*

ὁ οὐρανός *ცა*

(ὁ) Οὐρανός *ურანოსი, ღმერთი*

τὸ φυτόν *მცენარე, ნერგი*

ὁ θυμός *სული, მხნეობა.*

κοινός, (ή), όν *საერთო*
 ὀρθός, (ή), όν *სწორი, მართალი*
 καθαρός, (ά), όν *სუფთა*
 ἀγαθός, (ή), όν *კარგი, კეთილი*
 κακός, (ή), όν *ცუდი, ბოროტი*
 θεῖος, (α), ον *ღვთაებრივი, საღვთო*
 θεραπεύω (+ აკუზ.) *ვუვლი, ვკურნავ; ვეთაყვანები*
 τότε *მაშინ*

ἐπτὰ οἱ σοφοί *შვიდი ბრძენი* (Θαλής, Πιπτακός, Βίας, Σόλων, Κλεόβουλος, Χίλων, Περίανδρος)

სავარჯიშოები

1) ა) დაასახელეთ ქართულში დამკვიდრებული ის სიტყვები, რომლებიც აქ შემოთავაზებულ ბერძნულ ლექსიკას უკავშირდება (მაგ., ოფთალმოლოგი, არითმოლოგია, თეოლოგია, მესოპოტამია, ჰიპოპოტამი, აგრონომი...).

ბ) ნეოფიტო – როგორც რელიგიასთან დაკავშირებული სპეციალური ტერმინი, ნიშნავს ახლად მოქცეულს, ახლად რჯულმიღებულს; ზოგადად კი ნეოფიტს რომელიმე პარტიის, მოძრაობის ახალ მიმდევარსაც უწოდებენ. რომელი სიტყვებისაგან შედგება ეს კომპოზიტი?

გ) ὁ Παρνασσός, ὁ Ὀλυμπος, ὁ Ἑλικών მთების სახელებია საბერძნეთში. რასთან ასოცირდება თქვენთვის ეს სახელები?

2) აბრუებთ: 1. ὁ θεῖος αἰδός 2. ὁ ἰατρός ὁ ἀγαθός 3. ὁ τοῦ δούλου πυρός

3) დაწერეთ სახელობოთი ბრუნვის ფორმით: 1. ὦ Ἀρχίλοχε 2. τὸν Λυκοῦργον 3. τῷ Πινδάρῳ 4. τὰ ἔργα 5. ὦ Διόνυσε

4) თარგმნეთ ქართულად:

1. Πόθεν φέρεις τὰ ἀγαθὰ φάρμακα;
2. Ποῖ ἔφερες τὸν φάρμακον;
3. Ἐγραφον τοὺς ἀριθμοὺς τοὺς ὀρθούς.
4. Ὁ ἀδελφὸς ἐθεράπευε τὸν ἀδελφόν.
5. Ὁ ἰατρὸς ἰάτρευε τὸν δούλον.
6. Ἴκαρος ἦν υἱὸς τοῦ Δαιδάλου.
7. Οἱ Ἀθηναῖοι αἰδοῖ τοὺς τοῦ Ὀμήρου καλοὺς στίχους ἦδον.
8. Διόνυσος τοῦ οἴνου θεὸς ἦν.
9. Ἡφαιστος ἀγαθὸς θεὸς ἦν.
10. Ὁ Θάνατος ἀγαθὸς θεὸς οὐκ ἦν.
11. Ἡσίოდος αἰδὸς ἦν, ἀλλὰ Ἡσίოდος καὶ ἀγαθὸς γεωργὸς ἦν.
12. Ὁ δὲ τοῦ Ἡσιόδου ἀδελφὸς οὐκ ἀγαθὸς γεωργὸς ἦν.
13. Τὰ ζῶα τὸν τοῦ ἀγαθοῦ γεωργοῦ πυρὸν ἦσθιε.
14. Καλὰ ἔργα ἔπραττον.
15. Οἱ ὀφθαλμοὶ τοῦ πρῶσπου κόσμος.
16. Ἄει ἀγαθὸν θυμὸν ἔχετε.

5) *თარგმნეთ ბერძნულად*: 1. ათენელები სიამოვნებით (ήδέως) უსმენდნენ აედებს. 2. ღირსეული მასწავლებლები მონებსაც ასწავლიდნენ. 3. ღმერთი ადამიანებს სიკეთეს (τάγαθά) ანიჭებს (παρέχω). 4. ოქრო ბრწყინავს. 5. მონებს მიწები არ ჰქონდათ. 6. ცუდი ექიმები ადამიანებს ვერ კურნავდნენ. 7. დიონისე ღვინის ღმერთი იყო.

ტექსტი

თარგმნეთ. უცნობი სიტყვები მოძებნეთ ლექსიკონში

Περὶ* θεῶν

Οἱ Ἑλληνικοὶ ἄνθρωποι ἐθεράπευον πολλοὺς θεοὺς. Ἐνόμιζον, ὅτι μέγιστοι θεοὶ ἦσαν δώδεκα· Ζεὺς, Ἥρα, Ποσειδῶν, Δημήτηρ, Ἀπόλλων, Ἄρτεμις, Ἄρης, Ἀφροδίτη, Ἀθηνᾶ, Ἑρμῆς, Ἥφαιστος, Ἑστία. Ζεὺς ἦν κύριος θεῶν τε καὶ ἀνθρώπων. Οἱ δὲ ἄλλοι θεοὶ εἶχον ἴδιον ἔργον, ὥσπερ Ποσειδῶν ἦρχε τῶν ποταμῶν καὶ τοῦ πόντου. Οἱ ἄνθρωποι καὶ τοῖς δώδεκα θεοῖς καὶ ἄλλοις θεοῖς δῶρα ἔφερον. Τὰ δὲ τῶν θεῶν ἱερά ἦν καλά.

* περί წინდებული, აქ: შესახებ.



ლექსიკონი (ძვ. წ. V ს). ჰიპნოსს და თანატოსს მიცვალებული მიჰყავთ.

შეჯამება და შემოწმება

1) შეავსეთ პარადიგმაში ნაკლები ადგილები:

აწმყო		ნამყო უსრული	
მხ. რ.	მრ. რ.	მხ. რ.	მრ. რ.
1. ἄδω	1. ἄδομεν	1. ἦδον	1.
2.	2. ἄδετε	2. ἦδες	2. ἦδετε
3. ἄδει	3.	3.	3.

2) ჩაამატეთ ერთ-ერთი გამოტოვებული ბრუნვა:

- ა) ὁ νόμος, τῷ νόμῳ, τοῦ νόμου, τὸν νόμον.
- ბ) οἱ χρόνοι, ὧ χρόνοι, τοῖς χρόνοις, τῶν χρόνων.
- გ) τὰ δῶρα, τῶν δῶρων, ὧ δῶρα, τοῖς δῶροις.
- დ) ἄξιον, ἄξιον, ἀξίου, ἀξίῳ.

3) თარგმნეთ და დაწერეთ კონსტრუქციური წყობით. 1. ὁ ἀνδρεῖος δοῦλος 2. οἱ νέοι φίλοι 3. τὸ καλὸν θέατρον 4. ὁ ἄκρος φόβος

4) დაწერეთ სალექსიკონო ფორმები შემდეგი სიტყვებისა: 1. ἦκουες 2. μαυθάνει 3. τὰ σημεῖα 4. φεύγουσι 5. τῷ νόστῳ 6. τοῦ πόνου 7. τὸν ὄλβον

5) თარგმნეთ და დაწერეთ კრეკონსტრუქციური წყობით: 1. ცხოვრების კა-
ნონი 2. ჰომეროსის სტრიქონი 3. ბატონის სახლი 4. ბატონების სახლი 5.
ბატონის სახლები 6. ბატონების სახლები 7. ცხენების სარბიელი 8. სიმ-
დიდრის ნიშანი 9. შუა ომი.

6) თარგმნეთ. ყურადღება მიაქციეთ შედგენილ შემასმენებს:

1. Θαλῆς φιλόσοφος ἦν· καὶ Ἀναξιμένης φιλόσοφος ἦν.
2. Δράκων καὶ Σόλων καὶ Περικλῆς Ἀθηναῖοι ἦσαν.
3. Ὁ μὲν Σόλων φιλόσοφος ἦν, ὁ δὲ Δράκων οὐ.
4. Δράκων φιλόσοφος οὐκ ἦν.
5. Ὁ τοῦ φίλου λόγος δίκαιος ἦν.
6. Οἱ τοῦ ἀγαθοῦ φίλου λόγοι ἀξιοὶ ἦσαν.
7. Ὁ τοῦ φίλου ἀγαθὸς λόγος παιδεύει τὸν φίλον.
8. Ὁ Ὀμηρος καλὸς ἀοιδὸς ἦν.
9. Κρόνος υἱὸς τοῦ Οὐρανοῦ ἦν.
10. Οὐρανὸς δὲ Κρόνου πατὴρ ἦν.
11. Ὁ Θάνατος τοῦ Ὑπνου ἀδελφὸς ἐστί (არის).

7) თარგმნეთ.

1. Τὸν τοῦ Ἐπικούρου λόγον μαυθάνομεν.
2. Μὴ ψευδόντων, ἀλλὰ ἀληθεύόντων.
3. Ὁ ἀγαθὸς φίλος τῷ φίλῳ ἰατρὸν ἄγει.
4. Οἱ ἀοιδοὶ τῷ Διονύσῳ (τῷ Βάκχῳ) διθυράμβους ἦδον.
5. Ὡ Ἀρχίλοχε, λέγε τοῖς φίλοις ἀγαθοὺς λόγους.

6. Ὡ διδάσκαλε, δίδασκε τοὺς υἱοὺς τοῦ κυρίου τοὺς τοῦ Ἀλκαίου κα-
λοὺς στίχους.

7. Ὁ φιλόλογος καὶ ὁ φιλόσοφος λόγους ὀρίζουσι.

8. Ὡ γεωργοί, μὴ οὕτως ὀρίζετε τοὺς ἀγρούς.

9. Ὁ κύριος τὸν ὀρθὸν μέτρον οὐκ εἶχεν.

8) *თარგმნეთ ბერძნულად:*

1. ახალი წამალი მაქვს.

2. ვსწავლობ ახალ სიტყვებს.

3. ვამბობთ მშვენიერ სიტყვებს.

4. ძველ კანონებს არ სწავლობენ.

5. მონას ცხენები მიჰყავდა ბატონთან.

6. კარგი კანონები ზრდიდნენ ადამიანებს.

7. ფილოსოფოსებს ცა და ვარსკვლავები აკვირვებდათ.

8. ვარსკვლავები ანათებენ.

9. მიწათმოქმედნი თავიანთ (ἴδιος, α, ον) მიწებს სამართლიანად
(ὀρθῶς) მიჯნავდნენ.

10. ექიმები წამლებით მკურნალობენ.

9) *გაასწორეთ შეცდომები:*

ა) *ზმნის ფორმებში:* ἐγράφεις, λέγες, ἐπιστεύουσι, θαύμαζον.

ბ) *მახვილში:* τὸ ζῶον, τὸ ἔργον, ὁ διθυραμβος, οἱ δήμοι.

გ) *სინტაქსში:* 1. Ἄγετε ὁ ταῦρος τῷ κυρίῳ.

2. Πλάτων ἦν ὁ φιλόσοφος.

3. Τὰ ἄστρα ἔλαμπον.

4. Τοῦ δούλου ὁ οἶκος θαυμάζω.

10) *რას აღნიშნავს შედგენილ სიტყვებში ეს პრეფიქსები?*

მესო- (//მეზო-)

არქეო-

პალეო-

ნეო-

დემო-

11) *რომელი სიტყვები გეცნობათ ამ კომპოზიციებში?*

ჰიპოპოტამი

მინოტავრი

აკროსტიქი

აეროდრომი

ეკოლოგია

ზოოპარკი

III 1

პირველი კანკლედობა

პირველი კანკლედობის სახელთა ფუძის დაბოლოება არის *ა*. იგი ორგვარია: ძლიერი (ანუ წმინდა – *a purum*) და სუსტი (ანუ არაწმინდა – *a impurum*). მხოლოდით რიცხვში ძლიერი *ა* უცვლელად არის შენარჩუნებული ყველა ბრუნვაში, ხოლო სუსტი *ა* გრძელდება და გადაიქცევა *ი*-დ (ან მხოლოდითი რიცხვის ყველა ბრუნვაში, ან – მხოლოდ და მხოლოდ მიცემითსა და ნათესაობითში). მრავლობით რიცხვში როგორც ძლიერი, ისე სუსტი *ა*-ს მქონე სახელები ინარჩუნებენ ამ ფუძისეულ *ა*-ს.

პირველი კანკლედობით იბრუნვის მდედრობითი და მამრობითი სქესის სახელები; მათი ბრუნება ერთმანეთისაგან განსხვავდება მხოლოდობით რიცხვში, მრავლობითში კი მსგავსია.

NB მრავლობით რიცხვში:

1. ბრუნება პირველი კანკლედობის ყველა კატეგორიის სახელისათვის ერთი და იგივეა.
2. სახელობითი ბრუნვის (ასევე წოდებითის) დაბოლოება – დიფთონგი *აი* – მახვილისათვის მოკლე ხმოვნად ითვლება.
3. ფუძისეული *ა* წარმოდგენილია ყველა ბრუნვაში, გარდა ნათესაობითისა, სადაც ფუძის დაბოლოება ერწყმის ბრუნვის ნიშანს: $\acute{a}w > \acute{a}i$.³⁰ მრავლობითი რიცხვის ნათესაობითის ეს დაბოლოება საერთოა პირველი კანკლედობის ყველა სახელისათვის, მიუხედავად იმისა, რომელ მარცვალზე აქვს მას მახვილი სახელობით ბრუნვაში.
4. აკუზატივუსის *ა* გრძელია (*აღ*).

მდედრობითი სქესის სახელები

- მხოლოდითი რიცხვის სახელობით ბრუნვას აწარმოებენ ასიგმატურად.
- სახელობითი ბრუნვისა და წოდებითის ფორმები ერთმანეთს ემთხვევა.

ა იმპერფექტიანი სახელები: სახელობითში – *ი*

სახელობითში წარმოდგენილი *ი* (რომელიც მოკლე *ა*-ს დაგრძელების შედეგია) სახელს მხოლოდითი რიცხვის ყველა ბრუნვაში გაყვება.

³⁰ კონტრაქციის შესახებ იხ. გვ. 48.

ἡ ψυχή (ფუძე: ψυχα) *სული*
 ἡ τέχνη (ფუძე: τεχνα) *ხელოვნება*
 ἡ νίκη (ფუძე: νικα) *გამარჯვება*



მხოლოდითი რიცხვი

სახ.	ἡ ψυχή	ἡ τέχνη	ἡ νίκη
აკუზ.	τὴν ψυχὴν	τὴν τέχνην	τὴν νικην
მიც.	τῇ ψυχῇ*	τῇ τέχνῃ	τῇ νικῇ
ნათ.	τῆς ψυχῆς*	τῆς τέχνης	τῆς νικῆς
წოდ.	ὡ ψυχῇ	ὡ τέχνῃ	ὡ νικῇ

მრავლობითი რიცხვი

სახ.	αἱ ψυχαί	αἱ τέχναι	αἱ νικαί**
აკუზ.	τὰς ψυχάς	τὰς τέχνας	τὰς νίκας
მიც.	ταῖς ψυχαῖς*	ταῖς τέχναις	ταῖς νικαῖς
ნათ.	τῶν ψυχῶν*	τῶν τεχνῶν	τῶν νικῶν
წოდ.	ὡ ψυχαί	ὡ τέχναι	ὡ νικαί**

* ისევე, როგორც მეორე კანკლედობაში, აქაც *ოქსიტონონებში* (ანუ სიტყვებში, რომელთაც მკვეთრი მახვილი ბოლოდან პირველ მარცვალზე აქვთ), მიცემითსა და ნათესაობით ბრუნვებში მკვეთრი მახვილი იცვლება შემოსილით.

** ბოლოდან მეორე გრძელ ხმოვანს აქ შემოსილი მახვილი აქვს, ვინაიდან აი დიფთონგი სიტყვის ბოლოს მოკლე ხმოვნად ითვლება.

აბრუნეთ:

ἡ φωνή *ხმა*
 ἡ ἐπιστήμη *მეცნიერება*
 ἡ μάχη (ᾶ) *ბრძოლა*
 ἡ ὕλη (ὑ) *მასალა, მატერია*

„ყოფნა“ ზმნის III პირის ფორმები აწმყოში

ἐστίν(ν) *არის*, εἰσίν(ν) *არიან* - ეს ფორმები ენკლიტიკურია.

მახვილის წესები ენკლიტიკებისათვის

ე. წ. მიკედლებული სიტყვები თავიანთ მახვილს კარგავენ ან გადასცემენ წინამდებარე სიტყვას გარკვეული წესების მიხედვით:

1) ენკლიტიკა უკვალოდ კარგავს მახვილს, თუ წინამდებარე სიტყვა *პერისპომენონია* (შემოსილი მახვილი აქვს ბოლოდან პირველ მარცვალზე):
 ποῦν ἐστι; *სად არის?*

2) ერთმარცვლიანი ენკლიტიკა უკვალოდ კარგავს მახვილს მაშინაც, როდესაც წინამდებარე სიტყვას მკვეთრი მახვილი აქვს ბოლოდან მეორე მარცვალზე, ორმარცვლიანი ენკლიტიკა კი ინარჩუნებს მას:

φίλος μου ჩემი მეგობარი.
φίλοι εἶσις მეგობრები არიან.

3) ოქსიტონონი (სიტყვა მკვეთრი მახვილით ბოლოდან პირველ მარცვალზე) ენკლიტიკის მიერ გადაცემული მახვილის წყალობით ინარჩუნებს მკვეთრ მახვილს, ანუ ენკლიტიკის წინ იგი ბლაგვი მახვილით არ იცვლება:

σοφοί εἶσιν ბრძენნი არიან.

4) სიტყვებს, რომელთაც აქვთ საკუთარი მკვეთრი მახვილი ბოლოდან მესამე მარცვალზე ან შემოსილი მახვილი ბოლოდან მეორე მარცვალზე, ენკლიტიკის მიერ გადაცემული მახვილის წყალობით ორი მახვილი ექნებათ:

διδάσκαλός ἐστι მასწავლებელია.
διδῶν εἶσιν მონები არიან.

5) ენკლიტიკა ინარჩუნებს მახვილს წინადადების თავში, ან როდესაც მასზე ლოგიკური მახვილია:

τινὲς λέγουσι... ზოგიერთები ამბობენ...
λέγω σὲ შენზე ვლაპარაკობ.

τὲ ენკლიტიკური ნაწილაკი მავრთეხელი კაფშირის ფუნქციით

τὲ მოსდევს დასაკავშირებელ სიტყვას: πατὴρ ἀνθρώπων τε θεῶν τε *მამა ადამიანებისაც და ღმერთებისაც.*

იგი ხშირად ახლავს καί-ს მნიშვნელობის გამაძლიერებელი ფუნქციით: οἱ λόγοι τε καὶ τὰ ἔργα *სიტყვებიც და საქმეებიც.*

წინდებული (πρόθεσις, praepositio)

წინდებული ბერძნულში ფუნქციურად შესაბამისია ქართული თანდებულისა. იგი ერთვის სახელს და გვიჩვენებს ამ სახელით აღნიშნულ საგანთან რაიმე სახის მიმართებას: მდებარეობას (შდრ. ქართული: -ში, -ზე...), მიმართულებას (-კენ...), დანიშნულებას (-თვის) და სხვ. მაგრამ თანამედროვე ქართულში თანდებული, როგორც ვიცით, ბოლოსართია, რომელიც მოსდევს სახელს (მაგ., სახლებს შორის), უფრო ხშირად კი ერწყმის მას (სახლში), ბერძნულში კი წინდებული (როგორც თავად ტერმინი გვეუბნება) წინ უძღვის სახელს³¹.

ბერძნულში წინდებული დაერთვის სამ ბრუნვას: აკუზატივუსს, მიცემითსა და ნათესაობითს. ამასთან, ზოგიერთი წინდებული დაერთვის მხოლოდ ერთ ბრუნვას, ზოგი – ორს, ზოგიერთი კი შეიძლება სამივე ბრუნვას დაერთოს.

* წინდებულები ბერძნულში ზმნისწინებადაც გვევლინებიან და მნიშვნელოვან როლს ასრულებენ სიტყვათწარმოებაში.

³¹ ძველ ქართულში გვხვდება წინდებულებიც: „ზედა უფსკრულთა“ და სხვ.



ἐν დაერთვის მიცემითი ბრუნვის ფორმას: -ზე, -ში, დროს (კითხვაზე: სად? როდის?).³²

ἐν ποταμῷ ἐστι *მდინარეშია*;
ἐν τῇ ἑορτῇ *ზეიმზე, ზეიმის დროს*.

εἰς დაერთვის აკუზატივის ფორმას: -ზე, -ში, -კენ (კითხვაზე: საით?); -მდე, მიმართ, -თვის.

εἰς τὸν ποταμὸν βαίνει *მდინარისაკენ მიდის*,
εἰς τὸν λόγον τοῦ Πιπτακοῦ *პიტაკოსის სიტყვაზე, პიტაკოსის სიტყვისათვის* (იგულისხმება კომენტარი)³³.

εἰς πόλεμον ἀγαθὸς *ომისათვის კარგი* (აქ = *გამოსადეგი, შესაფერისი*)

ἐκ (ხმოვნის წინ **ἐξ**) დაერთვის ნათესაობითის ფორმას: -დან, -გან (კითხვაზე: საიდან? ვისგან? რისგან? რა დროიდან?).

ἐκ Πύλου βαίνει *პილოსიდან მოდის*,
αἱ τέχναι ἐκ θεῶν εἰσιν *ხელოვნებანი ღმერთებისაგან არის*

(აქ = *გვაქვს*) ;

ἐξ ἀρχῆς *დასაწყისიდან, თავიდანვე*.

კავშირი γάρ – რადგან

ეს კავშირი (ისევე, როგორც სხვა ჩვენთვის უკვე ცნობილი სოგერითი კავშირი: μέν, δέ) არასოდეს იწყებს წინადადებას.

ლექსიკა

ἡ ἀρχή *დასაწყისი, საწყისი; მთავარი; მთავრობა*

ἡ ζωή *ცხოვრება*

ἡ ἀδελφή *და*

ἡ ἡδονή *სიამოვნება*

ἡ σχολή *მოცალეობა; მეცადინეობა*

ἡ ἐπιστήμη *ცოდნა, მეცნიერება*

ἡ μάχη (ᾶ) *ბრძოლა*

ἡ ἑορτή *ზეიმი, დღესასწაული*

ἡ ἀρετή *სიქველე, სათნოება, სიკეთე*

ἡ ὕλη (ϋ) *ტყე; შეშა; მასალა, მატერია*

ἡ πηγή *წყარო*

ἡ τροφή *საზრდელი, საკვები*

³² შდრ.: ἐν ἀρχῇ ἦν ὁ Λόγος (იოანეს სახარება, 1, 1) პირველითგან იყო სიტყუა.

³³ ნეიტრალური სქესის არტიკლი, როგორც უკვე ვიცით, შეიძლება გულისხმობდეს „გამონათქვამს“. კომენტარების სათაურები ხშირად ამგვარად არის ხოლმე ჩამოყალიბებული: εἰς τὸ χαλεπὰ τὰ καλὰ კომენტარი გამონათქვამზე: „რთულია მშენიერი“.

ἡ ψῆδῆ სიმღერა
 ἡ φωνή ხმა
 ἡ γραφή წერილი
 ἡ γνώμη აზრი
 ἡ μορφή ფორმა, იერსახე
 ἡ ἀκμή განვითარების მწვერვალი, ყვავილობა
 ἡ σκηνή კარავი; სცენა
 ἡ γῆ³⁴ მიწა, დედამიწა
 ἡ Γῆ გუა, ქალღმერთი.
 ἡ σύμφη (ὑ) პატარძალი
 ἡ Νύμφη ნიშფა
 ἡ εἰρήνη მშვიდობა
 ἡ Εἰρήνη ეირენე, მშვიდობის ქალღმერთი
 ἡ δίκη (ι) ჩვეულება; სამართალი
 ἡ Δίκη დიკე, სამართლის ქალღმერთი
 ἡ τύχη (ὑ) ბედი
 ἡ Τύχη ტიხე, ბედის ქალღმერთი
 ἡ σελήνη მთვარე
 ἡ Σελήνη სელენე, მთვარის ქალღმერთი
 ἡ νεφέλη ღრუბელი
 ἡ Νεφέλη ნეფელე, ღრუბლის ქალღმერთი
 (ὁ) Φρίξος ფრიქსოსი
 (ἡ) Ἑλλη ჰელე
 βλέπω ვხედავ (გარდაუვ.); (εἰς +აკუზ.) ვუყურებ
 νομίζω (+აკუზ. +აკუზ.) ვთვლი, მივიჩნევ (ვის ან რას რად)
 ἀκμάζω ვყვავი, ვიფურჩქნები
 ἄρχω (+ ნათ.) ვიწყებ; ვმართავ
 στέργω მიყვარს
 ὅτι რომ
 ὥσπερ როგორც
 γάρ რადგან

Θάνατος τοῦ βίου τελευτή სიკვდილი სიცოცხლის დასასრულია.

Ἡ σωφροσύνη ἀπεστι τῶν ἡδονῶν კეთილგონიერება შორს არის სიამოვნებათაგან.

სავარჯიშოები

1) განსაზღვრეთ ფორმები: 1. τῆς νίκης 2. τὰς μάχας 3. τῶν ἡδονῶν 4. τὴν ἀρχὴν 5. ταῖς ὑλαῖς 6. τῆ δίκη 7. ὦ τύχη 8. αἱ σύμφαι 9. ὦ σύμφαι 10. ἡ ζῶή

2) დაწერეთ მხოლოდითი და მრავლობითი რიცხვის ნათესაობითის ფორმები: 1. ἡ ἑορτή 2. ἡ ἐπιστήμη 3. ἡ τέχνη 4. ἡ ψῆδῆ

³⁴ ἡ γῆ განეკუთვნება ე. წ. შერწყმულ ბრუნებას. ამ ეტაპზე მხოლოდ ამ სიტყვის სახელობითი ბრუნვის ფორმის ცოდნა მოგვეთხოვება.

3) დაწერეთ სალექსიკონო ფორმები: 1. ταῖς πηγαῖς 2. τῆ σχολῆ 3. τὴν μάχην.

4) თარგმნეთ ქართულად: 1. ἐν τῆ εἰρήνῃ 2. εἰς τὴν ὕλην 3. ἐν τῷ πολέμῳ 4. ὁ τόπος ὁ τῆς μάχης 5. ἡ τῆς Σελήνης ἑορτή 6. ἡ τῆς Σελήνης μορφή 7. ἐξ οἴκου 8. ἡ τῆς γραφῆς γνώμη 9. ἡ ἀκμὴ τοῦ βίου 10. χαίρει θυμῷ.

5) თარგმნეთ: 1. ბრძოლის დასაწყისი 2. ცხოვრების სიამენი 3. ტყიდან მოდის. 4. ბრძოლისთვის ამზადებს. 5. დების წერილები 6. სიამოვნებათა წყარო 7. მოცალეობის უამს 8. სახელში მიდის. 9. სიმღერებით ხარობს.

6) თარგმნეთ ქართულად:

1. Βλέπομεν εἰς τὴν σελήνην καὶ τὰς νεφέλας.
2. Αἱ ἐπιστῆμαι τροφαὶ τῆς ψυχῆς εἰσιν.
3. Ἡ γῆ φέρει τροφήν.
4. Ἐν τῆ εἰρήνῃ αἱ ἐπιστῆμαι καὶ τέχναι ἀκμάζουσιν.
5. Ἐν ταῖς ἑορταῖς ᾠδὰς ᾄδουσιν.
6. Τῆς φωνῆς τῆς νύμφης ἀκούομεν.
7. Τὰς ἀρετὰς τῶν παλαιῶν ἀνθρώπων θαυμάζομεν.

7) თარგმნეთ ბერძნულად. ყურადღება მიაქციეთ აკუზატივისისა და მიცემითი ბრუნვების გამოყენებას:

1. – გიყვარს ზეიმები ? – დიახ.
2. სიმღერის ხმა მესმის.
3. შეხედე ღრუბლების ფორმებს!
4. წერილი მაქვს დისტვის.
5. მასწავლებელი ფილოსოფოსთა აზრებს გვასწავლიდა.
6. წერდით წერილებს მეგობრებს?
7. ცხოვრება ზეიმად მიაჩნდა.

8) თქვენთვის ნაცნობი რომელი ლექსიკიდან არის ნაწარმოები შემდეგი სიტყვები: ფილადელფია, ჰელესპონტი (ὁ Ἑλλήσποντος), ტექნოლოგია, ჰილოძოიზმი, ჰედონიზმი, (ჰ)ეორტოლოგია, ეპისტემოლოგია, ანთროპომორფული, ზოომორფული, ფსიქოლოგია, ფსიქიატრია, კაკოფონია, ტავრომაქია, ოდეონი.

9) ა) ყველასათვის კარგად ცნობილი რომელი სიტყვა არის წარმომდგარი σχολή-დან?

ბ) საიდან წარმოდგა სიტყვა „სცენა“ და რა კავშირი აქვს მას კარავთან?

გ) რა კავშირი აქვს ერთმანეთთან სიტყვას πηγή და მითიურ პერსევსის ფრთიან ცხენს Πήγασος-ს?

10) რომელი სიტყვა გეცნობათ კომპოზიტებში: „რაფსოდია“, „გიგანტომაქია“, „პოლიფონია“?

Περὶ τῶν Ἑλληνικῶν φιλοσόφων

Θαλῆς ὁ φιλόσοφος, εἷς τῶν ἑπτὰ σοφῶν, ἔλεγε· Ὁ κόσμος νοῦν* ἔχει, ὥσπερ καὶ οἱ ἄνθρωποι νοῦν ἔχουσιν. Ὁ δὲ τοῦ κόσμου νοῦς θεὸς ἐστίν. Ἀναξίμανδρος δὲ λέγει, ὅτι πολλοὶ κόσμοι εἰσὶν ἐν τῷ ἀπείρῳ καὶ πολλοὶ οὐρανοί. Τοὺς δὲ οὐρανοὺς ὁ Ἀναξίμανδρος νομίζει θεούς.

Χρύσιππός τε καὶ Ἀπολλόδωρος ἐνόμιζον, ὅτι ὁ κόσμος ζῶον ἐστὶ καὶ ψυχὴν ἔχει· πάντα* γὰρ τὰ ζῶα ψυχὰς ἔχει, καὶ τὰ φυτά.

Καὶ Στωϊκοὶ ἔλεγον· Ζῶον ὁ Κόσμος. Αἱ δὲ τῶν ἀνθρώπων ψυχαὶ ἐκ τῆς τοῦ κόσμου ψυχῆς ἤκουσιν. Ἀλλὰ τὰ ἄστρα τε, ὁ ἥλιός τε καὶ σελήνη ψυχὰς ἔχουσιν.

*აკუზ. სიტყვისა ო ნოის (ნოოს) (გონება) განეკუთვნება მეორე კანკლედობის შერწმულ ბრუნებას.

πάντα ყველა



ფსიქტერი, ღვინის გასაცივებელი ჭურჭელი, ძვ. წ. V ს.
მოხატულია ღურისის მიერ

ა წმინდა (პურუმი)

ა ძლიერია, როდესაც მას წინ უძღვის ε, ι და ρ. ასეთი ა ყველა ბრუნვაში შენარჩუნებულია.

- ή αγορά (ფუძე: ἀγορά) *მოედანი*
- ή οἰκία (ფუძე: οἰκία) *სახლი*
- ή ἀνδρεία (ფუძე: ἀνδρεία) *სიმამაცე*
- ή σφαῖρα (ფუძე: σφαῖρα) *ბურთი, სფერო*

მხოლოდითი რიცხვი

სახ.	ή ἀγορά	ή οἰκία	ή ἀνδρεία	ή σφαῖρα
აკუზ.	τὴν ἀγοράν	τὴν οἰκίαν	τὴν ἀνδρείαν	τὴν σφαῖραν
მიც.	τῆ ἀγορᾶ*	τῆ οἰκία	τῆ ἀνδρεία	τῆ σφαίρα
ნათ.	τῆς ἀγορᾶς*	τῆς οἰκίας	τῆς ἀνδρείας	τῆς σφαίρας
წოდ.	ᾧ ἀγορά	ᾧ οἰκία	ᾧ ἀνδρεία	ᾧ σφαῖρα

მრავლობითი რიცხვი

სახ.	αἱ ἀγοραί	αἱ οἰκίαι	αἱ ἀνδρεῖαι**	αἱ σφαῖραι
აკუზ.	τὰς ἀγοράς	τὰς οἰκίας	τὰς ἀνδρείας	τὰς σφαίρας***
მიც.	ταῖς ἀγοραῖς*	ταῖς οἰκίαις	ταῖς ἀνδρείαις	ταῖς σφαίραις
ნათ.	τῶν ἀγορῶν*	τῶν οἰκιῶν	τῶν ἀνδρειῶν	τῶν σφαιρῶν
წოდ.	ᾧ ἀγοραί	ᾧ οἰκίαι	ᾧ ἀνδρεῖαι	ᾧ σφαῖραι

* შეგახსენებთ: ოქსიტონონებში მიცემითსა და ნათესაობით ბრუნვებში მკვეთრი მახვილი იცვლება შემოსილით.

** აი დიფთონგი სიტყვის ბოლოს მახვილისათვის მოკლედ ითვლება; ამიტომ ბოლოდან მეორე მახვილიან მარცვალს, თუკი იგი გრძელი ხმოვნის შემცველია, შემოსილი მახვილი ექნება.

*** აკუსატივუსის ა გრძელია, ამიტომ შემოსილი მახვილი ბოლოდან მეორე მარცვალზე იცვლება მკვეთრით.

აბრუნეთ:

- ή ἡμέρα *დღე*
- ή χώρα *ქვეყანა*
- ή μοῖρα *ბედისწერა*
- ή στρατιά *ჯარი*
- ή ἀλήθεια *სიმართლე, ჭეშმარიტება*

NB ბერძნულში აბსტრაქტულ სახელებს, როგორებიცაა, მაგალითად, სიმართლე (ή ἀλήθεια), მრავლობითი რიცხვი ეწარმოებათ: τὰς ἀληθείας λέγειν *მრავალი მართალი რამის თქმა*.

ა იმპურუმი - (სახელობითი ა)



ა იმპურუმიან (ანუ როდესაც ალფას წინ არ უძღვის ε, ι, ρ) სახელ-
თა ერთ ნაწილს ფუძისეული მოკლე ალფა შენარჩუნებული აქვთ არა
მხოლოდ მრავლობით რიცხვში, არამედ ასევე მხოლოდითი რიცხვის
სახელობითში, აკუზატივუსსა და წოდებითში; ა-ს შეცვლა η-დ ხდება
მხოლოდ ორ ბრუნვაში: მიცემითსა და ნათესაობითში.

ამგვარ არაწმინდა ა-ს წინ უძღვის: σ, σσ (ττ), λλ, ζ, ψ, ξ, αιν (ყველა
დანარჩენ შემთხვევაში არაწმიდა ა მხოლოდითი რიცხვის სახელობით
ბრუნვაშივე შეცვლილია η-დ).

ή θάλαττα (ფუძე: θαλαττα) ზღვა

ή δόξα (ფუძე: δοξα) აზრო

ή γλώττα (ფუძე: γλωττα) ენა

მხოლოდითი რიცხვი

სახ.	ή θάλαττα	ή δόξα	ή γλώσσα
აკუზ.	τήν θάλατταν	τήν δόξαν	τήν γλώσσαν
მიც.	τῆ θαλάττη*	τῆ δόξη	τῆ γλώσση**
ნათ.	τῆς θαλάττης*	τῆς δόξης	τῆς γλώσσης**
წოდ.	ἡ θάλαττα	ἡ δόξα	ἡ γλώσσα

მრავლობითი რიცხვი

სახ.	αἱ θάλατται	αἱ δόξαι	αἱ γλώσσαι
აკუზ.	τάς θαλάττας*	τάς δόξας	τάς γλώσσας**
მიც.	ταῖς θαλάτταις*	ταῖς δόξαις	ταῖς γλώσσαις
ნათ.	τῶν θαλαττῶν	τῶν δοξῶν	τῶν γλωσσῶν
წოდ.	αἱ θάλατται	αἱ δόξαι	αἱ γλώσσαι

* ვიმეორებთ: იმ ბრუნვებში, რომლებშიც ბოლოდან პირველი ხმოვანი გრძელია, მკვეთრი მახვილი ბოლოდან მესამე მარცვლიდან გადმოინაცვლებს ბოლოდან მეორე მარცვალზე.

** ვიმეორებთ: იმ ბრუნვებში, რომლებშიც ბოლოდან პირველი ხმოვანი გრძელია, შემოსილი მახვილი ბოლოდან მეორე მარცვალზე იცვლება მკვეთრი მახვილით.

აბრუნეთ.

ή Μοῦσα *მუზა*

ή τράπεζα *მაგიდა*

სიტყვათწარმოება – სუფიქსები: -εια, -ια

-εια სუფიქსი აწარმოებს ე. წ. მოქმედების სახელებს εὔω-ზე და-
ბოლოებული ზმნებიდან: παιδεύω აღვზრდი > παιδεία აღზრდა.

-ια (-ιά, -ιά) სუფიქსი აწარმოებს ე. წ. თვისების სახელებს: κακός
ბოროტი > κακία ბოროტება.



σύν – ახლავს მიცემით ბრუნვას: -თან, ერთად.
σύν τῷ ἀδελφῷ ძმასთან ერთად.

ἀπό (ἀπ', ἀφ') – ახლავს ნათესაობით ბრუნვას: დან, გან (გამოსატავს დაშორებას ზედაპირიდან, გარეთა საზღვრიდან, განსხვავებით ἔκ-ისაგან, რომელიც აღნიშნავს მოძრაობას სიღრმიდან):

ἀπὸ τῆς θαλάττης μένειν ზღვიდან მოშორებით ყოფნა;

οἱ ἀπὸ σκηνῆς მსახიობები.

ἡ μανία ἀπὸ Μουσῶν = მუზებისაგან მოვლენილი შემოქმედებითი ალტყინება.

πρό – ახლავს ნათესაობით ბრუნვას: წინ (სივრცეში და დროში).

πρὸ τῆς μάχης ბრძოლის წინ.

პრეპოზიციები (ზმნისწინები)

როგორც წინდებულები, ასევე ზმნისწინებიც ზმნიზედებისაგან მომდინარეობს, რომლებიც, როგორც ვიცით, წინადადებაში დამოუკიდებლად გამოიყენება სხვადასხვა სახის მიმართების დასაკონკრეტებლად (დროის, სივრცის და ა. შ.). შემდგომში ეს ზმნიზედები დაუკავშირდა, ერთი მხრივ, სახელებს წინდებულების ფუნქციით, ხოლო, მეორე მხრივ, ზმნებს როგორც ზმნისწინები. მაგალითად, ἔκ წინდებულია სახელთან: ἔκ τοῦ οἴκου (სახლიდან), პრეპოზიციისა ზმნასთან: ἐκβάλλω (გაეგდებ), ასევე – ნაზმნარ სახელთან: ἐκβόλη (გაძეება).

ისევე, როგორც ქართულში, ბერძნულში ზმნისწინებს მნიშვნელოვანი როლი აქვთ სიტყვათწარმოებაში.

- წინდებული, ზმნისწინად გამოყენების შემთხვევაში, გარკვეულ ფონეტიკურ ცვლილებებს ექვემდებარება. მაგალითად, σύν წინდებული, იმისდა მიხედვით, რომელ თანხმოვანს ხედება, შემდეგ ცვლილებებს გვიჩვენებს: συλ-, συρ- συγ-, συμ-, συ-

ზმნა εἶναι - არსებობა

ἔστι და εἰσὶ წინადადების დასაწყისში, ასევე – ზოგიერთი სიტყვის შემდეგ (οὐκ, μή, καί...) ყოველთვის მახვილით არის წარმოდგენილი. მხ. რიცხვის ფორმაში მახვილი ბოლოდან მეორე მარცვალზე გადადის:

ἔστι θεός არსებობს ღმერთი,

τοῦτ' ἔστι ესე იგი.

ἔστι, εἰσὶ წინადადების დასაწყისში შეიძლება ითარგმნოს როგორც: არის, აი (შდრ. ინგლისურში: there is, there are და this is, these are, ფრანგულში: il y a და c'est un(e), გერმანულში: das ist): ἔστι νέος ἵππος ეს ახალი ცხენია; აი, ახალი ცხენი. εἰσὶν ἵπποι არის (აქ) ცხენები.

ქალაქთა სახელები

სიტყვა *ქალაქი* ბერძნულად მდებრობითი სქესისაა: ἡ πόλις. შესაბამისად, მდებრობითი სქესისაა ქალაქების სახელთა უმეტესობა: ἡ Ἐπίδαυρος ეპიდაური (ეპიდაუროსი), ἡ Σπάρτη სპარტა, ἡ Τροία ტროა.

ხშირად ქალაქების სახელებს მრავლობითი რიცხვის ფორმა აქვთ: αἱ Ἀθῆναι ათენი, αἱ Θῆβαι (= ἡ Θήβη) თებე, αἱ Δελφοί დელფო (შდრ. რუსულში: Афины, Фивы, Дельфы, ფრანგულში: Athènes, Thèbes, Delphes, ინგლისურში: Athens, Thebes, Delphi).³⁵

რა იცით ამ ქალაქების შესახებ?

ქვეყნების სახელები

მიწის (ἡ γῆ), ქვეყნის (ἡ χώρα) აღმნიშვნელი სიტყვები მდებრობითი სქესისაა, შესაბამისად, მდებრობითი სქესისაა კონკრეტული ქვეყნებისა და მხარეების სახელებიც: ἡ Ἑλλάς საბერძნეთი, ἡ Ἀπτική ატიკა, ἡ Εὐρώπη ევროპა, ἡ Ἀσία აზია.

კუნძულების სახელები

ἡ νῆσος – კუნძული ბერძნულში მდებრობითი სქესისაა. შესაბამისად, მდებრობითი სქესისაა კუნძულების აღმნიშვნელი საკუთარი სახელებიც: ἡ Πελοπόννησος პელოპონესი (ანუ პელოფსის კუნძული), ἡ Ἰθάκη ითაკა, ἡ Κρήτη კრეტა, ἡ Κύπρος კვიპროსი, ἡ Ρόδος როდოსი.

ვისთან ან რასთან ასოცირდება თქვენთვის ამ კუნძულების სახელები?

ლექსიკა

ἡ ἀγορά სახალხო კრება; კრების ადგილი, მოედანი; ბაზარი.

ἡ οἰκία სახლი

ἡ ἀνδρεία სიმამაცე

ἡ δουλεία მონობა

ἡ ἐλευθερία თავისუფლება

ἡ σφαῖρα ბურთი, სფერო

ἡ ἡμέρα დღე

ἡ χώρα ქვეყანა

ἡ πέτρα კლდე

ἡ στρατιά ჯარი

ἡ ἀλήθεια სიმართლე, ჭეშმარიტება

ἡ κακία მანკიერება, უვარგისობა, ბოროტმოქმედება

ἡ ᾠρα წლის დრო; ხანი

ἡ σκιά ჩრდილი

³⁵ შდრ. ქართულში გეოგრაფიული (უპირატესად, სოფლების) სახელების წარმოება მრავლობითის ფორმით: რკონი, ბაგები, გურჯაანი, მაჩხაანი, ბოსლევნი...

- ἡ γενεά მოგვმა
- ἡ ἐκκλησία სახალხო კრება
- ἡ κωμωδία კომედია
- ἡ τραγωδία ტრაგედია
- ἡ πολιτεία სახელმწიფოებრიობა, სახელმწიფო, მოქალაქეობა
- ἡ βασιλεία სამეფო; მეფობა
- ἡ μοῖρα წილხვედრი, ხვედრი, ბედისწერა
- ἡ σοφία სიბრძნე
- ἡ γωνία კუთხე
- ἡ διάνοια განსჯა
- ἡ αἰτία მიზეზი
- ἡ φιλία მეგობრობა
- ἡ παιδεία აღზრდა-განათლება
- ἡ κατηγορία ბრალდება; ის, რაც საგანზე ითქმის, ზოგადი თვისება, კატეგორია
- ἡ δικαιοσύνη სამართლიანობა (როგორც თვისება, სამართლიანად ყოფნა)
- ἡ θάλαττα ზღვა
- ἡ δόξα აზრი; სახელი (დიდება)
- ἡ γλῶττα ენა
- ἡ Μοῦσα მუზა, ქალღმერთი
- ἡ τράπεζα მაგიდა
- ἡ μᾶζα პური (ქერის)
- ἡ μανία სიგიჟე
- οὔτε... οὔτε (οὔτ' ... οὔτ') არც...არც
- τίκτω ვშობ
- ψέγω ვკიცხავ, ვგმობ
- ἀγορεύω ვლაპარაკობ საჯაროდ
- πρέπει (+ ინფინ.) ხამს, ჯერ არს
- ἀρμόζω შევუწყობ
- ἡ ἄρμονία სიმწყობრე, ჰარმონია
- (ἡ) Ἄρμονία ჰარმონია, არესისა და აფროდიტეს ასული
- ἡ ἐστία კერა
- (ἡ) Ἐστία პესტია, ოჯახის (კერის) მფარველი ქალღმერთი
- Σκιᾶς ὄναρ ἄνθρωπος ლანდის აჩრდილია ადამიანი³⁶ (პინდარე, ძვ. წ. V ს.)
- Σπείρεις ἐν τῇ θαλάττῃ ზღვაში თესავ.
- Φιλοσοφία ἐστὶ τέχνη τεχνῶν καὶ ἐπιστήμη ἐπιστημῶν ფილოსოფია არის ხელოვნებათა ხელოვნება და მეცნიერებათა მეცნიერება
- Φιλοσοφία ἐστὶ φιλία σοφίας ფილოსოფია სიბრძნის სიყვარულია

³⁶ ანუ ადამიანი სრული არარაობაა; τὸ ὄναρ სიზმარი, გადატ. ზმანება, აჩრდილი, ლანდი.

სავარჯიშოები

1) მახვილის მიხედვით განსაზღვრეთ, ვრძელთა თუ მოკლე ფუძის ბოლოკიდური ა: 1. ἡ πείρα 2. ἡ μάχαιρα 3. ἡ γέφυρα 4. ἡ κολακεία 5. ἡ θήρα

2) ა) დაწერეთ სალექსიკონო ფორმა: 1. τῆς μητρικῆς 2. αἱ μέλιτται 3. ταῖς λύπαις 4. ταῖς φυγαῖς 5. τὰς πύλας 6. τῆ βία 7. τῆς θύρας 8. ὦ ἐσπέραι

ბ) დაწერეთ ნათესაობითი ფორმა: 1. ἡ πέτρα 2. ἡ σκιά 3. ἡ ἀλήθεια 4. ἡ μέλιττα 5. ἡ Μοῖρα

3) დაუწერეთ მახვილი “ყოფნა” ზმნის ფორმებს: 1. Ἔστι θεός. 2. Οὐκ ἔστι τραγέλαφος.³⁷ 3. Ὁ ἵππος ζῶν ἔστι. 4. Οἱ θεοὶ ἀθάνατοι εἰσιν.

4) თარგმნეთ ბერძნულად:

ა) 1. მონობის მიზეზი; 2. ათენის მოედანი (აგორა); 3. ათენის მოედანზე; 4. ათენის მოედნიდან; 5. მოედნის წინ; 6. ბატონის ბრალდება; 7. ათენელებთან ერთად.

ბ) 1. მიყვარს კომედია. 2. გვიყვარს სიმართლე. 3. სიმართლეს აცხადებდა. 4. საჭიროა სიმართლის სახალხოვად გაცხადება. 5. ვგმობთ მონობას. 6. ხამს (ჯერ არს) მონობის დაგმობა. 7. ხამს მუზეუმის თაყვანისცემა. 8. სიმღერებს ვუსმენდით. 9. ვშლი კრებას.

5) თარგმნეთ:

1. Λέγω τὴν ἀλήθειαν.
2. Λέγομεν τὴν ἀλήθειαν, ἀλλὰ οὐκ ἀκούουσι καὶ οὐ πιστεύουσιν.
3. Ἐλέγομεν τὴν ἀλήθειαν, ἀλλὰ οὐκ ἠκούετε καὶ οὐκ ἐπιστεύετε.
4. Ὁ ἥλιος τίκτει τὴν ἡμέραν.
5. Ἡ Ἀττικὴ ἦν χώρα ἐν τῇ Εὐρώπῃ.
6. Ἐν ταῖς Ἀθήναις αἱ ἐπιστῆμαι καὶ τέχναι ἤκμαζον.
7. Οἱ Ἀθηναῖοι ἔστεργον καὶ τὰς τραγωδίας καὶ τὰς κομωδίας.
8. Οἱ νῦν ἄνθρωποι στέργουσι τὴν ἐλευθερίαν.
9. Ἡ Ἰβηρία καὶ ἡ Κολχίς χῶραι ἦσαν ἐν τῇ Ἀσίᾳ.
10. Αἱ Μοῦσαι θεαὶ τῆς σοφίας εἰσίν.
11. Ἐν τῇ θαλάττῃ πέτραι εἰσίν.
12. Αἱ νῆκαι φέρουσι τῇ στρατιᾷ τιμὴν καὶ δόξαν.
13. Δίκη δίκην τίκτει.
14. Πρὸ τῶν δώδεκα θεῶν οἱ Ἑλληνικοὶ ἄνθρωποι ἄλλους θεοὺς καὶ θεὰς ἐθεράπευον.

6) თარგმნეთ ბერძნულად: 1. კომედია უყვარს, ტრაგედია კი - არა. 2. განათლება სიბრძნის წყაროა. 3. სიმართლეს ვაცხადებ (სახალხოვად ვამბობ) სახალხო კრებაზე. 4. სახლის წინ მოედანი იყო. 5. ეს ათენის აგორაა. 6. აი, ბურთები.

7) ა) დაასახელეთ თქვენთვის ნაცნობი სიტყვები შემდეგ კომპოზიტებში: ფილარმონია, სიმფონია, აგორაფობია, სტრატოსფერო, გენეალოგია, ეტიოლოგია, კლექტომანია, პოლიგონი, სტრატეგია.

ბ) რის მიხედვით ეწოდა სიმონს სახელი პეტრე (ქრისტეს ერთ-ერთი მოციქული)?

³⁷ ὁ τραγέλαφος თხა-ირემი, ტრაგელაფოსი (ზღაპრული ცხოველი).

გ) საქართველოს რომელი გეოგრაფიული პუნქტის ადგილას იყო შუა საუკუნეებში ქალაქი პეტრა (რომელიც იმპერატორ იუსტინიანეს დაუარსებია VI საუკუნეში)?

8) შეეცადეთ გამოიცნოთ მნიშვნელობა ტერმინისა, ან კომპოზიტის შემადგენელი სიტყვებისა, შემდეგ შეამოწმეთ ლექსიკონში.

ა) სინაგოგა, სინოდი, სინქრონი, სინთეზი;

ბ) აპოგეა, აპოთეოზი, აპოკრიფი, აპოკალიფსი, აპოლოგია, აპოსტროფი;

გ) პროლოგი, პროპედევტიკა, პროფილაქტიკა;

დ) მელოდია, პაროდია, კომედია, ტრაგედია.

9) ვინ არიან მითოლოგიური ღვთაებები: ჰორები, მოირები, ნიმფები?

ტექსტი

თარგმნეთ. უცნობი სიტყვები მოძებნეთ ლექსიკონში.

Περὶ τῶν ἀρετῶν

Πολλοὶ φιλόσοφοι ἔλεγον· Τῶν ἀγαθῶν τὰ μὲν εἰσιν ἀρετὰς, τὰ δ' οὐκ. Σωφροσύνη μὲν καὶ δικαιοσύνη καὶ ἀνδρεία καὶ μεγαλοψυχία καὶ ῥώμη εἰσὶ ψυχῆς ἀρεταί, χαρὰν δὲ καὶ εὐφροσύνην ἀρετὰς οὐκ ὀνομάζομεν. Τῶν δ' ἀρετῶν αἱ μὲν εἰσιν ἐπιστήμαι καὶ τέχναι, αἱ δ' οὐκ.

Οἱ Στωϊκοὶ σωφροσύνην καὶ ἀνδρείαν ἐπιστήμας ἐνόμιζον, μεγαλοψυχίαν δὲ καὶ ῥώμην οὐτ' ἐπιστήμας, οὔτε τέχνας.



კიათონი. სასმელი ჭურჭელი. ძვ. წ. VI ს.



**სამდაბოლოებიანი ზედსართავი სახელები
(I და II კანკლედობისა)**

სამბოლოკიდურიანი ზედსართავი სახელების მამრობითი სქესის დაბოლოებაა -ος, ნეიტრალურისა -ου, ხოლო მდედრობითისა – ა ან η.

II კანკლედობის ი-ფუძიანი (ანუ, ძირითადად, მამრობითი და ნეიტრალური სქესის) ზედსართავების ბრუნება, როგორც ვიცით, ემთხვევა არსებითი სახელების ბრუნებას, I კანკლედობის ა-ფუძიანი მდედრობითი სქესის ზედსართავი კი რამდენადმე განსხვავება არსებითი სახელისაგან:

- ა დაბოლოება მხოლოდითი რიცხვის სახელობით ბრუნვაში აქვთ მხოლოდ ა-პურუმიან ზედსართავებს; ყველა ა-იმპურუმიან ზედსართავს აქვს დაბოლოება η. მაგალითად: νέος, νέα, νέον ახალი; περιττός, περιττή, περιττόν აღმატებული.
- მდედრობითი სქესის სუფიქსი ა მუდამ გრძელია.
- მდედრობითი სქესის ზედსართავებს მრავლობითი რიცხვის ნათესაობით ბრუნვაში მახვილი აქვთ იმავე მარცვალზე, რომელზეც აქვთ მამრობითი სქესის ზედსართავებს (ანუ მრ. რ-ის ნათესაობითის ფორმა საერთოა სამივე სქესის ზედსართავისათვის). მაგალითად: νέα (ახლების), δικαίω (სამართლიანთა) – ეს ფორმა აქვს, მამრობითი და ნეიტრალური სქესის ზედსართავთა მსგავსად, მდედრობითი სქესის ზედსართავ სახელსაც (და არა – νέων, δικαίων).

NB

- ზედსართავი სახელის მდედრობითი სქესის ბოლოკიდური ა გრძელია, ნეიტრალური სქესის მრავლობითი რიცხვის მაწარმოებელი ა კი - მოკლე.

მხოლ. რ.

მრავლ. რ.

სახ.	δικαίος	δικαία*	δικαίον	δικαίοι	δικαίαι**	δικαία
აკუზ.	δικαίου	δικαίαν	δικαίου	δικαίους	δικαίας	δικαία
მიც.	δικαίω	δικαίᾳ	δικαίω	δικαίοις	δικαίαις	δικαίοις
ნათ.	δικαίου	δικαίας	δικαίου	δικαίων	δικαίων	δικαίων
წოდ.	δικαίε	δικαία	δικαίου	δικαίοι	δικαίαι**	δικαία

* მახვილმა გადაინაცვლა მეორე მარცვალზე, რადგან მდედრობითი სქესის ბოლოკიდური ა გრძელია.

** მრავლობითი რიცხვის სახელობითსა და წოდებით ბრუნვებში მახვილი ბოლოდან მესამე მარცვალზე დარჩა, რადგან αι დიფთონგი სიტყვის ბოლოს მახვილისათვის მოკლე ხმოვნად მიიჩნევა.



	მხოლოდ. რ.			მრავლ. რ.		
სახ.	καλός	καλή	καλόν	καλοί	καλαί	καλά
აკუზ.	καλόν	καλήν	καλόν	καλούς	καλάς	καλά
მიც.	καλῶ	καλή	καλῶ	καλοῖς	καλαῖς	καλοῖς
ნათ.	καλοῦ	καλής	καλοῦ	καλῶν	καλῶν	καλῶν
წოდ.	καλέ	καλή	καλόν	καλοί	καλαί	καλά

ორდაბოლოებიანი ზედსართავი სახელები (II კანკლედობისა)

ზედსართავი სახელების ერთ ნაწილს მამრობითი და მდედრობითი სქესის ფორმები საზიარო აქვთ. ასეთი ზედსართავების მამრობითი და მდედრობითი სქესის დაბოლოებაა -ος, ნეიტრალური სქესისა კი -ον. მაგალითად: ἀθάνατος, ἀθάνατον (უკვდავი).

ორდაბოლოებიანი ზედსართავი სახელი იბრუნვის II კანკლედობის სახელების ანალოგიურად.

ლექსიკონში ორდაბოლოებიანი ზედსართავი სახელი მოცემულია მამრობითი-მდედრობითი ზიარი ფორმით, გვერდით კი ეწერება ნეიტრალური სქესის დაბოლოება, ან ეწერება 2.

მაგალითად: ἀθάνατος, ον ან ἀθάνατος 2

ზედსართავის შემთხვევა არსებით სახელთან

- მეორე კანკლედობის მდედრობითი სქესის არსებით სახელებთან სამდაბოლოებიანი ზედსართავი მდედრობითი სქესის ფორმითაა: ἡ ἱερά ὀδός წმინდა გზა³⁸.
- როდესაც რამდენიმე ქვემდებარე სხვადასხვა სქესის ადამიანს აღნიშნავს, ატრიბუტული ზედსართავი მათ მამრობითი სქესის მრავლობითის ფორმით შეეწყო:

Ὁ ἀδελφός τε καὶ ἀδελφή εἰσι ἄξιοι ძმაც და დაც ღირსეულები არიან.

- როდესაც რამდენიმე ქვემდებარე უსულო საგნებს აღნიშნავს, ატრიბუტული ზედსართავი ნეიტრალური სქესის ფორმით ეწყო:

Ὁ ἄγρος καὶ ἡ ὕλη μικρά ἐστι მიწა და ტყე მცირეა.

- აბსტრაქტული სახელის აღმნიშვნელ სიტყვას ატრიბუტული ზედსართავი ხშირად ნეიტრალური სქესის ფორმით ეწყო:

Θαυμαστόν ἡ ἀρετή საოცარია სიქველე.

³⁸ იგულისხმება გზა, რომელიც დელფოსაკენ მიემართებოდა.



სამდაბოლოებიანი ნაცვალსახელი იბრუნვის ზედსართავი სახელის მსგავსად. გამონაკლისია ნეიტრალური სქესის ფორმა, რომელიც ხშირად ν-ს გარეშეა (შდრ. არტიკლის საშ. სქესის ფორმა τός)³⁹.

სამდაბოლოებიან ნაცვალსახელს ნაცვალსახელურ ზედსართავსაც უწოდებენ: გარდა იმისა, რომ იგი იმ სახელის სქესს იღებს, რომლის შემცველელადაც გვევლინება, წინადადებაში შეიძლება დამოუკიდებლადაც იყოს წარმოდგენილი, ანუ – სახელის ნაცვლად და ზედსართავის ფუნქციითაც (შდრ.: *ეს მომწონს და ეს კაბა მომწონს*).

αὐτός, αὐτή, αὐτό

1) როდესაც ნაცვალსახელი αὐτός დამოუკიდებლად არის წარმოდგენილი, ან ატრიბუტულ პოზიციაშია, ნიშნავს: *თვითონ, თვით იგი, თავად ის*.

Αὐτὸς ἔφαθ' ἡμεῖς ὅτι ἡμεῖς (ამგვარად იხსენიებდნენ პითაგორას ნათქვამს მისი მიმდევრები).

Αὐτὸς ὁ φίλος βαίνει ἢ ὁ φίλος αὐτὸς βαίνει *მეგობარი თავად მიდის*.

2) არტიკლთან ერთად წარმოდგენილი ნიშნავს: *იგივე*.

Ὁ αὐτὸς φίλος βαίνει *იგივე მეგობარი მიდის*.

ταὐτό (< τὸ αὐτό) *იგივე რაჟ*, ταῦτά (< τὰ αὐτά) *იგივე რამეები*.

ἄλλος, ἄλλη, ἄλλο

ἄλλος ნიშნავს: *სხვა, მეორე (მრავალში)* (ლათ. *allius*).

NB ἄλλοι *სხვები*. ἄλλοι μένουσιν *სხვები რჩებიან*.

οἱ ἄλλοι *დანარჩენები*. οἱ ἄλλοι μένουσιν *დანარჩენები რჩებიან*.

ἕτερος, ἕτέρα, ἕτερον

ἕτερος ნიშნავს: *სხვა, მეორე, ერთ-ერთი (ორიდან)* (ლათ. *alter*).

ἕτερος... ἕτερος *ერთი... მეორე*.

Ἐτέρα μὲν βαίνει, ἕτέρα δὲ μένει *ერთი მიდის, მეორე რჩება*.

μόνος ἢ πρῶτος

სიტყვების μόνος და πρῶτος მნიშვნელობები განსხვავებულია იმისდა მიხედვით, ატრიბუტებად გვევლინებიან, თუ ეპითეტებად.

μόνος, η, ον *მარტო, ერთადერთი, მხოლოდ ერთი*.

Ὁ μόνος διδάσκαλος ἑρμηνεύει *ერთადერთი* (= მხოლოდ ერთი) *მასწავლებელი განმარტავს*.

Ὁ διδάσκαλος μόνος ἑρμηνεύει *მასწავლებელი ერთადერთი* (= მხოლოდ მასწავლებელი) *განმარტავს*.

³⁹ ν ერთვის ხოლმე ნაწარმოებ ნაცვალსახელს.

Ὁ πρῶτος διδάσκαλος ἔρμηνεύει პირველი მოძღვარი განმარტავს.
 Ὁ διδάσκαλος πρῶτος ἔρμηνεύει მოძღვარი პირველი განმარტავს.

სიტყვათწარმოება. სუზიქსები: -ιος, -ικός

-ιος, -ια, -ιον აწარმოებს ე. წ. სადაურობის, ასევე – რაიმესადმი კუთვნილების აღმნიშვნელ ზედსართავ სახელებს: Ἀθηναίος 3 (Ἀθῆναι) ათენელი, ათენური; οὐράνιος 3 (< οὐρανός) ციური, θεῖος 3 (< θεός) ღვთაებრივი.

გაარსებითებული: τὰ -ια აღნიშნავს ვინმესთან ან რაიმესთან დაკავშირებულ ღონისძიებებს: τὰ Διονύσια (Διονύσιος, α, ον < Διόνυσος) დიონისეს დღესასწაული, დიონისია, დიონისობა (ცნობილია თეატრალური კონკურსით); τὰ Ὀλύμπια (< Ὀλύμπιος, α, ον < Ὀλυμπος) ოლიმპიური თამაშები (მიძღვნილი ოლიმპიელი ზევსისადმი), τὰ Ἀθήναια (= Παναθήναια) ათენასადმი მიძღვნილი დღესასწაული ათენში, ათენობა (= პანათენეა, სრულიად ათენობა).

-ικός, -ική, -ικόν აწარმოებს ე. წ. თვისების, უნარის, რაიმესადმი კუთვნილების აღმნიშვნელ ზედსართავ სახელებს: ἀνθρωπικός 3 (ἄνθρωπος) ადამიანური, ადამიანისა, ადამიანისათვის დამახასიათებელი, γραφικός 3 (< γράφω) წერილობითი; წერის ან ხატვის უნარიანი, φυσικός, ἡ, όν ბუნებითი, ბუნებისა (< φύσις ბუნება); Ἑλληνικός, ἡ, όν (< Ἑλλην ბერძენი) ბერძნული.

გაარსებითებული:

ἡ -ική (იგულისხმება: τέχνη, ἐπιστήμη) აღნიშნავს რაიმე სპეციალობას, მეცნიერებას ან ხელოვნებას: ἡ γραφική მხატვრობა, ἡ φυσική ფიზიკა.

ὁ -ικός აღნიშნავს სპეციალისტს, მცოდნეს: ὁ φυσικός ბუნებისმეტყველი.

წინდებული διά

διά (ხმოვნის წინ δι') ერთვის ორ ბრუნვას:

ა) აკუზატივუსთან ნიშნავს: გამო, გულისთვის.

διά τί; რატომ? διά τοῦτο ამიტომ.

ბ) ნათესაობითთან ნიშნავს: გავლით, გავლისას; განმავლობაში; საშუალებით. ქართულად ხშირად ითარგმნება მოქმედებითი ბრუნვის ფორმით.

διά χρόνου დროის გასვლის შემდეგ;

διά τέχνης ხელოვნებით;

διά τὸν ποταμόν მდინარით, მდინარის გავლით.



მდინარეთა სახელები ბერძნულში მამრობითი სქესისაა. *Νεῖλος* ნილოსი, ὁ Ἄχελῶς *აქელოსი*.

როდესაც მდინარის საკუთარ სახელთან სიტყვა *მდინარეც* იხსენიება, თანამედროვე ქართულისაგან განსხვავებით (სადაც სიტყვა *მდინარე* წინ უძღვის მდინარის სახელს: *მდინარე ნილოსი*), ბერძნულში იგი საკუთარი სახელის შემდეგაა, ანუ საკუთარი სახელი ამ შემთხვევაში ზედსართავის ფუნქციას იძენს: ὁ Νεῖλος ποταμός.

ზღვების სახელები

ზღვას ბერძნულად, ძირითადად, გადმოსცემს: ὁ πόντος, ἡ θάλαττα (იონ. θάλασσα), τὸ πέλαγος.

კონკრეტული ზღვის აღმნიშვნელი სიტყვა (ისევე, როგორც ქართულში) უმთავრესად პრეპოზიციურ ზედსართავად გვევლინება: ὁ Εὐξείνιος πόντος *სტუმართმოყვარე ზღვა* (=შავი ზღვა), ὁ Αἰγαῖος πόντος ან ὁ Αἰγαῖος, τὸ Αἰγαῖον πέλαγος ან τὸ Αἰγαῖον *ეგეოსის ზღვა*⁴⁰, ἡ Ἀτλαντική θάλασσα = გვიანდ. ἡ Μεσόγειος θάλασσα *ხმელთაშუა ზღვა*.

ლექსიკა

έρμηνεύω *განმარტავ, ავხსნი; ვთარგმნი*
 φεύγω (+ აკუს.) *გავეურბივარ, ვერიდები*
 πάσχω *განვიცდი; დავითმენ*
 ἄνευ (+ნათ.) *გარდა; გარეშე*
 οὐράνιος, α, ον *ციური*
 τὰ Διονύσια *დიონისეს დღესასწაული, დიონისია, დიონისობა*
 τὰ Ὀλύμπια *ოლიმპიური თამაშები*
 τὰ Ἀθήναια (= Παναθήναια) *ათენასადმი მიძღვნილი დღესასწაული ათენში, ათენობა (= პანათენეა, სრულიად ათენობა).*

ἄνθρωπος, ἡ, ὄν *ადამიანური*
 γραφικός, ἡ, ὄν *წერილობითი; წერის ან ხატვის უნარიანი.*
 φυσικός, ἡ, ὄν *ბუნებითი, ბუნებისა*
 ὁ φυσικός *ბუნებისმეტყველი*
 ἡ γραφική *მხატვრობა*
 ἡ φυσική *ფიზიკა*
 ὁ λυρικός *ლირიკოსი*
 ὁ ἱστορικός *ისტორიკოსი*
 ὁ Νεῖλος *ნილოსი*
 ὁ Ἄχελῶς *აქელოსი*
 τὸ πέλαγος *ზღვა*
 αὐτός, αὐτή, αὐτό *თვითონ, თავად ის*
 ταῦτό *იგივე რამ*
 ταῦτά *იგივე რამეები*

⁴⁰ დადასტურებულია ასევე: Αἰγαία θάλασσα, Αἰγαίη ἄλς, Αἰγαῖος πόρος.

- ἄλλος, ἄλλη, ἄλλο სხვა (მრავალში)
 ἕτερος, ἕτέρα, ἕτερον სხვა (ორიდან), მეორე, ერთ-ერთი (ორიდან)
 μόνος, η, ον მარტო, ერთადერთი, მხოლოდ ერთი.
 πρῶτος, η, ον პირველი
 θερμός, ή, όν ცხელი
 ψυχρός, ά, όν ცივი
 καθαρός, ά, όν წმინდა
 ἱερός, ά, όν წმინდა, საღვთო, საკულტო
 ἅγιος, α, ον წმინდა
 ἄξιος, α, ον ღირსეული
 αἰσχυρός, ά, όν საძაგელი, სამარცხვინო
 ἄγριος, α, ον ველური
 θαυμάσιος, α, ον საკვირველი, საოცარი
 δεινός, ή, όν საშინელი
 θεῖος, α, ον ღვთაებრივი
 τὸ θεῖον ღვთაება
 δίκαιος, α, οნ სამართლიანი
 ὅμοιος, α, οნ მსგავსი
 πιθανός, ή, όნ დამაჯერებელი
 πιστός, ή, όნ სანდო, ერთგული
 μακρός, ά, όნ დიდი, გრძელი, ხანგრძლივი
 μικρός, ά, όნ პატარა
 βάρβαρος, ον არაბერძნული, ანუ უცხოური, გაუგებარი, უკულტურო, უხეში, ბარბაროსული

ὁ βάρβαρος ბარბაროსი, ანუ არაბერძენი, უცხოელი.
 καλὸς καὶ ἀγαθός = καλὸς καὶ ἀγαθός (οἱ καλοὶ καὶ ἀγαθοί = οἱ καλοὶ καὶ ἀγαθοί)
 კეთილი და მშვენიერი; კეთილშობილი; თავდაპირველად
 იგულისხმებოდა წარმომავლობა, შემდგომ: პატიოსანი, ქველი,
 ღირსეული, სრულყოფილი

ἡ καλοκάγαθία კეთილშობილება, ღირსება

Ἄγαθῇ τύχῃ ბედნიერად! (დამშვიდობებისას)

Ὡς ὄνφ λύρα როგორც სახედრისათვის ღირა (როდესაც ვინმე მისთვის
 შეუფერებელ საქმეს ეპოტინება). შდრ. Asinus ad lyram.

სავარჯიშოები

- 1) აბრუნეთ: 1. ἡ καλή νίκη (τ) 2. ἡ καλή ἡμέρα 3. ἡ δεινὴ νῆσος
- 2) დაუწერეთ ზედსართავს დაბოლოება: 1. καλ... ὥρα 2. ἄγρ... χώρα 3. ἄξι... διδάσκαλος 4. ἱερ... τόπος 5. ἄλλ... ἱερόν 6. ἕτέρ... δόξα 7. ἕτερ... ῥόδου 8. μικρ... γωνία 9. μακρ... ὁδός 10. παλαι... οἶνος
- 3) თარგმნეთ:
 - ა) მიაქციეთ ყურადღება αὐτός-ის მნიშვნელობას: 1. იგივე საზომი. 2. იმავე წამლით მკურნალობდა. 3. თავად მასწავლებელი. 4. ამას (τοῦτο) თავად მასწავლებლებს ეუბნებოდა. 5. იმავე სიმღერას მღეროდა. 6. იმავე სიმღერებს უსმენდნენ. 7. ბატონი თავად მკურნალობდა მონას.
 - ბ) მიაქციეთ ყურადღება სიტყვების – μόνος და πρῶτος – მნიშვნელობას: 1. ტირანი მარტო მართავდა სახელმწიფოს (= მხოლოდ ტირანი

მართავდა...). 2. ერთადერთი ტირანი მართავდა სახელმწიფოს (= მხოლოდ ერთი ტირანი...). 3. პირველი მონა თაყვანს სცემს დიონისეს. 4 მონა პირველი სცემს თაყვანს დიონისეს. 5. პირველ შიკრიკს ელაპარაკება. 6. შიკრიკს პირველს ელაპარაკება

4) *თარგმნეთ*. 1. Διὰ τοῦ πόντου ἔπλεον (მიცურავდნენ). 2. Οἱ φίλοι νῦν διὰ τῆς ἀγορᾶς εἰς τὸν οἶκον ἦκουσιν. 3. Διὰ τὴν εἰρήνην καὶ διὰ τὴν ἐλευθερίαν πολλὰ ἔργα ἔπραττεν. 4. Διὰ τὸν ἀδελφὸν πολλὰ κακὰ ἔπασχεν.

5) ა) აწარმოეთ ზედსართავი სახელები -ικός სუფიქსის მეშვეობით შემდეგი სიტყვებიდან: 1. ἡ βοτάνη ბაღახი. 2. ἡ ἱστορία ისტორია. 3. ἡ λύρα ლირა; სიმღერა. 4. ὁ γεωργός მიწათმოქმედი. 5. ὁ πόλεμος ომი. 6. ὁ Ἕλλην ბერძენი. 7. ἡ στοά სტოა, გადახურული კოლონადა. 8. ὁ λόγος.

ბ) წინა სავარჯიშოში ნაწარმოები ზედსართავებიდან აწარმოეთ არსებითი სახელები -ική სუფიქსის მეშვეობით (ყველას არ ეწარმოება).

გ) აწარმოეთ ზედსართავი სახელები -ιος სუფიქსის გამოყენებით. 1. ὁ ἀγρός სახნავ-სათესი მიწა; სოფელი. 2. ὁ βωμός სამსხვერპლო, საკურთხეველი. 3. ἡ Κύπρος კვიპროსი. 4. ὁ πόλεμος ომი.

6) *თარგმნეთ*.

1. Ἡρόδοτος καὶ Θουκυδίδης καὶ Ξενοφῶν ἱστορικοὶ ἦσαν.
2. Ὀμόνοια αἰτία ἐστὶ τῆς φιλίας.
3. Τὰ τῶν Ἑλληνικῶν φιλοσόφων λόγους θαυμάζομεν.
4. Ἡρακλῆς ἐν τῷ βίῳ πολλὰ καὶ ἀγαθὰ ἔργα ἔπραττεν.
5. Ἡρακλῆς αὐτὸς τοὺς ἀνθρώπους ἐκ μεγίστων κινδύνων ἔλυεν.
6. Οἱ ολίγοι ἔφευγον τοὺς νόμους.
7. Πολλάκις δειναὶ μάχαι ἦσαν ἐν τῇ πολιτείᾳ.
8. Δόξα μὲν ἢ τοῦ ἐπαίνου ἀξία πολυχρόνιον, βίος δὲ τῶν θνητῶν ὀλιγοχρόνιον.
9. Τὸ σπείρειν ἐν τῇ θαλάττῃ παροιμία ἐστὶ παρὰ τοῖς Ἀθηναίοις.
10. Φεῦγε τὴν ἀδικίαν.

7) *თარგმნეთ ბერძნულად*: 1. ბერძნები (ბერძენი ადამიანები) ეთაყვანებოდნენ მეცნიერებათა და ხელოვნებათა ქალღმერთებს. 2. ათენში მშვენიერი თეატრი იყო; თეატრს დიდი სცენა ჰქონდა. 3. საოცარი იყო ბერძნული თეატრი. 4. საოცარი იყო ბერძნული ხელოვნება და მეცნიერებები. 5. თალესი პირველი ფილოსოფოსი იყო. 6. თალესი პირველი ამბობდა: საწყისი წყალია (τὸ ὕδωρ).

8) რას ნიშნავს: (ჰ)აგიოგრაფია, ჰაგიოლოგია, ჰიერატიული, (ჰ)იეროგლიფი, (ჰ)იერარქია?

9) რომელი ბერძნული ლექსიკის საფუძველზე არის შექმნილი ახალი ტერმინები: ტექნიკა, აგროტექნიკა, პოლიტექნიკური, ელექტრიკოსი, დინოზავრი, არქიპელაგი, პოლინეზია, ჰომეოპათია, პენტაგონი, გრამოფონი, ფონოგრამა.

10) დაასახელეთ თქვენთვის ცნობილი სიტყვები, რომლებშიც შემდეგი სუფიქსები გამოიყოფა:

- ავტო-
- ალთ-/ალ-
- ჰეტერო-
- ჰომო-
- მონო- /მონ-
- პოლი-
- ოლიგო-/ოლიგ-

Περὶ τῶν Ἀθηνῶν

Ἐν τῇ τῶν Ἀθηνῶν ἀκροπόλει* ἐστὶν ὁ Παρθενῶν, Ἰκτίνου ἔργον, τοῦ ἀρχιτέκτονος*· τὸ δ' ὄνομα ἔχει ἀπὸ τῆς Ἀθηνᾶς, τῆς παρθένου. Οἱ δὲ παλαιοὶ ἐθαύμαζον τὸ τοῦ ναοῦ καλόν. Ἐν τῷ μὲν ἑτέρῳ ἀετῷ ἦν ἡ τῆς Ἀθηνᾶς γένεσις, Φειδίου λαμπρὸν ἔργον, ἐν δὲ τῷ ἑτέρῳ ἡ Ἀθηνᾶς καὶ Ποσειδῶνος* ἔρις ἢ διὰ τὴν Ἀττικὴν· τὸ μὲν γὰρ τοῦ θεοῦ δῶρόν ἐστι ἵππος, τῆς δὲ θεᾶς ἐλαία. Ἐν τῷ ναῷ ἦν τὸ τῆς θεᾶς ἄγαλμα ἐξ ἐλέφαντος* καὶ χρυσοῦ, λαμπρὸν ἔργον Φειδίου. Ἡ θεὰ ἔχει μακρὸν χιτῶνα* καὶ θώρακα* ἐκ χρυσοῦ· ἐπὶ* δὲ τῷ θώρακι ἡ τῆς Μεδούσης κεφαλή ἐστίν· ἔχει δὲ καὶ κόρυν καὶ ἐν τῇ μὲν ἑτέρα χεiri* δόρυ, ἐν τῇ ἑτέρα Νίκην· πρὸς* δὲ τοῖς ποσίν* εἰσὶν ἄσπις καὶ δράκων, ὁ τῆς ἀκροπόλεως φύλαξ.

τῇ ἀκροπόλει (մեռաբնակարանի ճակատի մուտքի մոտ), τῆς ἀκροπόλεως (մե. նառ.): ἡ ἀκρόπολις, εως սյրաբնակարանի, մալաբնակարանի ցամաքային խճուղի

· նախնային
 τοῦ ἀρχιτέκτονος (մե. նառ.): ὁ ἀρχιτέκτων, օրոս Երուսաղեմացի
 (ὁ) Φειδίας, օր ցուրտարան

Ποσειδῶνος (նառ.): (ὁ) Ποσειδῶν, օրոս Երուսաղեմ

ἐλέφαντος (մե. նառ.): ὁ ἐλέφας, անտոս Երուսաղեմ

χιτῶνα (մե. սյր.): ὁ χιτῶν, օրոս ցուրտարան, Երուսաղեմ

θώρακα (մե. սյր.), τῷ θώρακι (մե. մուռ.): թորաք, ակոս ὁ քաջարան

ἐπὶ ճիւղային, սյ: - Յ

κόρυν (մե. սյր.): ἡ κόρυς, սոս մարտարան

τῇ χεiri (մե. մուռ.): ἡ χείρ, χեiriոս Երուսաղեմ

πρὸς ճիւղային, սյ: - տան

τοῖς ποσίν (մե. մուռ.): ὁ ποῦս ցիւրտարան



პირველი კანკლედობის მამრობითი სქესის სახელები

I კანკლედობის მამრობითი სქესის სახელების ბრუნებას მდედრობითი სქესის სახელების ბრუნებისაგან განასხვავებს შემდეგი:

- სახელობითი ბრუნვა იწარმოება სიგმატურად. შესაბამისად, ა-პურუმნიანი სახელების დაბოლოება არის -ας, ხოლო ა-იმპურუმნიანი სახელებისა – -ης.
- მხოლობითი რიცხვის ნათესაობითი ბრუნვის დაბოლოება არის -ου (მეორე კანკლედობის სახელთა ანალოგიით)
- წოდებით ბრუნვაში -ας ბოლოკიდურიანი სახელების დაბოლოებაა ᾶ, ხოლო -ης ბოლოკიდურიანი სახელებისა – ᾱ, ან η.

NB -της ბოლოკიდურიანი სახელების დაბოლოება წოდებით ბრუნვაში არის τᾱ.

ὁ νεανίας (ფუძე: νεανια-) ჭაბუკი
 ὁ πολίτης (ფუძე: πολιτα-) მოქალაქე

	მხოლობითი	მრავლობითი
სახ.	ὁ νεανίας	οἱ νεανῖαι
აკუზ.	τὸν νεανίαν	τούς νεανίας
მიც.	τῷ νεανία	τοῖς νεανίαις
ნათ.	τοῦ νεανίου	τῶν νεανιῶν
წოდ.	ὦ νεανία	ὦ νεανῖαι
სახ.	ὁ πολίτης	οἱ πολῖται
აკუზ.	τὸν πολίτην	τούς πολίτους
მიც.	τῷ πολίτη	ταῖς πολίταις
ნათ.	τοῦ πολίτου	τῶν πολιτῶν
წოდ.	ὦ πολῖτα	ὦ πολῖται

I კანკლედობის მამრობითი სქესის სახელები ქართულად გამოიყვამ ან სახელობითი, ან წოდებითი ბრუნვის ფორმით:

- Λεωνίδας (ὁ) ლეონიდასი
- Αἰνείας (ὁ) ენეასი
- Φειδίας (ὁ) ფიდიასი
- Γοργίας (ὁ) გორგიასი, ან გორგია
- Ξέρξης (ὁ) ქსერქსე
- Ἄλκιβιάδης (ὁ) ალკიბიადე

აბრუნეთ:

- ὁ μαθητής მოწაფე
- ὁ στρατιώτης ჯარისკაცი



აწმყო

იმპერფექტუმი

მხ. რ.	მრ. რ.
1. εἶμι	ἔσμεν
2. εἶ	ἔστε
3. ἐστί(ν)	εἰσί(ν)

მხ. რ.	მრ. რ.
1. ἦν	ἦμεν
2. ἦσθα	ἦτε
3. ἦν	ἦσαν

NB აწმყო დროში “ყოფნა” ზმნის ფორმები, გარდა მხოლოდითი რიცხვის მე-2 პირისა, ენკლიტიკურია (გამონაკლისი შემთხვევები მესამე პირის ფორმებისათვის ჩვენ უკვე ვისწავლეთ).

ინფინიტიუსი: εἶναι

ნაცვალსახელი αὐτός პირის ნაცვალსახელის ფუნქციით

ძველ ბერძნულ ენაში ეს ნაცვალსახელი ირიბ ბრუნვებში⁴¹ პირის ნაცვალსახელის ფუნქციითაც გამოიყენება. მაგ. αὐτῷ λέγω მას ვეუბნები; αὐτὸν βλέπω მას ვუყურებ.

ნათესაობითში დასმული αὐτός, რომელიც მოსდევს არსებით სახელს, კუთვნილებითი ნაცვალსახელის შემცველია:

- ὁ οἶκος αὐτοῦ მისი (მამრ.) სახლი;
- ὁ οἶκος αὐτῆς მისი (მდედ.) სახლი;
- ὁ οἶκος αὐτῶν მათი სახლი.

სიტყვათწარმოება

პრეფიქსები: εὐ-, ἀ- (αν-), δυσ-

εὐ- ზედსართავი სახელი εὐ (კარგად) სიტყვათმაწარმოებელ პრეფიქსადაც გამოიყენება: εὐτυχία ბედნიერება, εὖξενος 2 სტუმართმოყვარე, εὐδοξος 2 სახელოვანი.

α- (ხმოვნის წინ αν-) ე. წ. უარყოფის α (α privativum) რაიმეს არქონაზე მიუთითებს: ἀτυχία უბედობა, ბედის არქონა, უბედურება; ἀξενος 2 არასტუმართმოყვარე, ἀνόμιος 2 და 3 არამსგავსი.

δυσ- სირთულესა და სიძნელეს აღნიშნავს და მკვეთრად უარყოფით შინაარსს სძენს სიტყვას: δυστυχία ცუდი ბედის ქონა, უბედურება; δύσβατος (2) τόπος ძნელად გასავლელი, გაუვალი ადგილი.

სუფიქსი -της

-της აწარმოებს ე. წ. მოქმედი პირის, ან ხელობის სახელს:

- ποιέω ვქმნი > ποιητής (ὁ) შემოქმედი, პოეტი
- κλέπτω ვიპარავ > κλέπτης (ὁ) მპარავი, ქურდი

⁴¹ სახელობითისა და წოდებითის გარდა, ყველა ბრუნვა ირიბია.

მახვილი ორმარცვლიან წინდებულთან

წინდებულის ადგილი, როგორც ვთქვით, ჩვეულებრივ, არის სახელის წინ, თუმცა ზოგიერთი ორმარცვლიანი წინდებული სახელის დეგაც შეიძლება შეგვხვდეს; ამ შემთხვევაში მისი მახვილი წინა მარცვალზე გადაინაცვლებს: τῆς ἀρετῆς πέρι რაც შეეხება სათნოებას..., სათნოებასთან დაკავშირებით.

წინდებულები: ἀνά, κατά

ἀνά (ἀν') დაერთვის ძირითადად აკუზატივუსს, აღნიშნავს მოძრაობას ქვემოდან ზემოთ, აღმა: -ზე, -ში; ასევე აღნიშნავს: გასწვრივ, გაყოლებაზე, განმავლობაში.

ἀνά ποταμὸν πλεῖν მდინარეზე აღმა ცურვა.

κατά (κατ', καθ') დაერთვის აკუზატივუსსა და ნათესაობითს. აღნიშნავს:

ა) აკუზატივუსთან: მოძრაობას ზემოდან ქვემოთ, დაღმა რაიმესაკენ, ან – ერთი ბოლოდან მეორისაკენ: -ში, -ზე, ასევე აღნიშნავს: თანახმად, მიხედვით, შესაბამისად; წინააღმდეგ.

κατὰ γῆν καὶ κατὰ θάλατταν მიწასა და ზღვაზე.

κατὰ τοὺς νόμους კანონების მიხედვით.

καθ' ἡμέραν ყოველდღე.

Ἀθηναῖοι κατὰ τοὺς Λακεδαιμονίους ათენელები

ლაკედემონელთა წინააღმდეგ.

ბ) ნათესაობითთან: მოძრაობას ზემოდან ქვემოთ, დაღმა: დან, ქვეშ. ასევე აღნიშნავს: წინააღმდეგ.

κατὰ τῆς πέτρας βάλλειν (ἄλλεσθαι) კლდიდან გადმოგდება (გადმოხტომა).

λέγειν κατὰ Φιλίππου ფილიპეს წინააღმდეგ ლაპარაკი.

ინფინიტივის კონსტრუქცია ზმნის უპირო ფორმასთან

ჩვენ უკვე ვისწავლეთ რამდენიმე ზმნა, რომელთა მხოლოდითი რიცხვის მესამე პირის ფორმა ე. წ. უპირო გაგებითაც შეიძლება იქნეს გამოყენებული: Χρή, δεῖ, πρέπει (შდრ. ქართულში უპირო ფორმები: უნდა, ხამს, ჯერ არს...). ამგვარი ფორმები ინფინიტივუსს ითხოვს:

Χρή εἰς τὸν ἄγρον βαίνειν საჭიროა სოფელში წასვლა.

Δεῖ εἰς τὸν ἄγρον βαίνειν საჭიროა სოფელში წასვლა.

Οὐ πρέπει κλαίειν არა ხამს ტირილი.

თუმცა ამ ზმნებიდან ზოგიერთს შეუძლია პირი მიცემით ბრუნვაში შეიწყოს (ეს არის მიცემითი, რომელიც აღნიშნავს პირს, რომლის სასარგებლოდ ან საზიანოდ ხდება მოქმედება):

Δεῖ αὐτῷ εἰς τὸν ἄγρον βαίνειν ის სოფელში უნდა წავიდეს (= მისთვის საჭიროა სოფელში წასვლა)

Οὐ πρέπει αὐτῷ κλαίειν მას არ შეჰფერის ტირილი.

ინფინიტივური კონსტრუქცია ἀναγκάζω-ს ტიპის ზმნებთან

ზოგიერთი გარდამავალი ზმნა თავის სამოქმედო ობიექტთან ერთად იმ მოქმედებასაც გულისხმობს, რომელიც ამ ობიექტმა უნდა განახორციელოს ან განიცადოს. მაგალითად,

ἀναγκάζω νεανίαν βάλειν *ჭაბუკს წასვლას ვაიძულებ.*

ვაიძულებ ჭაბუკს, რომ წავიდეს.

ობიექტი ამ შემთხვევაში აკუზატივუსშია, მასთან დაკავშირებული ზმნა კი – ინფინიტივუსში. νεανίαν ამ შემთხვევაში ობიექტიც არის ზმნისათვის ἀναγκάζω და სუბიექტადაც მოიაზრება ზმნისათვის βάλειν, რადგან სწორედ მან უნდა შეასრულოს ამ ინფინიტივუსით აღნიშნული მოქმედება.

ინფინიტივური კონსტრუქცია κελεύω-ს ტიპის ზმნებთან

ზოგიერთი გარდამავალი ზმნა თავის ობიექტად შეიძლება გარკვეულ პირს გულისხმობდეს, ან – მოქმედებას, ან – ორივეს ერთად: მოქმედებასთან ერთად – პირსაც, ვისთანაც ეს მოქმედება მოიაზრება. მაგალითად:

Κελεύω βάλειν *წასვლას ვბრძანებ (წასვლის ბრძანებას ვიძლევი)*

Κελεύω τῷ νεανίᾳ βάλειν *ჭაბუკს წასვლას ვუბრძანებ.*

ცხადია, ისევე, როგორც წინა პარაგრაფის წინადადება, ეს წინადადებაც ქართულში შესაძლებელია დამოკიდებული წინადადებით ვთარგმნოთ: კერძოდ, ინფინიტივუსი კავშირებითი კილოთი გადმოვცეთ და ასევე გამოვიყენოთ კავშირი *რომ ვუბრძანებ ჭაბუკს, (რომ) წავიდეს.*

თუმცა ბერძნულში κελεύω ზმნის ობიექტი შესაძლებელია აკუზატივუსშიც იდგეს (ე. წ. აკუზატივუსი ინფინიტივუსთან⁴²): Κελεύω τὸν νεανίαν βάλειν. ამ შემთხვევაში უფრო სწორი იქნება, ეს წინადადება ქართულად *რომ* კავშირიანი დამოკიდებული წინადადებით გადმოვიტანოთ, სადაც ჭაბუკი სუბიექტი იქნება, ინფინიტივუსი კი მას პირიანი ფორმით შეეწყობა. ასე რომ, კონტექსტის მიხედვით, იმის შესაბამისად, თუ რისი აქცენტირება გვსურს, ბერძნული წინადადება ქართულად რამდენიმე ვარიანტით შეიძლება გადმოვცეთ:

ჭაბუკს წასვლას ვუბრძანებ.

ვუბრძანებ ჭაბუკს, (რომ) წავიდეს.

ვბრძანებ, რომ ჭაბუკი წავიდეს.

ინფინიტივური კონსტრუქცია ἐθέλω-ს ტიპის ზმნებთან

ზმნა ἐθέλω (მსურს, მინდა) ითხოვს ინფინიტივუსს:

Ἐθέλω βάλειν *წასვლა მინდა, ან მინდა, (რომ) წავიდე.*

Ἐθέλει βάλειν *წასვლა სურს, ან სურს, (რომ) წავიდეს.*

როდესაც ἐθέλω-ს სუბიექტი და ინფინიტივუსით აღნიშნული მოქმედების სუბიექტი სხვადასხვაა, ეს უკანასკნელი აკუზატივუსშია (ე. წ. აკუ-

⁴² ამ სინტაქსურ კონსტრუქციას შემდგომში უფრო საფუძვლიანად შევისწავლით.

ზატივესი ინფინიტისთან) (შდრ. ინგლისურში: I want to go. მსურს, წავიდე, I want you to go. მსურს, რომ შენ წახვიდე):
 Ἐθέλω τὸν νεανίαν βαίνειν *მსურს, რომ ჭაბუკი წავიდეს.*
 Ὁ νεανίας ἐθέλει με βαίνειν *ჭაბუკს სურს, რომ მე წავიდე.*

ლექსიკა

- κελεύω (+ აკუზ. + ინფინ.) ვ(უ)ბრძანებ
- ἀναγκάζω (+ აკუზ. + ინფინ.) ვაიძულებ
- ἐθέλω, θέλω მიხდა, მსურს
- γυμνάζω ვავარჯიშებ, ვწვრთნი
- κλέπτω ვიპარავ
- κρίνω განვსჯი
- βάλλω ვავდებ, ვისვრი
- ὁ γυμναστής ტანვარჯიშის მწვრთნელი, გიმნასტი
- ὁ σοφιστής მცოდნე, სპეციალისტი; სოფისტი
- ὁ νεανίας ჭაბუკი
- ὁ πολίτης (τ) მოქალაქე
- ὁ ποιητής შემოქმედი, პოეტი
- ὁ κλέπτης ქურდი
- ὁ μαθητής მოწაფე
- ὁ ναύτης მეზღვაური
- ὁ στρατιώτης ჯარისკაცი
- ὁ ὀπλίτης (τ) მძიმედ შეიარაღებული ჯარისკაცი, ჰოპლიტი
- ὁ γυμνήτης მსუბუქად შეიარაღებული ჯარისკაცი
- ὁ κριτής მსაჯული
- ὁ νομοθέτης კანონმდებელი
- ἡ κατηγορία ბრალდება (რაც ვინმეს წინააღმდეგ ან რამეზე ითქმის)
- ἡ ἄγνοια უგუნურება
- ἡ εὐτυχία ბედნიერება
- ἡ ἀτυχία უბედობა, ბედის არქონა, უბედურება
- εὖξενος, ον (εὖξεινος) სტუმართმოყვარე
- ἄξενος, ον (ἄξεινος) არასტუმართმოყვარე
- εὐδοξος, ον სახელგადასმანი
- ἡ εὐσέβεια ღვთისმოსაობა
- ἡ ἀσέβεια უღვთოობა
- ἀνόμοιος, α, ον და ος, ον არამსგავსი
- δυστυχία ცუდი ბედის ქონა, უბედურება
- δύσβατος, ον ძნელად გასავლელი, გაუვალი
- ὁ ἑταῖρος მეგობარი
- οἱ ἑταῖροι ჰეტერები, რჩეული ცხენოსნები მაკედონელის არმიაში
- ἡ ἑταῖρα მეგობარი ქალი, ჰეტერა (შდრ. girl friend)

Ἡ εὐσέβειά ἐστι οὐ δουλεία, ἀλλ' ἐλευθερία τῆς ψυχῆς ღვთისმოსაობა
 მონობა კი არ არის, არამედ თავისუფლებაა სულისა.

Ἄγουσιν ἑορτὴν οἱ κλέπται ზეიმს მართავენ ქურდები (იგულისხმება, რომ
 დაუსჯელობის შედეგი დანაშაულია).

სავარჯიშოები



1) დაუწერეთ დაბოლოება: 1. τοῦ σοφοῦ ποιητ... 2. τῷ σοφῷ ποιητ... 3. οἱ ἀνδρεῖοι ὀπλίτ... 4. τὸν κακὸν κλέπτ... 5. τοῖς ἀξίοις μαθητ... 6. ὦ δίκαιε πο-
λίτ...

2) შეუწყვეთ ზედსართავი სახელები: 1. (καλός) ποιητής. 2. (εὖξενος) ἀ-
δελφή. 3. (δίκαιος) κριτής. 4. (ἀγαθός) ἑταίρα. 5. (ἀνόμοιος) τύχη.

3) თარგმნეთ ბერძნულად: 1. გორგიასი სოფისტი იყო. 2. ათენელთა
ჯარში იყვნენ ჰოპლიტები და გიმნეტები. 3. შენ პოეტი ხარ? 4. თქვენ მო-
ქალაქეები არ ხართ? 5. ჩვენ მსაჯულები ვართ. 6. ეს სახელგანთქმული
მწვრთნელია ტანვარჯიშისა.

4) თარგმნეთ და გადაიყვანეთ იმპერფექტუმში.

1. Οἱ ποιηταὶ τὰς τῶν Μουσῶν τέχνας τοὺς μαθητὰς διδάσκουσιν.

2. Ἀγαθοὶ διδάσκαλοι πείθουσι τοὺς μαθητὰς.

3. Ἄγνοια πολλάκις αἰτία τῆς ἀτυχίας ἐστίν.

4. Δειλία μὲν ἀτιμίαν φέρει, ἀμαθία δὲ τὰ κακά.

5. Αἱ τῆς ἕλης ὁδοὶ εἰσι δύσβατοι.

6. ὦ θεός*, ἴλεως (მოწყალე) εἰ τοῖς ἀνθρώποις τοῖς δίκαιοις.

7. Τοὺς τοῦ Ὀμήρου λόγους ἐν θυμῷ ἔχει.

*ძველ ბერძნულში θεός წოდებით ბრუნვაში იხარხუნებს სახელობითის ფორმას.
ფორმა θεέ გვიანდელია.

5) თარგმნეთ ბერძნულად:

1. კანონმდებლები ახალ კანონებს წერენ.

2. გამარჯვებას ჯარისკაცებისათვის სახელი მოაქვს.

3. თეატრს აქვს ლამაზი სცენა.

4. ენა ხშირად არის მიზეზი უბედურებისა.

5. კარგად ისწავლე, ჭაბუკო!

6) ა) თარგმნეთ ქართულად:

1. Χρὴ τοὺς κακοὺς ψέγειν.

2. Πολίτη πρέπει δικαιοσύνην.

3. Ὁ κύριος κελεύει τὸν δοῦλον εἰς τὸν ἀγρὸν βαίνειν.

4. Θέλω εἰς τὸν ἄγρον βαίνειν.

5. Ὁ κύριος θέλει τὸν δοῦλον εἰς τὸν ἀγρὸν βαίνειν.

6. Διὰ τοῦτο οὐκ ἐθέλει ἐν τῷ οἴκῳ μένειν.

7. Δεῖ καλοὺς κάγαθοὺς εἶναι.

ბ) თარგმნეთ ბერძნულად:

1. კანონმდებელს სურს ახალი კანონის დაწერა.

2. საჭიროა სიმართლის თქმა.

3. უბრძანე მონას პოეტის სიმღერების მღერა.

4. მოქალაქე სახალხო კრებაზე უნდა მიდიოდეს.

7) ახსენით ახალი სიტყვების წარმოების ხერხები.

γυμνός, γυμνάζω, γυμναστής, γυμναστικός, ἢ γυμναστική
κρίνω, κριτής, κριτικός

δίκη- δίκαιος

δίκη - δικάζω -δικαστής

δίκη-ἄδικος-ἀδικία
ἑρμηνεύω - ἑρμηνεία- ἑρμηνεύτης - ἑρμηνευτικός - ἑρμηνευτική
πιστεύω - πίστις - πιστός, ἄπιστος, ἀπιστία
τιμή- τίμαιος- ἀτιμία
θυσμός - ἄθυσμος - ἄθυσμία - εὐθυσμία

8) დააკავშირეთ ერთმანეთთან: ἡ ἀγορά, ἀγορεύω, κατηγορία.

9) ახსენით ამ სიტყვების წარმოების გზა და განსაზღვრეთ მათი მნიშვნელობები:


ა) ათეიზმი, აპოლიტიკური, ანონიმი, ანარქია; ევანგელე, ევფონია, ევფემიზმი; ეიფორია; ევთანასია; დისჰარმონია; ავტონომია, ავტოგრაფი;

ბ) ანალოგია, ანატომია, ანაფორა, ანათემა, ანოდო;

გ) კატალოგი, კათედრა, კათოლიკე, კათოდო.

10) ა) ახსენით ლექსიკონის დახმარებით, როგორ არის ნაწარმოები ეს სიტყვები: ათლეტი, ასკეტი, თერაპევტი (ამ სიტყვებს გარკვეულწილად განსხვავებული მნიშვნელობა ჰქონდა ძველ ბერძნულში).

ბ) როგორ არის ნაწარმოები და რას ნიშნავს „არგონავტი“?



პომპროსის პორტრეტი. ძვ. წ. II საუკუნის ბერძნული ორიგინალის რომაული ასლი, მარმარილო, ახ. წ. II ს.

Περὶ Τροίας

Ἐν Τροίᾳ ποτὲ δικαίως ἐβασίλευε Πρίαμος. Πολλαὶ καὶ μακრაὶ οἰκίαι ἦσαν ἐν τῇ τῆς Τροίας ἄκρα. Ἐξ ὅλης γὰρ τῆς χώρας τῆς ἀμφὶ* Τροίαν οἱ γεωργοὶ καὶ ἐξ ἄλλων χωρῶν οἱ ναῦται πολλὰ ἔφερον εἰς τὴν ἀγοράν. Ὡστε πλουσία μὲν ἦν ἡ Τροία, πλούσιοι δὲ καὶ τῶν πολιτῶν αὐτῆς οἱ πολλοὶ ἦσαν. Ἐπεὶ δὲ πόλεμος ἦν, ἣ τε Τρωϊκὴ στρατιὰ καὶ ἡ Ἑλληνικὴ δέκα ἑνιαυτοὺς ἀνδρείως ἐμάχοντο*. Αἰτία δὲ τοῦ πολέμου ἦν ἡ Ἀλεξάνδρου τοῦ νεανίου ἀδικία. Ἐν τῷ πολέμῳ Τροία διεφθείρετο*. Περὶ τῆς τῶν στρατηγῶν καὶ τῶν στρατιωτῶν ἀνδρείας Ὅμηρος λέγει. Ἡ τοῦ Ὀμήρου βίβλος Ἰλιάς ὀνομάζεται*, ὅτι περὶ Ἰλίου ἐστίν.

ἀμφί წიხდებული, აქ: გარშემო

ἐμάχοντο საშუალო გვარი, იმპერფექტუმი (μάχομαι ვიბრძვი): იბრძოდნენ

διεφθείρετο ვნებოთი გვარი, იმპერფექტუმი (διαφθείρω): ნადგურდებოდა

ἡ Ἰλιάς, áδος ილიადა

ὀνομάζεται ვნებ. გვარი, პრეზენსი: იწოდება



ელენე და პარიზი. წითელფიგურიათა კრატერი, ძვ. წ. IV ს.

10. Ἡρακλῆς μακρὸν χρόνον (დროის აკუზ.) ἦν δοῦλος. Εὐρυσθεὺς ὁ βασιλεὺς (მეფე) ἐκέλευε τὸν δοῦλον πολλοὺς (πολλοί მრავალი) ἄθλους πάσχειν. Περὶ τῶν ἄθλων οἱ ἄοιδοὶ πολλοὺς μύθους ἔλεγον. Τέλος (ბოლოს) δὲ Ζεὺς, ὁ πατὴρ αὐτοῦ, ἄγει αὐτὸν εἰς τὸν οὐρανόν.

9) რომელ ბერძნულ სიტყვებს უკავშირდება და რას ნიშნავს:

ნეოლოგიზმი, არქაიზმი, ბარბარიზმი;

მონოლოგი, დიალოგი;

ტავტოლოგია;

კატაფატიკა, აპოფატიკა;

ატროფია, დისტროფია;

მუსიკოსი, გრაფიკოსი.

10) რას ნიშნავს პრეფიქსები:

ზოო-

ტექნო-

ავტო-

მიკრო-

მაკრო-

11) დაასახელეთ სიტყვები, რომელთაც პრეფიქსად ან სუფიქსად აქვთ ἀρχή (არქი-, არქ-, -არქი, -არქია). მაგალითად, არქექტივი, ანარქია...

12) გამოავლინეთ ბერძნული ლექსიკა შემდეგ ნაწარმოებ სიტყვებში: ავტომობილი, ავტოსერვისი, დისბალანსი, მაგნიტოფონი, დიქტოფონი, მიკროფონი, მეგაფონი.

13) აწარმოეთ განყენებული სახელები -ია, -εία სუფიქსების გამოყენებით (ნიმუში: στρατηγός > στρατηγία):

ა) ὁ μόναρχος, ὁ σοφός, ἐλεύθερος, κακός.

ბ) δουλεύω (ვემონები), θεραπεύω, βασιλεύω (ვმეფობ).

14) შეეცადეთ გამოიყენოთ ზმნების βάλω (ვისვრი, ვაგდებ) და ἄγω (მიმყავს) პრევერბიანი ფორმების მნიშვნელობა:

ἐκβάλλω, ἀποβάλλω, εἰσβάλλω, προβάλλω, διαβάλλω, ἀναβάλλω, καταβάλλω.

ἐμβάλλω, συμβάλλω (ἐν და σύν პრევერბების ბოლოკიდური ν ბავისმიერი თანხმოვნების წინ ასიმილაციის შედეგად ხდება μ).

ἐξάγω (ἐκ, როგორც გვახსოვს, ხმოვნის წინ ხდება ἐξ).

ἀνάγω, ἀπάγω, κατάγω, διάγω (ხმოვანზე დაბოლოებული პრევერბების უმრავლესობაში ბოლოკიდური ხმოვანი ელიზიას განიცდის მომდევნო ხმოვნის წინ).

ἐνάγω, συνάγω.

15) როგორ თარგმნის ἄδοξος, ἀθάνατος, ἄπιστος, ἀνόμιος, ἀνήλιος, ἀνάδελφος, ἀνθρώπειος, ἄθυμος.



IV 1

ზნეობითი და საშუალო გვარი

ვნეობითი ან საშუალო გვარისაა ზმნა, თუკი მას აწმყო დროის თხრობითი კილოს მხოლოდობითი რიცხვის პირველ პირში აქვს დაბოლოება -μαι. ვნეობითი და საშუალო გვარის ფორმები ერთმანეთისაგან განსხვავდება მხოლოდ ფუტურუმსა და აორისტში. ყველა სხვა დროის ფორმები მათ საზიარო აქვთ.

ზნეობითი გვარი (პასივი, Passivum)

ვნეობითი გვარის ზმნის სუბიექტი არის ზმნით აღნიშნული მოქმედების განმცდელი ვინმესაგან ან რამისაგან:

შდრ. βλάπτω ვნებ, ვაზიანებ,

βλάπτομαι ვნება მადგება, ვზიანდები (ვინმესგან, რამეთი).

როგორც წესი, ვნეობითი გვარის ფორმები მოეპოვება გარდამავალ ზმნას, მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში პასივი შეიძლება ირიბობიექტიან ზმნასაც ჰქონდეს: πιστεύω ვენდობი, πιστεύομαι მენდობიან.

ვნეობითი გვარის ზმნის სუბიექტზე მოქმედების განმახორციელებელი, თუკი იგი ადამიანია ან სულიერი არსება, აღინიშნება ὑπὸ წინდებულნი ნათესაობითით, ხოლო, თუ უსულო არსებაა – მიცემითი ბრუნვით:

ἐρμηνεύεται ὑπὸ τοῦ φιλοσόφου განიმარტება ფილოსოფოსის მიერ,
παραδείγμασι παιδεύονται მაგალითებით აღიზრდებიან.

ლექსიკონში ვნეობითი გვარის ზმნის შინაარსი შესაძლებელია ქართულადაც ვნეობითი გვარის ზმნით იყოს გადმოცემული (παιδεύομαι აღვიზრდები, βλάπτομαι ვზიანდები), თუმცა ეს ყოველთვის არ ხერხდება. უფრო ხშირად ბერძნული ვნეობითი გვარის ზმნის სუბიექტური პირი ქართულადობიექტური პირის ნიშნით გადმოგვაქვს, ხოლო რეალური მოქმედი პირის აღსანიშნავად უპირო მრავლობითს ვიყენებთ: πιστεύομαι მენდობიან, βλάπτομαι მვნებენ, παιδεύομαι აღმზრდიან. წინადადებაში უპირო მრავლობითს კონტექსტის შესაბამისი პირი ჩაენაცვლება (βλάπτομαι ὑπὸ τοῦ θεοῦ მენ მვნებ); ცხადია, ასეთ შემთხვევებში, პასიური კონსტრუქციის ბერძნული წინადადების აზრი ქართულად აქტიური კონსტრუქციით გადმოდის:

παιδεύομαι ὑπὸ τῆς ἀδελφῆς და მზრდის (ქართული ენისათვის ხელოვნურია: აღვიზრდები დის მიერ).

βλάπτομαι ὑπ' αὐτῶν მათგან ვზიანდები, ისინი მვნებენ.



თხრობითი კილო

მხ. რ.	თხრობითი კილო	მრ. რ.
1. λύ-ο-μαι	ვთავისუფლდები (მათავისუფლებენ)	λυσ-ό-μεθα
2. λύ-η <i>ან</i> λύ-ει ⁴³	თავისუფლდები	λύ-ε-σθε
3. λύ-ε-ται	თავისუფლდება	λύ-ο-νται

ბრძანებითი კილო

მხ. რ.	ბრძანებითი კილო	მრ. რ.
2. λύ-ου ⁴⁴	გათავისუფლდი	λύ-ε-σθε
3. λυ-έ-σθω	გათავისუფლდეს	λυ-έ-σθωσιν <i>ან</i> λυ-έ-σθωσαν

ინფინიტივისი: λύ-ε-σθαι

ზმნა πάσχα

πάσχα გარდამავალი ზმნაა, ისევე, როგორც მისი შესაბამისი ზმნე-ბი ქართულში: *განვიცდი, დავითმენ* (რამეს). მნიშვნელობით იგი უპირის-პირდება მოქმედების, კეთების იდეას (δράω, ποιέω)⁴⁵. მიუხედავად იმისა, რომ πάσχα არ არის ვნებითი გვარისა, წინადადებაში მისი სუბიექტისათ-ვის რაიმე ვნების მიმყენებელი ან რაიმე განცდის მიზეზი შეიძლება ὑπό + ნათ.-ით იყოს აღნიშნული: *Τί πάσχεις ὑπ' αὐτοῦ; რას განიცდი მისგან?* *Φιλικὰ πάσχα ὑπὸ σοῦ* შენგან მეგობრულ დამოკიდებულებას ვგრძნობ, მე-გობრულად მექცევი.

πάσχα-ს ვნებითი გვარი არ ეწარმოება.

ზმნიზედა ზედსართავი სახელის აკუზატივისის ფორმით

მამრობითი სქესის ზედსართავი სახელის მხოლოდობითი რიცხვის აკუზატივისის ფორმა ხშირად ასრულებს ზმნიზედის ფუნქციას: *καλόν* მშვენივრად.

⁴³ მეორე პირის დაბოლოება მიღებულია შემაერთებელ ხმოვანზე -σαι დაბოლოე-ბის დართვით: ε-σαι > ε-αι (σ ვარდება ორ ხმოვანს შორის) > η ან ει.

⁴⁴ დაბოლოება მიღებულია შემაერთებელ ხმოვანზე -სი დაბოლოების დართვით: ε-სი > ου (σ ვარდება ორ ხმოვანს შორის).

⁴⁵ ა პირველი პირის ნიშნიანი ყველა ზმნის ფორმა ბერძნულში მოქმედებითი გვარისად განიხილება, მიუხედავად მათი შინაარსისა.



	1-ლი პირი	მე-2 პირი
სახ.	ἐγώ მე	σύ შენ
აკუზ.	ἐμέ, με	σέ, σε
მიც.	ἐμοί, μοι	σοί, σοι
ნათ.	ἐμοῦ, μου	σοῦ, σου
სახ.	ἡμεῖς ჩვენ	ὑμεῖς თქვენ
აკუზ.	ἡμᾶς	ὑμᾶς
მიც.	ἡμῖν	ὑμῖν
ნათ.	ἡμῶν	ὑμῶν

NB

• მხოლოდითი რიცხვის პირის ნაცვალსახელებს აქვთ როგორც მყარი მახვილიანი, ისე – ენკლიტიკური ფორმები.

ეს ნაცვალსახელები მახვილიანია წინდებულებთან (მაგ., διὰ σέ, ὑπὲρ ἐμοῦ...), ასევე, როდესაც მათზე წინადადებაში ლოგიკური მახვილი კეთდება: σὲ λέγω *შენზე ვლაპარაკობ* (და არა ვილაც სხვაზე).

სახელობითი ბრუნვის ფორმა ყოველთვის მახვილიანია, რადგან, როგორც ვიცით, სუბიექტური პირის აღმნიშვნელი ნაცვალსახელი ზმნასთან საერთოდ არ იხმარება, თუკი მასზე ლოგიკური მახვილი არ კეთდება.

შდრ.: λέγεις, ὅτι... *ამბობ, რომ...*

σὺ λέγεις *შენ ამბობ, რომ...* (შენ ამბობ და არა ვინმე სხვა)

• მესამე პირის ნაცვალსახელს აქვს საკუთარი ფორმები: მხოლოდითი რიცხვის ყველა ფორმა, გარდა სახელობითისა (ἐ, οἱ, οὐ), მრავლობითისათვის კი – უკლებლივ ყველა ფორმა (σφεῖς, σφᾶς, σφίσι(ν), σφῶν).

მიუხედავად ამისა, მესამე პირის ნაცვალსახელის ფუნქციით ირიბ ბრუნვებში უმეტესწილად გამოიყენება ნაცვალსახელი αὐτός, ხოლო სახელობითი ბრუნვისათვის – ჩვენებითი ნაცვალსახელები: ἐκεῖνος, οὗτος, ὅδε.

წინდებულები ὑπό და ὑπέρ

ὑπό (ὑπ', ὑφ') დაერთვის სამ ბრუნვას, ძირითადად ნიშნავს: *ქვეშ, დაქვემდებარებაში*.

ὑπὸ γῆν *ან ὑπὸ γῆς მიწის ქვეშ*


ὑπὸ τοῖς νόμοις *კანონების ქვეშ, კანონების დაქვემდებარებაში*

ნათესაობით ბრუნვასთან ეს წინდებული აღნიშნავს ასევე მოქმედების განმახორციელებელს: *მიერ, მიზეზით, წყალობით*.

σφάζεται ὑπὸ τοῦ φίλου *გადარჩება მეგობრის წყალობით, მეგობარი იხსნის*.

ὑπὲρ დაერთვის ორ ბრუნვას: აკუზატიუუსსა და ნათესაობითს.
ნიშნავს: ზემოთ, მიღმა.

ὑπὲρ γῆν ან ὑπὲρ γῆς მიწის ზემოთ, მიწაზე.



ნათესაობითთან ნიშნავს ასევე: გამო, გულისთვის.

ὑπὲρ τῆς πατρίδος⁴⁶ სამშობლოსათვის

ლექსიკა

πάσχω განვიცდი, დავითმენ

βλάπτω ვენებ, ვაზიანებ

ἐκβάλλω გავაგდებ, გამოვაგდებ, ვაძევებ

διώκω მივდევ, ვდევნი

δεσμεύω ვკრავ, ვბორკავ, მივაჯაჭვავ

κολάζω ვსჯი

ἀτιμάζω პატივს არ ვცემ, უპატივცემულოდ ვექცევი

δεσπόζω ვბრძანებლობ, pass. დამონებული ვარ

τέρπω ვატკობ, ვახარებ

πέμπω ვგზავნი

αὐξάνω ვზრდი (ვადიდებ, ვამრავლებ, ვაფართოებ)

κωλύω ვაბრკოლებ, ხელს ვუშლი (აკუზ. + ნათ.: ვინმეს რამეში)

ὁ ζαγράφος ფერმწერი მხატვარი (შდრ. რუს. живописец)

ὁ Προμηθεύς პრომეთე

ὁ Ἰαπετός იაპეტოსი

ὁ δημιουργός შემქმნელი, ოსტატი, დემიურგი

ὁ δεσμός (შე)საკვრელი, ბაწარი, ბორკილი

τὸ πῦρ ცეცხლი

κράτιστος, η, ον უძლიერესი (აღმატ. ხარისხი)

μέγιστος, η, ον უდიდესი (აღმატ. ხარისხი)

καλόν მშვენიერად, ლამაზად

πρῶτον (ზმნიზ.) თავდაპირველად, ჯერ

ὑστερον (ზმნიზ.) შემდგომში, მერე

μόνον მხოლოდ

Νύκτωρ ღამით

πάλιν კვლავ

εἰ თუკი

Οὐ μόνον ἔργοις, ἀλλὰ καὶ ἐκ τῶν λόγων γιγνωσκόμεθα არა მხოლოდ საქმეებით, არამედ სიტყვებითაც შევიცნობით.

Ἔμοι χθὲς καὶ σοὶ τήμερον ჩემთვის იყო გუშინ და შენთვის არის დღეს.
(ეპიტაფიებისათვის დამახასიათებელი მოტივი, რომელიც სიკვდილის გარდუვალობას შეგვახსენებს).

Φιλοσοφία γνῶσις τῶν ὄντων⁴⁷ ἐστίν. ფილოსოფია არსებულთა ცოდნაა.

⁴⁶ τῆς πατρίδος ნათ. ბრ. III კანკლედობის სახელისა: ἡ πατρίς სამშობლო.

⁴⁷ τῶν ὄντων „ყოფნა“ ზმნის მიმღეობა.



1) ა) აუღლოთ: *θεραπεύομαι (მემსახურებიან, მივლიან), ὀνομάζομαι (ვიწოდები), νομίζομαι (მივიჩნევი).*

ბ) *განსახვრეთ ფორმა და თარგმნეთ.* 1. ἀκούεται 2. φέρονται 3. κελεύεσθε 4. πράττεται 5. λύη 6. λέγεται 7. ἀγόμεθα 8. ἄγομαι 9. βλάπτῃ 10. ἐκβαλλόμεθα 11. οὐ θέλει ἀτιμάζεσθαι 12. θαυμάζεσθε 13. βάλλονται 14. γιγνώσκεται 15. διαφθείρονται 16. ἄδονται 17. κρίνεσθε 18. στέργη 19. πιστεύεσθε 20 ἄγη

2) *გადიყვანეთ მხოლოდობითი და მრავლობითი რიცხვის ყველა პირში.*

1. *θεραπεύομαι ὑπὸ τοῦ ἱατροῦ ექიმი მივლის, მკურნავს*
θεραπεύῃ ὑπὸ τοῦ ἱατροῦ ექიმი გივლის...
2. *ὀνομάζομαι δίκαιος (δικαία) ὑπ' αὐτῶν ისინი სამართლიანს მიწოდებენ (= მათ მიერ სამართლიანად ვიწოდები)*
ὀνομάζῃ δίκαιος (δικαία) ὑπ' αὐτῶν ისინი სამართლიანს ვიწოდებენ...

3) *თარგმნეთ და გადიყვანეთ აქტიურ კონსტრუქციაში.* ნიმუში: ὑφ' ὑμῶν ἀτιμαζόμεθα *პატივის არ გვცემთ = ὑμεῖς ἀτιμάζετε ἡμᾶς.*

1. *βλάπτεσθε ὑπὸ τοῦ ἀγρίου θηρίου.*
2. *βλάπτονται τῷ ποταμῷ.*
3. *λέγεται ὑφ' Ὀμήρου.*
4. *νομίζεται ὑπὸ τοῦ δήμου.*
5. *ὑφ' ἡμῶν ἀυξάνονται.*
6. *ὑπ' ἐμοῦ κωλύη.*
7. *φίλοι ὀνομάζονται.*
8. *δώροις τερπόμεθα (ყურადღება მიაქცევთ სახელის სქესს).*

4) *თარგმნეთ და გადიყვანეთ პასიურ კონსტრუქციაში.* მაგალითი: *კანონმდებლები ახალ კანონებს წერენ.*

*Οἱ νομοθέται νέους νόμους γράφουσιν = **Νέοι νόμοι ὑπὸ τῶν νομοθετῶν γράφονται.***

1. *მიწათმოქმედის ყანას მდინარე ანადგურებს.*
2. *ფერმწერი ღამითაც ხატავს ცას – მთვარეს და ვარსკვლავებს.*
3. *ხშირად მომაქვს თქვენთვის ვარდები.*
4. *უსამართლობა უსამართლობას შობს, ბოროტება – ბოროტებას.*
5. *ტირანი აძევებს ღირსეულ მოქალაქეებს.*

5) *თარგმნეთ.*

1. *Ὁ σοφὸς οὔτε ἀναγκάζεται ὑπ' ἄλλου οὔτε ἀναγκάζει, οὔτε κωλύεται, οὔτε κωλύει, οὔτε δεσπόζεται οὔτε δεσπόζει.*
2. *Κελευέσθω ἀρετὰς πράττειν.*
3. *Βλάπτεσθαι οὐκ ἐθέλω.*
4. *Διώκεσθε, εἰ τοὺς ἄλλους βλάπτετε.*
5. *Εἰ κακὰ πράττεις, κακὰ πάσχεις.*
6. *Καὶ τὸ πῦρ τοῖς ἀνθρώποις ὑπ' αὐτοῦ ἐκ τοῦ οὐρανοῦ φέρεται.*

6) *რას აღნიშნავენ კომპოზიციებში პრეფიქსები პიპერ- და -პიპო:*

- ა) *პიპერტონია, პიპერიხფლაცია, პიპერბოლა;*
- ბ) *პიპოტონია, პიპოდინამია, პიპოთეზა, პიპოსტასი.*

Προμηθεύς



Քրօ տօն ճօճեկա թեօն օլլօի թեօի օնօ տօն Էլլհնիկօն օնթրօնօն թերաթեօնտի. Օն Սիօճօս լեգեի, քրօտօն Օնրանօս կաի Գաիա օրխօսին, օլլօ օնօ տօն սիօն օկբօլլօնտի. Օ ճօ կրօտիստօս տօն սիօն օնօմօզեթաի Կրօնօս. Ծօն ճօ Կրօնօն օկբօլլեի Զեօս, օ սիօս օնօտօ.

Էիս ճօ տօն օճեղփօն Իաթետօս օնօմօզեթաի, օ ճօ սիօս օնօտօ Քրօմիթեօս. Քերի օնօտօ լեգեթաի օնօ տօն օիճօն, օտի ճիմիօրգօս օստի տօն թե օնթրօնօն կաի օլլօն ճփօն.

Նօմիզեթաի օնօ տօն Էթիհնօիօն, օտի Քրօմիթեօս տօիս օնթրօնօն լաթրօ ճփօր օթերեն. Մեգիստօն ճօ ճփօրօն օն տօ քօր. Գիօ տօտօ ճիփեթաի օնօ տօն թեօն օ սիօս տօտօ Իաթետօտօ. Զեօս ցօր կեղեօեի օնօն քրօս* տօն Կօսկօսօն ճեսթեօթաի կաի լեգեի օնփ. Տօն օն կօլօզի, օտի տօն մեգիստօն թեօն օտիմօզեիս. Իրի ցօր օեի կօլօզեին տօս կօկօս. Էմեիս ցօր օի թեօի օն թերաթեօնօթա, օի օի օնթրօնօն կօլփ քիփ թերթօնտի. Էթեիտօ Զեօս տօն օեթօն* քեթթեի քրօս* օնօն. Ինօ ճօ տօտօ օեթօտօ տօ օնթար* օնօտօ օսթիեթաի. Նօկտօր ճօ քօլիօն օնջօնեթաի.

Իստերօն ճօ Էրօկիիս օի կաի Քրօմիթեօս օն օնօտօ օկ տօն ճեսթօն լօեթաի. Քրօմիթեօս կաի Զեօս սնօլլօտթօնտի*.

*

օ օեթօս *արիօցի*

քրօս *փօնթրօնօն*, *սի*: *տօն*, *սեղօր*

տօ օնթար, օտօս *լրիօթլօ* (Մլր. *Քրօթրիօ*)

սնօլլօտթօ *ցօրիցթ* (քիճթիս քիճթիստօն); *pass.* *ցրիօցլթ*.



ՅԵԼՅՆԻ ԳՅ Քրօմիթեօ, *քիլօիկի*, ճփ. Վ. 550 Վ.



ვერსიის ბგარის ზმნის უღლება იმპერატივში

მხ. რ.	მრ. რ.
1. ἔλϋ-ό-μῆϋ ვთავისუფლდებოდი (მათავისუფლებდნენ)	ἔλϋ-ό-μεθα ვთავისუფლდებოდით
2. ἔλϋ-ου თავისუფლდებოდი	ἔλϋ-ε-σθε თავისუფლდებოდით
3. ἔλϋ-ε-το თავისუფლდებოდა	ἔλϋ-ο-ντο თავისუფლდებოდნენ
1. ἦρχ-ό-μῆϋ ვიმართებოდი (მმართავდნენ)	ἦρχ-ό-μεθα ვიმართებოდით
2. ἦρχ-ου იმართებოდი	ἦρχ-ε-σθε იმართებოდით
3. ἦρχ-ε-το იმართებოდა	ἦρχ-ο-ντο იმართებოდნენ

ჩვენებითი ნაცვალსახელები: ἐκεῖνος, οὗτος, ὅδε

ეს ნაცვალსახელები იბრუნვიან სამბოლოკიდურიანი ზედსართავი სახელის მსგავსად (ისევე, როგორც αὐτός). ისინი შეიძლება გამოვიყენოთ დამოუკიდებლადაც, როგორც ქვემდებარე ან დამატება, წინდებულთაც და წინდებულის გარეშეც:

Οὗτος οὐκ αἰσχύνεται *ამას არ რცხვენია.*
διὰ τοῦτο *ამის გამო.*

მათი გამოყენება შეიძლება არსებითი სახელის მსაზღვრელებადაც. ასეთ შემთხვევაში ისინი დგებიან არტიკლის წინ ან სახელის შემდეგ, არასოდეს – არტიკლსა და სახელს შორის:


ὅδε ὁ νόμος ან ὁ νόμος ὅδε *ეს კანონი.*
ὅδε ὁ δίκαιος ἀνὴρ ან ὁ δίκαιος ἀνὴρ ὅδε *ეს სამართლიანი კაცი.*

